

მატყუარა პრემიერ-მინისტრი არ გადადგება...

A2



"თქვენი აფხაზეთი"

A6



კალათბურთში ნაკრებები დაითვალეს

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 21 სექტემბერი, 2006 წელი. №209 (1360) | ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

თიბისი ბანკი TBC Bank

თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი: თბილისი,*
*ირაკლი გამრეკელის ქ. 51,*
*"24 საათის" რედაქცია.*

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 21/09 | 22/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | 26 |
| ბათუმი | 28 | 23 |
| სოხუმი | 27 | 23 |
| ქუთაისი | 30 | 24 |
| გორი | 23 | 21 |
| თელავი | 27 | 25 |
| ონი | 22 | 16 |
| ზუგდიდი | 30 | 24 |
| ახმეტა | 27 | 26 |
| სამტრედია | 30 | 24 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7400 |
| ევრო | 2.2044 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2736 |
| რუბლი | 0.0649 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| პროექტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სპორტი | A 8 |

# "დამოუკიდებლობიდან" ყველის ფესტივალამდე

### (სეპარატისტთა) ყველა გზა მოსკოვში მიდის

დიმიტრი ავალიანი

*თვითგამოცხადებული დნესტრისპირეთის პრეზიდენტის შემდეგ მოსკოვს სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ლიდერი სტუმრობს, რომელიც, დნესტრისპირეთის მსგავსად, დამოუკიდებლობის საკითხზე მორიგი რეფერენდუმის ჩატარებას გეგმავს. როგორც ყოველთვის, ვიზიტის ოფიციალური მიზანი ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობაა. ეს საკითხები კოკოითისთვის იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ "სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის დღის" აღნიშვნასაც კი არჩია.*

"სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის დღე" გუშინ, შარშანდელისგან განსხვავებით, ნაკლები პომპეზურობით აღინიშნა. სამხედრო აღლუმის ნაცვლად ცხინვალში სახალხო სეირნობა, კონცერტები და "ყველის ფესტივალი" ჩატარდა. თავად თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერმა ღირსშესანიშნავი თარიღი მოსკოვში, რუსეთის დედაქალაქის მერიასთან ხელშეკრულების გაფორმებით აღნიშნა. კოკოითის ნაცვლად მოქალაქეებს "დამოუკიდებლობის დღე" დე ფაქტო მთავრობის პრემიერ-მინისტრმა იური მოროზოვმა მიულოცა.

"დაბადების დღეზე" საჩუქარი ცხინვალს პოსტსაბჭოთა სეპარატიზმის ტრადიციულმა ქომაგმა, მისკოვის მერმა იური ლუჟკოვმა მოუმზადა. ხელშეკრულება მოსკოვსა და სამხრეთ ოსეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც ლუჟკოვმა და თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერმა ედუარდ კოკოითიმ მოაწერეს ხელი, ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობას ითვალისწინებს. მოსკოვში თვითგამოცხადებული რესპუბლიკის წარმომადგენლის დიმიტრი მედოევის თქმით, ცალკე პუნქტებად ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ინვესტიციები სამხრეთ ოსეთის მრეწველობასა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაში, მოსკოვის მიერ რეგიონში წარმოებული კვების პროდუქტების შესყიდვასა და თანამშრომლობაში სოციალურ სფეროში.

დე ფაქტო მთავრობის თავმჯდომარის, იური მოროზოვის თქმით, აქამდე მოსკოვის მერიამ სამხრეთ ოსეთს დახმარება არაერთხელ გაუწია. კერძოდ, სამშენებლო ტექნიკით, სასწრაფო დახმარების მანქანებით, საკვებით და მედიკამენტებით. მისი თქმით, ანალოგიური ხასიათის ხელშეკრულებები სამხრეთ ოსეთს რუსეთის სხვადასხვა ოლქთან აქვს გაფორმებული.

პროტესტი არაღიარებულ რესპუბლიკასთან მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულების გამო გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოთქვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ფოტოშემოქმედი და მკვლევარი

### 90 წელი დიმიტრი ერმაკოვის გარდაცვალებიდან

ილია ნადიმაშვილი

დიმიტრი ერმაკოვი მიეკუთვნება იმ გამოჩენილ ფოტოხელოვანთა მცირე რიცხვს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ფოტოხელოვნების განვითარებას რუსეთის იმპერიაში და საქართველოში, ხოლო მათი შემოქმედება ამ ქვეყნების ისტორიის ცოცხალი მატიანე გახდა. იგი დაიბადა 1846 წელს თბილისში და აქვე გარდაიცვალა 1916 წელს. დაკრძალულია თბილისის კუკიის სასაფლაოზე.

ოციოდე წლის დიმიტრიმ პირველად აიღო ხელში ფოტოკამერა და სულ რაღაც 4-5 წლის შემდეგ საყოველთაო აღიარება ჰპოვა რუსეთის იმპერიაში, მოგვიანებით კი ევროპასა და სპარსეთში. იმდროინდელი თბილისური, პეტერბურგული თუ პარიზული პრესა ფართოდ აშუქებდა მის შემოქმედებას.

გაგრძელება A7 გვერდზე



*დიმიტრი ერმაკოვი.*

# სამომხმარებლო ფასები იზრდება

B

*ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებელი, როგორც მოსალოდნელი იყო, 15-პროცენტიან ზღვარს მიუახლოვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფულის მსყიდველობითი უნარი შემცირდა, ანუ ფული გაიაფდა. ინფლაცია, როგორც წესი, ყველაზე მტკივნეული დაბალი სოციალური ფენებისთვის, განსაკუთრებით კი, პენსიონერებისთვის აღმოჩნდება ხოლმე. ამჯერადაც ის ყველაზე დიდ დარტყმას სოციალურად დაუცველი ადამიანების ბიუჯეტს მიაყენებს, მათ სამომხმარებლო კალათაში პროდუქტების რაოდენობა შემცირდება.*



# კრემლის პიარი თუ გაცილებით მეტი რამ?

*შეუძლებელია დაადგინო, ამ ჭკვიან და მჭერმეტყველ ბატონს მართლა სჯერა ის, რასაც ლაპარაკობს, თუ საქმე გვაქვს ნიჭიერ მსახიობთან და "დიდ კომბინატორთან"*

ენდრიუ კაჩინსი
*"კარნეგის ფონდი"*

მე დღემდე მესხმის თავბრუ რუსეთში გატარებული ერთი კვირის გამო, სადაც სადისკუსიო კლუბ "ვალდაის" მონაწილის რანგში ვიმყოფებოდი. ეს იყო კრემლის მიერ ორგანიზებული ერთ-ერთი წარმატებული პიარ-ღონისძიება. გეთანხმებით, რომ სიტყვა "წარმატებული" შეიძლება პირობითად ვახსენოთ, ვინაიდან "პოზიტიური სახე" და "რუსეთი" დღეს ურთიერთგამომრიცხავ ცნებებს წარმოადგენს.

40-მდე უცხოელი მეცნიერისა და ჟურნალისტისგან დაკომპლექტებული ჯგუფის რომელიმე წევრს რუსეთის ძლევამოსილებაში ეჭვი რომ არ შეჰპარვოდა, ყველანი დასავლეთ ციმბირში, ხანტი-მანსიისკში წაგვიყვანეს. ერთი საინტერესო ფაქტი: ხანტი-მანსიისკის ავტონომიურ მხარეში, რომლის მოსახლეობა მილიონნახევარზე ნაკლებია, უფრო მეტ ნავთობს მოიპოვებენ, ვიდრე მთლიანად ამერიკის შეერთებულ შტატებში. მიხვდით, საით მიმყავს საუბარი? 2005 წელს ამ რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტი 105 პროცენტით გაიზარდა, ძირითადად, ნავთობის გაძვირების ხარჯზე.

ხანტი-მანსიისკის მხარეში განთავსებულია "იუგანსკნეფტეგაზის" შტაბ-ბინა, რომელიც ახლო წარსულში მიხაილ ხადარკოვსკის ნავთობის იმპერია "იუკოსის" მთავარ ბრილიანტს წარმოადგენდა, ახლა კი კრემლის მიერ კონტროლირებადი "ნავთობის ინდუსტრიის ფლაგმანის" ფილიალია.

"იუგანსკნეფტეგაზი" დღეში დაახლოებით მილიონ ბარელ ნავთობს მოიპოვებს; ჩვენ ვიყავით ექსკურსიაზე ობისპირეთის გიგანტურ საბადოზე, რომელიც ამ კომპანიას ეკუთვნის - მხოლოდ ის ერთი იძლევა დღეში 400 ათას ბარელს. გასაკვირი სულაც არ არის, რომ "როსნეფტი" უფრო მტკიცედ არის დარწმუნებული ამ ფილიალზე თავის უფლებებში, ვიდრე ბატონი ხადარკოვსკი (ამჟამად იგი იქვე ახლოს, აღმოსავლეთ ციმბირში ცხოვრობს) და განზრახული აქვს, "იუგანსკნეფთეგაზში" კაპიტალდაბანდებები გაასამმაგოს, რათა უახლოეს წლებში ნავთობის მოპოვება კიდევ 50 პროცენტით გაზარდოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უსისხლო გადატრიალება ტაილანდში

### ძალაუფლება გენერალიტეტის ხელში გადადის

*პრემიერ-მინისტრის ტაქსინ ჩინავატის პოსტიდან გადაყენებას, პარლამენტის დათხოვნასა და პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და მისი მთავარი მრჩევლის დაკავებას ტაილანდში საგანგებო მდგომარეობის შემოღება მოჰყვა. ერთი სიტყვით, ქვეყანაში უსისხლო გადატრიალება მოხდა და მთელი ძალაუფლება გენერალიტეტმა აიღო საკუთარ ხელში.*

ტაილანდელი სამხედროები, რომლებმაც კონსტიტუციის მოქმედება დროებით შეაჩერეს, დამატებით ზომებს იღებენ ხელისუფლებაში დიდხანს დარჩენის მიზნით, მაგრამ ეს განზრახვა სამხედროებმა სატელევიზიო მიმართვაში ოფიციალურ დონეზე უარყვეს. სახელმწიფო ტელევიზიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შეზღუდულია როგორც ეროვნული, ასევე უცხოური პრესის მუშაობა ტაილანდში. გათიშულია "ბი-ბი-სი"-ს, "სი-ენ-ენ"-ისა და სხვა უცხოური ტელევიზიების მაუწყებლობა; ტაილანდური არხები კი მხოლოდ სამეფო ოჯახის შესახებ გადაცემებსა და ტიხრებად პატრიოტული ხასიათის სიმღერებს უშვებენ. შეჩერებულია სასწავლო პროცესი სკოლებში და საფონდო ბირჟისა და ბანკების მუშაობა, რადგან ოთხშაბათი უქმე დღედ იყო გამოცხადებული. გარდა ამისა, აკრძალულია ნებისმიერი პოლიტიკური ხასიათის შეკრება, სადაც მონაწილეთა რიცხვი ხუთს აღემატება.

**"მართვის სადავეები ჩვენს ხელთაა. ჩვენ დროებით შევაჩერეთ კონსტიტუციის მოქმედება და უფლებამოსილება შევუწყვიტეთ სენატს, წარმომადგენელთა პალატას, მინისტრთა კაბინეტსა და საკონსტიტუციო სასამართლოს. სახელმწიფო გადატრიალება ტაილანდის გაერთიანებისთვის იყო საჭირო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ დიდხანს ვაპირებთ ხელისუფლების სათავეში ყოფნას.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# კანონდამრღვევი მოსამართლეები

*საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ დალი მეტრეველმა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ ნუნუ ალასანიამ სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე გაკეთებული დასკვნის თანახმად, კანონის რამდენიმე მუხლი დაარღვიეს. ამიტომაც, საქართველოს ომბუდსმენი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მათ მიმართ დისციპლინარული დევნის აღძვრას სთხოვს.*

საქმე ისაა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა მსჯავრდებულ კონსტანტინე ფარესიშვილის მამამ ზურაბ ფარესიშვილმა. განმცხადებლის ინფორმაციით, მოსამართლეებმა - დალი მეტრეველმა და ნუნუ ალასანიამ მისი შვილის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას, უხეშად დაარღვიეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა კონსტანტინე ფარესიშვილის საქმე და რამდენიმე სახის კანონდარღვევა აღმოაჩინა..

სახალხო დამცველის აპარატის განცხადებით, 2005 წლის 4 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე დალი მეტრეველის განაჩენით, კონსტანტინე ფარესიშვილი დამნაშავედ ცნეს და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და ათი თვის ვადით. ამას დაემატა 2004 წლის 6 თებერვლის განაჩენით გათვალისწინებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ განესაზღვრა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მითითებულია, რომ დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია პირობით გამოსაცდელ ვადაში ჩადენილი დანაშაული.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ოპოზიციის პროგრამის პრეზენტაცია

საარჩევნო ბლოკმა "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილი" გუშინ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის პრეზენტაცია გამართა.

ბლოკის ლიდერის, თინათინ ხიდაშელის განცხადებით, მათთვის პრიორიტეტული მოსახლეობის პირველადი პრობლემების მოგვარება და სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება იქნება.

"ალბათ ბევრმა არ იცის, რომ დღეს გასართობ ღონისძიებებზე სამჯერ მეტი იხარჯება, ვიდრე ქალაქის ბიჯეტში ჯანდაცვაზეა გამოყოფილი. ამავე დროს, თბილისს სამჯერ ნაკლები სასწრაფო დახმარების მანქანა ემსახურება, ვიდრე მოსახლეობის რაოდენობა მოითხოვს. ამასთანავე აქტიურად დგას საავადმყოფოებში სასწრაფო ბრიგადების მიერ მიყვანილ პაციენტთა მკურნალობის საკითხი. ჯერ კითხულობენ გადაიხდის თუ არა და შემდეგ იწყებენ პაციენტის მომსახურებას", - განაცხადა ხიდაშელმა.

მისი განმარტებით, ამ საკითხების მოგვარება ბლოკისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი იქნება.

*ინტერპრესნიუსი*

# თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 92.0

*მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ზვიად ქორიძეს. პირდაპირ ეთერში სატელეფონო ხაზზე არიან საკრებულოს წევრობის კანდიდატები სხვადასხვა პარტიიდან. გადაცემის თემაა პოლიტიკური რეკლამა და მისი როლი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში.*

**ზვიად ქორიძე:** დღეს სტუდიაში სტუმარი არ გვეყოლება, მაგრამ გვექნება ბევრი სატელეფონო ჩართვა, იმათთან, ვინც პირად ან პარტიის რეკლამირებას ეწევა. ჩვენ ვისაუბრებთ პოლიტიკურ რეკლამაზე. სატელეფონო ხაზზეა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი "ნაციონალური მოძრაობიდან" გიორგი ტაბიძე.

ბატონო გიორგი, მოგწონთ თუ არა ის პოლიტიკური რეკლამა, რომელიც არჩევნებამდე ორი კვირით ადრე მასმედიით გადაიცემა?

**გიორგი ტაბიძე:** როგორც იტყვიან, გემოვნებაზე არ დავობენ. ჩვენ ვსაუბრობთ იმ ფაქტებზე, რასაც რეალურად ვაკეთებთ. ამის მიხვედრა ძალზე ადვილია ნებისმიერი ადამიანისთვის, თუკი იგი პოლიტიკურად ანგაჟირებული არ არის.

**ზ. ქ.:** ყველა პარტია წარმართავს წინასაარჩევნო კამპანიას "ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით. ეს რამდენად ნორმალურია?

**გ. ტ.:** თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ყველაფერი არჩევნებისთვის კეთდება, მით უფრო უკეთესი - ჯერ ადგილობრივი არჩევნები იქნება, მერე საპარლამენტო, შემდეგ საპრეზიდენტო...

**ზ. ქ.:** ის რეკლამა, რომელიც ეთერში გადის, იქონიებს გავლენას ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე?

**გ. ტ.:** გამოკითხვებით ვიცი, რომ "ნაციონალურ მოძრაობას", თუნდაც საბურთალოს რაიონში, სადაც კენჭს ვიყრი, 80 პროცენტი დაუჭერს მხარს. მთელ თბილისშიც ასეთი განწყობაა.

**ზ. ქ.:** თქვენ თვითონ გააკეთეთ რეკლამა?

**გ. ტ.:** ჩვენ ერთი გუნდი ვართ. ეს არის სააკაშვილი-უგულავას გუნდი. ჩვენ, მაჟორიტარები, ვართ ამ გუდის ჯარისკაცები. ამიტომაც მაჟორიტარების რეკლამა ცალკე არ კეთდება.

**ზ. ქ.:** მომდევნო სატელეფონო ჩართვა "ლეიბორისტ" ჯონდი ბაღათურიასთან გვექნება.

ბატონო ჯონდი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს რამდენად აქტუალურს ხდის ის რეკლამა, რომელიც ეთერში გადის?

**ჯონდი ბაღათურია:** არც ერთი პარტიის სარეკლამო კამპანიით არ ვარ მოხიბლული. გარდა ამისა, შეფასებისას ობიექტური ვერ ვიქნები. პოლიტიკოსი ვარ და ვიცი, რაც დგას ამ სარეკლამო ყაყანის უკან. ალბათ, უფრო მაღალი ხარისხის სარეკლამო კამპანიის წარმოება შეიძლებოდა ყველა პარტიის მხრიდან. არსებობს ობიექტური მიზეზი - უფულობა. ზოგიერთი ფულიანი პარტია გამოცდილების და ინტელექტის დეფიციტს განიცდის...

**ზ. ქ.:** თქვენი ან თქვენი პარტიის სარეკლამო კამპანიაში არის სიცრუე რაიმე დოზით? რით უპირისპირდებით ხელისუფლების სარეკლამო კამპანიას?

**დ. ბ.:** ვცდილობთ, ჩვენი მიღწევები, რეალური გამარჯვებები წამოვწიოთ წინა პლანზე. ოპოზიციამ მიაღწია გარკვეულ სიმწიფეს.

**ზ. ქ.:** თუმცა ისეთ სიმწიფეს ვერა, რომ კოალიცია შეექმნა?

**დ. ბ.:** ეს ოპოზიციის შეცდომა იყო. ხელისუფლებამ გვაჯობა. ჯგუფური დაპირისპირების მიუხედავად, იგი გამოდის ერთიანი გუნდით. ოპოზიცია შეცდა მაშინ, როცა ბოიკოტი უარყო. ეს იქნებოდა ხელისუფლებასთან დაპირისპირების ყველაზე ეფექტური ფორმა. ჩვენს გაერთიანებას ხელი შეუშალა იმ ფაქტმა, რომ ხელისუფლებას ზოგიერთ პრატიაში ხალხი ჰყავდა შეგზავნილი.

**ზ. ქ.:** ვის გულისხმობთ, ვინ არის ოპოზიციის დამანგრეველი? ხალხს კონკრეტულ კითხვაზე კონკრტული პასუხი აინტერესებს...

**დ. ბ.:** ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ. ამას შეგნებულად ვაკეთებ. ასეთი სტრატეგია გვაქვს, არ ვაკრიტიკებ არავის. ხელისუფლების გარდა, კიდევ სხვა მოწინააღმდეგე რატომ უნდა გავიჩინო?

**ზ. ქ.:** სატელეფონო ხაზზეა "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი დავით მესხიშვილი. ბატონო დავით, მოგწონთ თქვენი პარტიის რეკლამა?

**დავით მესხიშვილი:** მგონი არც მინახავს. მე ვადევნებ თვალყურს ისეთ სარეკლამო რგოლებს, რომელიც ეხება საქმეს, კონკრეტულ ღონისძიებას. ისეთი რეკლამა, რომელშიც ნათქვამია, შემოხაზეთ ნომერი ხუთიო, არ მინახავს. მხოლოდ "ლეიბორისტების" რეკლამა ვნახე. ვფიქრობ. რაღაცები არასწორად აქვთ დაგეგმილი. ან სააკაშვილი, ან ნათელაშვილი - იმდენად უნიჭოდ და არასერიოზულად არის დასმული საკითხი, უბრალოდ, სასაცილოა. ეს რეკლამა ჩვენზე მუშაობს.

**ზ. ქ.:** რას შეცვლიდით პიარკამპანიის თვალსაზრისით?

**დ. მ.:** მოსახლეობასთან ურთიერთობისას საჭიროა მეტი კონკრეტიკა. მაგალითად, "მრეწველების" რეკლამა ვნახე და ვერაფერი გავიგე.

**გიორგი ხუხაშვილი, საკრებულოს მაჟორიტარი კანდიდატი "რესპუბლიკური პარტიიდან":** სამწუხაროდ, ის, რაც მასმედიით ვრცელდება, ეს არის ბაქქანალია. სახელისუფლებო ძალები პოლიტიკური რეკლამისთვის საბიუჯეტო სახსრებს იყენებენ. თუმცა, რეკლამირების თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ "გადაამლაშა". მაგალითად, უგულავას მრავალსერიანი "გაპიარება" მოსახლეობას უკვე აღიზიანებს.

**გიორგი ცაგარეიშვილი, "მრეწველთა" პარტიის წარმომადგენელი:** სამწუხაროდ, რეკლამის ავკარგიანობა მარტოოდენ პარტიებზე არ არის დამოკიდებული. ტელეკომპანია "იმედს" ვერაფრით გავაგებინეთ, რომ კანონით გვეკუთვნის უფასო დრო. არათანაბარ პირობებში ვიმყოფებით, ამიტომ პოლიტიკური რეკლამის კულტურაზე საუბარი ცოტა გამიჭირდება.

ჩვენი ქალიშვილის, ელენე შენგელაიას დაღუპვის გამო გამოჩენილი თანაგრძნობისათვის, ულრმეს მადლობას ვუხდით,

საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს, ქართულ ეკლესიას, საქართველოს პრეზიდენტს - მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს - ნინო ბურჯანაძეს, საქართველოს ხელისუფლებას, აგრეთვე ყველა პოლიტიკურ მოღვაწეს, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი უსაზღვრო მწუხარება.

განსაკუთრებული მადლიერება გვინდა გამოვხატოთ მთელი ქართული საზოგადოების, ყველა ადამიანის, ახლობელისა თუ უცნობის მიმართ იმ მხარდაჭერისა და თანაგრძნობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს ჩვენი ოჯახისათვის უმძიმესი განსაცდელის ჟამს.

ასევე, გვინდა მადლობა გადავუხადოთ სხვა ქვეყნების შემოქმედებით ორგანიზაციებს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, ცალკეულ პიროვნებებს, იმ თანადგომისათვის, რომელიც მათ ჩვენ მიმართ გამოხატეს.

**ნელი და ელდარ შენგელაიები**

# მატყუარა პრემიერ-მინისტრი არ გადადგება...

### ბუდაპეშტში კი მღელვარება არ ცხრება

თეა მაისურაძე

უნგრეთში საპროტესტო გამოსვლები გრძელდება. აქციის მონაწილეები პრემიერ-მინისტრის, ფერენც გურჩანის გადადგომას მოითხოვენ.

გუშინ, საპროტესტო აქციების მესამე დღეს, შეტაკება მოხდა პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის, რომლებიც მმართველი სოციალისტური პარტიის შენობაში შესცვლას ცდილობდნენ. შეტაკებების დროს რამდენიმე ადამიანი დაშავდა, რასაც მოჰყვა ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქცია პარლამენტის შენობის წინ. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ბოლო სამი დღის განმავლობაში, აღელვებულ მოსახლეობასა და პოლიციას შორის შეტაკებების შედეგად სულ 150 ადამიანი დაშავდა, აქედან 102 პოლიციელია.

სამშაბათს კი დემონსტრანტების მცირე ჯგუფმა ბუდაპეშტის ცენტრში ბარიკადები აღმართეს, მანქანებს ცეცხლი წაუკიდეს და პოლიციის მისამართით ცეცხლგამჩენი ბოთლების სროლა დაიწყეს, ხოლო ამ უკანასკნელმა წყლის ჭავლითა და ცრემლსადენი გაზით უპასუხა. ქალაქში წესრიგის დამყარების მიზნით გადაკეტილია ცენტრალური ქუჩები.



*მოსახლეობა საპროტესტო აქციების შეწყვეტას არ აპირებს.*

შეგახსენებთ, რომ მოსახლეობის მღელვარება უნგრეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებამ გამოიწვია, როდესაც მან აღნიშნა, რომ ის არჩევნებში გამარჯვებისათვის ბევრს იტყუებოდა: **"ჩვენ ვიტყუებოდით ყოველთვის, დილით, შუადღისით, ღამით"**. გურჩანის ეს კომენტარი მინისტრთა კაბინეტთან არაოფიციალური შეხვედრის დროს არის ჩაწერილი, აპრილის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე.

გურჩანმა არჩევნებში იმ დაპირებით გაიმარჯვა, რომ გადასახადებს შეამცირებდა, თუმცა პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავების შემდეგ, ბიუჯეტის დეფიციტის დაძლევის მიზნით გადასახადებს განუხრელად ზრდის.

სამშაბათს, უნგრეთის პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც დაგმო ის ძალადობა, რომელსაც ადგილი აქვს დედაქალაქში, ხოლო უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა კი ორშაბათის საპროტესო აქციას 1989 წელს კომუნიზმის დამხობის შემდეგ ყველაზე გრძელი და ბნელი ღამე უწოდა. მან არაერთი პრესკონფერენცია გამართა გასული სამი დღის განმავლობაში და არაერთხელ აღნიშნა, რომ მსგავსი აქციების განმეორებას აღარ დაუშვებს. იგი უარყოფს მოწინააღმდეგეების მოწოდებას მისი გადადგომის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დარჩება პრემიერ-მინისტრის პოსტზე და გააგრძელებს დაწყებულ ეკონომიკურ რეფორმებს მომავალ არჩევნებამდე, რაც, მისი აზრით, მიზანშიმართულია ბიუჯეტის დეფიციტის იმ დონემდე შესამცირებლად, რომ 2010 წლისათვის უნგრეთმა შეძლოს ერთიან ევროპულ ვალუტაზე გადასვლა. შესაბამისად, სოციალისტური პარტიაც მასთან ერთად იმუშავებს: **"მთავრობა აქტიურად გააგრძელებს მუშაობას იმისათვის, რომ განამტკიცოს ქვეყნის განვითარება და ეკონომიკური სტაბილურობა"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

უნგრეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში გადასახადების მნიშვნელოვნად შემცირებას მოითხოვს, ხოლო მცირე ნაწილი კი ამის აუცილებლობას ვერ ხედავს და მიიჩნევს, რომ მათთვის გაუგებარია ამგვარი ზომების გატარება მაშინ, როდესაც უნგრეთის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი ბოლო ათი წლის განმავლობაში დაახლოებით 50%-ით გაიზარდა.

მოსახლეობა საპროტესტო აქციების შეწყვეტას არ აპირებს. ევროკავშირი კი უნგრეთის ხელისუფლებას მოუწოდებს უფრო აქტიურად იმუშავოს მოქალაქეთა ფინანსური და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

# აჭარაში ოპოზიცია არჩევნების გაყალბებაზე საუბრობს

*აჭარაში წინასაარჩევნო კამპანია პოლიტიკოსებმა ამომრჩეველთან შეხვედრებით დაიწყეს. ხელისუფლება მათ თანადგომას თხოვს. ოპოზიცია - მოსალოდნელ გაყალბებებზე საუბრობს, მოსახლეობა კი - არჩევნების მიმართ, კვლავ ინდიფერენტულადაა განწყობილი.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

აჭარის ხელისუფლება გამარჯვებაში დარწმუნებულია. საარჩევნო კამპანიას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, ლევან ვარშალომიძე ხელმძღვანელობს. ოპოზიციის ბრალდებით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სახელისუფლო რესურსების სრულად გამოყენებით არჩევნებში 100 პროცენტიანი გამარჯვებისათვის იბრძვის. "რესპუბლიკელი" მურმან დუმბაძის განცხადებით, ვარშალომიძე ხელისუფლებაში დასაქმებულ პირებს ოპოზიციის ერთი კანდიდატის გასვლის შემთხვევაშიც კი სამსახურიდან დათხოვნით ემუქრება.

"ლეიბორისტული პარტიის" რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის დავით რობაქიძის განცხადებით, მმართველი პარტია ტოტალური გაყალბებისათვის ემზადება. მისი თქმით, აჭარის სახელმწიფო ტელევიზია და გაზეთი "აჭარა" მხოლოდ მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიას აშუქებენ და არანაირ ბალანსს არ იცავს. კიდევ ერთი ბრალდება, რომელსაც რობაქიძე ხელისუფლებას უყენებს, საარჩევნო სიების გაყალბებაა: **"2003 წლის არჩევნების დროს სიები უპრეცედენტოდ გაბერეს და ბათუმში ამომრჩეველთა რაოდენობა ხელოვნურად 74-დან 90 ათასამდე აიყვანეს. დღეს ე.წ. გადამოწმებულ სიაში 88 868 ამომრჩეველია რეგისტრირებული. სიები აშკარად გაბერილია, რაც არჩევნების გაყალბების რეალურ წინაპირობას ქმნის"**.

საარჩევნო მარათონში ყველაზე პესიმისტურად "მრეწველები" გამოიყურებიან. პარტიის ადგილობრივი ხელმძღვანელის, მაილო ჯაშის თქმით, არჩევნების შედეგები მათთვის წინასწარ არის ცნობილი, ამიტომაც არანაირი გეგმა არ აქვთ: **"ჩვენ ვიცით, რომ ხელისუფლება არჩევნების მოგებას ნებისმიერი მეთოდით შეეცდება"**.

გაცილებით ოპტიმისტურად არიან განწყობილნი ბლოკ "დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილის" წარმომადგენლები. დავით ბერძენიშვილის თქმით, ხელისუფლების კანდიდატები მასთან დებატებს გაურბიან, ამიტომ საპაექროდ ნაცადი ხერხის გამოყენებას აპირებს: **"ასლან აბაშიძესთან "ბენზეში" წინასაარჩევნო შეხვედრაზე მივედი და დებატები შევთავაზე. ახლაც გადავწყვიტე, ამათ შეხვედრებზე თავად მივიდე და დებატები იქ გავუმართო"**.

ამომრჩევლთა მოსყიდვის ფაქტებსა და საარჩევნო სიების გაბერვაზე ბერძენიშვილიც საუბრობს. **"თუ 1990 წლის არჩევნებში ბათუმში 75 ათასი ამომრჩეველი იყო, როცა 1989 წლის აღწერით ქალაქში 140 ათასი კაცი ცხოვრობდა, ახლა რანაირად გახდა 88 ათასი ამომრჩეველი, როცა 2002 წლის აღწერით 121 ათასი მცხოვრებია დაფიქსირებული?"**

ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი თავართქილაძე, რომელიც ბათუმის საკრებულოს წევრთა კანდიდატების სიას ხელმძღვანელობს, ოპოზიციის ბრალდებებს უარყოფს. მისი თქმით, იგი არავის გაურბის: **"საჯაროდ ვხვდებით მოსახლეობას და შეუძლიათ მოვიდნენ. მათ დებატების, ლაპარაკის გზა აირჩიეს, ჩვენ - საქმის კეთების. თქვან კონკრეტულად რა გააკეთეს და ჩვენს გაკეთებულს შეადარონ"**.

რაც შეეხება ამომრჩევლებს, მათი დიდი ნაწილის აზრით, 5 ოქტომბერი არსებითად არაფერს შეცვლის.

მზია გადელია აფხაზეთიდან დევნილია. იგი ამჟამად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს, მაგრამ, არჩევნებში მონაწილეობას უცილობლად აპირებს. მას სჯერა ქვეყნის პრეზიდენტის და მზად არის სახელისუფლო პარტიას თამამად დაუჭიროს მხარი: **"თუ ჩვენს პრეზიდენტს გვერდით ამოვუდგებით, ქალაქის თვითმმართველობა ბევრ რამეს გააკეთებს"**.

ერას ქუჩაზე მცხოვრებ ჯუმბერ ბერიძეს არჩევნებზე წასვლა-არწასვლის საკითხი ჯერ ვერ გადაუწყვეტია: **"არჩევნებისაგან არაფერს ველი. თითქოს რაღაცები კეთდება, მაგრამ გლეხისთვის, უბრალო კაცისთვის არაფერი იცვლება. ქალაქი რომ გაანათეს კარგია, მაგრამ მე ისევ ისე მშიერი ვარ, შუქი კი ორჯერ გაძვირდა. არ ვმუშაობ, როგორ გადავიხადო? კრედიტს არავინ გვაძლევს, რომ რაიმე საქმიანობა დავიწყოთ. ამდენი სახლების შეღებვასა და ზიზილ-პიპილოებს, სჯობდა ქალაქში ბუნებრივი გაზის გაყვანა დაესრულებინათ. ზამთარი მოდის და გავიყინებით"**.

ბერიძის აზრს იზიარებენ მისი მეზობლებიც. მათი თქმით, დღეს მათთან "ნაციონალები" იყვნენ, ხვალ "რესპუბლიკელები" მივლენ. **"ხმა ვის მივცეთ არ ვიცით, თუმცა, არა გვგონია, რომ არჩევნებით რაიმე შეიცვალოს"**, - აბობენ ისინი.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე
10 % - დან 30 % - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ "საქართველოს ტელეკომში"
**ერთი ნომერი** - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქ.თბილისის ტელეფონი)
**მეორე ნომერი** - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისათვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით "საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია!!! ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია
მხოლოდ **8-10** -ით

www.telecom.ge

## მოკლედ

### შეხვედრები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ჩეჩელაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში შეხვედრები გამართა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში დევიდ კრამერთან, ევროპისა და ევრაზიისთვის აშშ-ის დახმარების კოორდინატორთან თომას ადამსთან, კავკასიურ საქმეთა და რეგიონალური კონფლიქტების ოფისის დირექტორთან ელიზაბეტ რუდთან და უკრაინის, მოლდოვასა და ბელორუსის ოფისის დირექტორთან ბობ ბოემთან შეხვედრისას ვალერი ჩეჩელაშვილმა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობა განიხილა.

შეხვედრებზე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებულ ახალ ინიციატივებსა და რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივებზეც იმსჯელეს. **ინტერპრესნიუსი**

### საქართველო "ტერორიზმის პრევენციის შესახებ" ევროსაბჭოს კონვენციას უერთდება

კონვენციის რატიფიკაცია პარლამენტში უახლოეს საშემოდგომო სესიაზე მოხდება. კონვენციასთან მიერთება ტერორიზმის პრევენციის და მისი ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებებში საქართველოს მონაწილეობას გაზრდის. კონვენციასთან მიერთების ფორმატში ე.წ. ტერიტორიული დათქმა კეთდება, რომლის მიხედვითაც საქართველოსთვის კონვენციით აკრძალული ნორმები ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, სადაც საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდება.

იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანა საკუთარ იურისდიქციას გააფართოებს, (ჩვენ შემთხვევაში საუბარია ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დაბრუნების საკითხზე), ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სახელზე სახელმწიფო გააკეთებს საგანგებო მიმართვას და შესაბამისად კონვენციის მოქმედების არეალი გაიზრდება.

გუშინ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე ეს საკითხი იუსტიციის მინისტრის მოადგილემ დიმიტრი ძაგნიძემ წარმოადგინა.

მისი განმარტებით, ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებების პროექტი სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის მიხედვითაც, საქართველოს კანონმდებლობით, უკვე დასჯადია ევროსაბჭოს კონვენციით აკრძალული ნორმები, კერძოდ, ტერორისტების წვრთნა და საჯარო განცხადება ტერორისტული მოწოდებები. **ინტერპრესნიუსი**

### ილია II-მ საიუბილეო კონფერენცია გახსნა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გუშინ ქუთაისში გელათის სამონასტრო კომპლექსის 900 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონფერენცია გახსნა.

კონფერენციას, რომელიც ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში იმართება, ათეულობით მეცნიერი ესწრება. პატრიარქმა გელათის მეცნიერებათა აკადემიას წმინდა გიორგის ოქროს ორდენი გადასცა.

დღეს გელათის აგებიდან 900 წელი სრულდება. ამასთან დაკავშირებით, ილია II მონასტერში საზეიმო წირვას აღავლენს. იგი ქუთაისში გუშინწინ საღამოს ჩავიდა. კათოლიკოს-პატრიარქი სამი დღის განმავლობაში ახალ აშენებულ ტაძრებსაც მოინახულებს. **ინტერპრესნიუსი**

### ტფილისის "გათბილისებიდან" 70 წელი შესრულდა

ამ თარიღთან დაკავშირებით, ორგანიზაცია "ტფილისის ჰამქრის" წევრების ინიციატივით, პარლამენტის შენობის წინ საინფორმაციო აქცია გაიმართა. ღონისძიებას ფონად მეარღნის მიერ შესრულებული თბილისური ჰანგები გასდევდა.

როგორც აქციის ერთ-ერთმა ორაგნიზატორმა, "ტფილსის ჰამქრის" უსტაბაშმა ალექსანდრე ელისაშვილმა განაცხადა, დაარსებიდან 1936 წლამდე თბილისს ტფილისი ერქვა, ქართველ ენათმეცნიერთა რჩევით და საბჭოთა ხელისუფლების ნებით, ქართულად ტფილისი გახდა თბილისი, უცხოურად კი ტიფლის, გახდა ტბილისი. განკარგულებას ხელს მიხეილ კალინინი აწერდა.

აქციის მონაწილეთა განცხადებით ისინი საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენებენ, რომ სახელი თბილისი - 70 წლისაა, ტფილისი კი 1 700-ის. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# "დამოუკიდებლობიდან" ყველის ფესტივალამდე

პირველი გვერდიდან

**"რუსეთმა უკვე დიდი ხანია უარი თქვა მომრიგებლის ფუნქციაზე და კონფლიქტის წამქეზებელ მხარედ ჩამოყალიბდა. იგი კონკრეტული ქმედებებით უხეშად ერევა საქართველოს შიდა საქმეებში და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების იგნორირებით ხელყოფს მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას"**, - აღნიშნულია სამინისტროს საპროტესტო განცხადებაში.

საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ ცხინვალის რეჟიმის მხარდაჭერა მოსკოვის მთავრობისა და პირადად ლუჟკოვის მხრიდან ახალი არ არის. იგი საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით სისტემატურად ეხმარება სეპარატისტებს.

2005 წლის ივნისში საქართველოს მხარის არაერთი მოთხოვნისა და გაფრთხილების მიუხედავად, როკის გვირაბის გავლით, მოსკოვის მთავრობის მიერ კონფლიქტის ზონაში "ჰუმანიტარული ტვირთის" საფარქვეშ შეტანილ იქნა სამხედრო დანიშნულების მქონე ტვირთი.

გარდა ამისა, 2005 წლის ზაფხულში ლუჟკოვმა ძარის შემოვლითი გზის კაპიტალური რემონტისთვის, რომლის პირველი ეტაპი უკვე დასრულდა, ცხინვალს 1,5 მილიონი დოლარი გადასცა. საქართველოს საგარეო უწყების აზრით, ამ გზით შესაძლებელია საკმაოდ მარტივად და სწრაფად მოხდეს ბანდფორმირებებისა და მძიმე შეიარაღების შეყვანა კონფლიქტის ზონაში, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა.



*საეჭვოა, ლუჟკოვს თვითნებურად ეწარმოებინა მოლაპარაკებები სეპარატისტებთან.*

**"ქართულმა მხარემ არაერთხელ განაცხადა, რომ რუსული სახელმწიფო სტრუქტურები და კომპანიები საქართველოს კანონმდებლობის გვერდის ავლით და საერთაშორისო სამართლის პრინციპების უხეში დარღვევით ახორციელებენ კაპიტალდაბანდებებს იმ პროექტების რეალიზაციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხინვალის რეჟიმის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების საქართველოსგან დამოუკიდებლად გაზითა და ელექტროენერგიით მომარაგებას რუსეთის სისტემასთან მიერთების გზით"**, - აცხადებს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საგარეო უწყებამ რუსეთის მხარეს კიდევ ერთხელ მოუწოდა ამგვარი ქმედებებისაგან თავი შეიკავოს, ხოლო მსოფლიო თანამეგობრობას - ამ ქმედებებს შეფასება მისცეს.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ რუსეთის რეგიონების წახალისება თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებთან კონტაქტებისათვის ამ უკანასკნელთა რუსეთის კმაყოფაზე აყვანას ემსახურება. გაურკვეველი სტატუსისა და განუვითარებელი ეკონომიკის მქონე სეპარატისტული წარმონაქმნები ამგვარ "დონორთა" დახმარების გარეშე სიცოცხლისუუნაროები არიან, რუსული პასპორტებისა და პენსიების გაცემის მიუხედავად. ასეთი "იატაკქვეშა" ეკონომიკური დახმარება ვერც აფხაზეთის და ვერც სამხრეთ ოსეთის მდგომარეობას დიდად ვერ შეცვლის.

თუმცა, გამორჩეული მნიშვნელობა ჩრდილოეთ ოსეთის ცხინვალთან შემაერთებელი გაზსადენის მშენებლობის პროექტს აქვს, რომელმაც სამხრეთ ოსეთი საქართველოს გაზის დისტრიბიუციის სისტემას უნდა მოწყვიტოს. ის იმდენად ძვირადღირებულია და რთულია ტექნიკური თვალსაზრისით, რომ მისი განხორციელება რუსეთის მხრიდან საქართველოსთან მრავალი წლის განმავლობაში მწვავე დაპირისპირებისათვის მზადყოფნის მანიშნებელი იქნება.

# კრემლის პიარი თუ გაცილებით მეტი რამ?

პირველი გვერდიდან

როდესაც მოსკოვში დავბრუნდით, კრემლის პოლიტტექნოლოგებმა განიზრახეს, ყველაფრისთვის ნათელი მოეფინათ და ჯიუტ და ფრენით დაღლილ სტუმრებს კარგად აეთვისებინათ, რასაც ეტყოდნენ. კრემლის მაღალჩინოსანმა დაიჩივლა, რომ პუტინის მემკვიდრის გარშემო უკვე გაჩაღდა ბრძოლა კეთილ (მისი მსგავსი ლიბერალები) და ბოროტ ძალებს ("ძალოვნები" - ბიჭები მსხვილი ზარბაზნებით და სქელი დოსიეებით) შორის, ამერიკის იდიოტური პოლიტიკა კი "ბნელი ძალების" წისქვილზე ასხამს წყალს. ის, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში ვერ გაფორმდა ხელშეკრულება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის მიღების შესახებ, "უდიდესი შეცდომაა", რომელიც ძალიან ასუსტებს ლიბერალების პოზიციას. ჩვენმა თანამოსაუბრემ შესაშური თავდაჯერებით და ემოციით განაცხადა: "ჩვენ, ახალგაზრდა ლიბერალებს, მხოლოდ პუტინისა გვჯერა! პრეზიდენტ ბუშისგან განსხვავებით, რომელიც ასევე 2008 წელს ტოვებს პოლიტიკურ არსენას, პუტინს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება "მემკვიდრის შერჩევის" საკითხში. სასიხარულოა, რომ ამის შესახებ მან პირდაპირ, დემოკრატიულ პროცედურებზე და სხვა მსგავს წვრილმანებზე ყბედობის გარეშე განაცხადა."

შეუძლებელია დაადგინო, ამ ჭკვიან და მჭერმეტყველ ბატონს მართლა სჯერა ის, რასაც ლაპარაკობს, თუ საქმე გვაქვს ნიჭიერ მსახიობთან და "დიდ კომბინატორთან". როგორც ჩანს, მასში ერთიც არის და მეორეც. იმის გაგება, რეალურად რა ხდება კრემლში, ხახვის გაფცქვნას ჰგავს: ვაცლით მას ფურცლებს და მხოლოდ ერთში ვართ დარწმუნებულნი - ადრე თუ გვიან, თვალებიდან ცრემლები წამოგვივა. რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესი შეიძლება განისაზღვროს, როგორც "დემოკრატია ცალკე აღებულ კრემლში" - ეს არის პრაქტიკულად გაუმჭვირვალე, დაუნდობელი ბრძოლა, რომელშიც ფსონები ძალიან მაღალია როგორც მასში მონაწილეთათვის, ასევე კრემლის კედლებს მიღმა მყოფთათვის.

მეორე მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება, რომელიც ჩემს თანამოსაუბრესთან შეხვედრების შემდეგ შემექმნა, მდგომარეობს შემდეგში: კრემლის კედლებს შიგნით მყოფი ადამიანები თავს ისე გრძნობენ, თითქოს ალყაშემორტყმულ ციხეში არიან. უბრალო, რიგით რუსებზე დაყრდნობა არ შეიძლება, უცხოელი პარტნიორები კი სისტემატურად თაღლითობენ და "იტყუებიან" (ჩვენი მომხიბლავი ვიზავი ამ სიტყვას ყველაზე ხშირად იყენებდა). შედეგად, კრემლის ბოსი ზურმუხტ-ქალაქის ჯადოქრად წარმოვიდგინე - ის, ვინც ფარდის მეორე მხარეს იმყოფება, მას შიშით და მოწიწებით უყურებს, თავად კი დროდადრო მიმართავს იმპროვიზაციას, იყენებს სხვადასხვა ბერკეტს ისე, რომ სასურველი შედეგის მიღებაში ბოლომდე დარწმუნებული არ არის.

თუმცა, ჩვენ ჯადოქარი მაინც ვნახეთ. მან მიგვიღო შთამბეჭდავ, ქალაქის გარეთ არსებულ რეზიდენციაში, რომელიც ოდესღაც რომანოვების დინასტიის ერთ-ერთ ბოლო დიდმთავარს ეკუთვნოდა. ხუთი კერძისგან შემდგარ მდიდრულ სადილზე ბატონი პუტინი სამი საათის განმავლობაში პაუზებით პასუხობდა სტუმრების შეკითხვებს. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ იგი ერთგვარად გაწბილებულიც კი იყო იმით, რომ შეხვედრის მონაწილეები ძალიან იოლ შეკითხვებს უსვამდნენ. ბატონ პუტინისთვის, რომელსაც გამოწვევების მიღება შეუძლია, ასეთი "ბალიშებით ბრძოლა" საკმაოდ უინტერესო იყო. გარდა ამისა, იგი ცივსისხლიანი ადამიანი ჩანს, ამ სიტყვების როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით: სასადილო ოთახში საკმაოდ ცხელოდა, მაგრამ მას სახეზე ერთი წვეთი ოფლიც კი არ გამოსვლია, მაშინ, როდესაც ჩვენ გამუდმებით ვიწმენდდით შუბლს, ზოგიერთმა კი, პროტოკოლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, პიჯაკი გაიხადა.

მისი მეორე თეზისი, რომლის ადრესატებიც ამერიკელები და ევროპელები ვიყავით, შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: რუსეთს გაუჩნდა არა მარტო ზემოქმედების ახალი ბერკეტები, არამედ მოქმედების ალტერნატიული ვარიანტები იმ შემთხვევისთვის, თუ ჩვენ რუსეთის ინტერესებს უდიერად მოვეკიდებით. პუტინმა გამორჩეული ყურადღება სტუმართა შორის დაუთმო ჩინეთის ერთადერთ წარმომადგენელს, შანხაის უნივერსიტეტის პროფესორს, რომელიც პრეზიდენტმა თავის მშობლიურ ქალაქში მიიპატიჟა. პუტინმა ქების სიტყვები არ დაიშურა შანხაის მიმართ, მას "პროგრესის განსაცვიფრებელი განსახიერება" უწოდა, ხოლო რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობები, რუსეთის ლიდერის აზრით, ვითარდება ისე, როგორც არასდროს. რაც შეეხება შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას (ახალი სტრუქტურა, რომელიც აერთიანებს რუსეთს, ჩინეთს და ცენტრალური აზიის ქვეყნებს და რომელიც ზოგიერთი ალარმისტის მიერ "ანტინატოდ" მოიაზრება), პუტინმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ თავადაც გულწრფელად არის განცვიფრებული ამ ორგანიზაციის სწრაფი განვითარებით. ორგანიზაციისა, რომელზეც, ბიპოლარული მსოფლიოს დაშლის შემდეგ, საკმაოდ დიდი მოთხოვნილება წარმოიშვა (მან ორჯერ წარმოთქვა "პატიოსან სიტყვას გაძლევთ", რათა მისი სიტყვები მეორე ყურში არ გაგვეტარებინა, მით უმეტეს, რომ "პინო გრიჯიო" ძალიან გაგვიტკბა). მართლაც რომ ასეა - პუტინის აზრით, რუსეთსა და ჩინეთს ერთმანეთთან ჩახუტებისკენ "მიზიდულობის ძალა" უბიძგებს. ასე რომ, ამერიკელებო და ევროპელებო, კმარა რუსეთის მიმართ საყვედურები - ჩვენს კარებზე დაჟინებით აკაკუნებს ტომარამოკიდებული ჩინეთი, რომელსაც უამრავი საჩუქარი მოაქვს. იტყვით, რომ ეს პიარია? მომავალი გვიჩვენებს.

# უსისხლო გადატრიალება ტაილანდში

პირველი გვერდიდან

**პრემიერ-მინისტრ ტაქსინის პოლიტიკამ საზოგადოება გახლიჩა, ააყვავა კორუფცია და ხელი შეუწყო ნეპოტიზმის გაბატონებას. გარდა ამისა, დამხობილი ხელისუფლება ხშირად შეურაცხჰყოფდა სამეფო ოჯახს. ამდენად, გენერალიტეტი იძულებული გახდა თვითონ მოსულიყო ხელისუფლების სათავეში, რათა უმოკლეს ვადებში შეძლოს წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება"**, - განაცხადა მეფისა და დედოფლის გიგანტური ფოტოების ფონზე პოლიციის მაღალჩინოსნების გარემოცვაში მყოფმა პუტჩის ორგანიზატორმა და ქვეითი ჯარების მეთაურმა, გენერალმა სონთხი ბუნიარატკალინმა სატელევიზიო მიმართვაში.





*პუტჩისტთა თქმით, სამხედრო გადატრიალების მიზეზი წინა ხელისუფლების ქმედებები იყო.*

სახელმწიფო გადატრიალებას მსხვერპლი არ მოჰყოლია - სამხედრო ჩინოვნიკებმა ბანგკოკში მთავრობის სახლი და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტები უსისხლოდ აიღეს, რის შემდეგაც ყველა სატელევიზიო არხი მხოლოდ მეამბოხეთა გამოსვლებს გადასცემდა. მიმართვაში სამხედროები მოსახლეობას თანამშრომლობისკენ მოუწოდებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია, მეამბოხეები კეთილგანწყობით მიიღო მეფემ, რის შემდეგაც ბევრი სამხედრო პირი ქუჩებში ყვითელი სამკლაურებით გამოჩნდნენ მეფისადმი პატივისცემის ნიშნად. ტაილანდში უკვე კომენდანტის საათი მოქმედებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე კონტროლს არმიის ჩინოვნიკები ახორციელებენ და მათ ყველა გუბერნატორი თუ სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელი ემორჩილება.

ტაილანდში სამხედრო გადატრიალება ქვეყანაში პრემიერ-მინისტრის არყოფნის დროს მოხდა. ამ დროს ტაქსინი გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე, ნიუ-იორკში იმყოფებოდა.

რაც შეეხება საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციას ტაილანდში განვითარებული მოვლენების მიმართ, იგი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია. გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის თქმით, ორგანიზაცია ხელისუფლების მხოლოდ დემოკრატიული მეთოდებით შეცვლას უჭერს მხარს და არავითარ შემთხვევაში სამხედრო გადატრიალებას.

ევროკავშირში ფინეთის წარმომადგენელმა (ფინეთი ევროკავშირის საბჭოს მოქმედი თავმჯდომარე-ქვეყანაა, - რედ.) "უაღრესი შეშფოთება" გამოთქვა ტაილანდში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით; აშშ-მ კი ტაილანდელებს "პოლიტიკური უთანხმოების აღმოფხვრის მშვიდობიანი გზებისკენ მოუწოდა". ტაილანდელი მეამბოხეებისადმი ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ოფიციალურ პირთა დამოკიდებულებაც ანალოგიურია.

უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ უკანასკნელ ხანს პრემიერ-მინისტრზე ზეწოლა განსაკუთრებით გააქტიურდა, მისი გადაყენება სურდა ბევრს, მათ შორის მეფესთან დაახლოებულ პირებს. პრემიერ-მინისტრისადმი უკმაყოფილება განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა და პოლიტიკური კრიზისის სახე მიიღო, როდესაც აპრილში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები ჩაიშალა.

მასობრივი უკმაყოფილების მიუხედავად, ტაილანდში ამჟამად შექმნილი ვითარებით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი რადიკალური მოქმედება მოსახლეობისთვის მაინც მოულოდნელი იყო, რადგან აზიაში ერთ-ერთ წამყვან დემოკრატიულ ქვეყნად აღიარებულ ტაილანდში ბოლო 15 წლის მანძილზე სამხედრო გადატრიალების მცდელობაც კი არ ყოფილა. თუმცა, ამბოხის ტრადიცია გასულ საუკუნეში უცხო არ იყო ტაილანდისთვის, მარტო 1932 წლიდან 1991 წლამდე ქვეყანამ სამხედრო გადატრიალების 17 მცდელობა გადაიტანა. თუმცა, დაბნეულობის მიუხედავად, როგორც რიგით მოქალაქეებში, ასევე პოლიტიკოსებში გაცილებით თვალშისაცემია ცნობისმოყვარეობა და ერთგვარი კმაყოფილებაც.

**"მოხარული ვარ, რომ პრემიერ-მინისტრს პოსტი დაატოვებინეს, გაცილებით უკეთესი იქნებოდა ეს მას საკუთარი სურვილით გაეკეთებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი საკმაოდ ჯიუტია. რა გაეწყობა, გადაყენება ხომ მაინც სჯობია თავდასხმას"**, - განაცხადა ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა სენატორმა.

სამხედრო გადატრიალების მიუხედავად, ქვეყანაში სტაბილურობა მაინც შენარჩუნებულია, რაც შეეხება ტურისტებს, მათი შემხედვარე ვერც კი იტყვი, რომ ტაილანდში რამე განსაკუთრებული მოხდა. უცხოელები, როგორც ყოველთვის, მშვიდად სხედან ბარებში და თითქმის არავითარ ინტერესს არ იჩენენ იმის მიმართ, რაც ბარის ზღურბლს მიღმა ხდება.

გენერალიტეტის ოფიციალური განცხადებით, ტაილანდს ახალი ხელისუფლება ორ კვირაში ეყოლება. პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, სავარაუდოდ, ქვეყნის ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს პრიდი-ატორნ დევა-კულას წარადგენენ, რომელმაც უკვე შეწყვიტა ვიზიტი სინგაპურში, სადაც მსოფლიო ბანკის საერთაშორისო სამიტს ესწრებოდა.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი კი ჯერჯერობით კვლავ აშშ-ში რჩება და გაურკვეველია დაბრუნდება თუ არა იგი სამშობლოში. **ბი-ბი-სი**

## მსჯელობა ინტენსიურ დიალოგზე

ნატო-ს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები დღეს ნიუ-იორკში საქართველოს ნატო-სთან ინტენსიურ დიალოგზე გადასვლის საკითხს განიხილავენ.

ნიუ-იორკში დაგეგმილ " მინისტერიალს " აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი უმასპინძლებს. შეხვედრას ნატო-ს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი უხელმძღვანელებს.

როგორც გუშინ თავდაცვის მინისტრის მოადგილემ მამუკა კუდავამ მთავრობის კანცელარიაში ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველო წარმატებით და მონდომებით ასრულებს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. თუმცა, მისივე თქმით, გადაწყვეტილება - ქვეყნის ახალ ეტაპზე გადაყვანის შესახებ ნატო-ს წევრი სახელმწიფოების მისაღებია. **ინტერპრესნიუსი**

## რიგის სამიტის თემა ნატოს გაფართოება იქნება

რიგის სამიტის თემა ნატოს რიგების ახალი წევრებით შევსება იქნება. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შესაძლო ახალ წევრებად საქართველო და უკრაინა მოიაზრებიან. თუმცა, როგორც ნიუ-იორკში მყოფმა ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა ჟურნალისტებს განუცხადა, სავარუდოდ, რიგაში კონკრეტულ გადაწყვეტილებებს არ მიიღებენ.

ნიუ-იორკშივე საკუთარი პოზიცია კიდევ ერთხელ დააფიქსირა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. სერგეი ლავროვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთი "კვლავაც მიიჩნევს, რომ ნატოს გაფართოება შეცდომაა".

ნატოს სამიტის რიგაში გამართვა მიმდინარე წლის ნოემბერშია დაგეგმილი. **ინტერპრესნიუსი**

## ჯორჯ ბუშმა 25 სახელმწიფოს მეთაურთან შეხვედრა გამართა

გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიაზე მყოფმა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 25 დემოკრატიული სახელმწიფოს პრეზიდენტებთან და მთავრობების მეთაურებთან, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრა საათსა და 20 წუთს გაგრძელდა. საუბრის მთავარი თემა დემოკრატიის მხარდაჭერა იყო. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ შეიძლება დემოკრატიული სახელმწიფოები არასამთავრობო ორგანიზაციებს დაეხმარონ. **ინტერპრესნიუსი**

## ირანი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმებას იცავს

ირანის ბირთვული პროგრამა "გამჭვირვალე და მშვიდობიანია". ასეთი განცხადება ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ნიუ-იორკში, გაერო-ს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიაზე გამოსვლისას გააკეთა.

მისი მტკიცებით, ირანი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობს შესახებ მიღწეულ შეთანხმებას იცავს. საკუთარ გამოსვლაში, აჰმადინეჯადმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ზოგიერთი მუდმივი წევრი გავლენიანი საერთაშორისო ორგანოს საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენებაში დაადანაშაულა. მისი მტკიცებით, უშიშროების საბჭოს წევრები ამ ორგანოს "დანიშნებისა და იძულების" ინსტრუმენტად იყენებენ.

ანალიტიკოსთა შეფასებით, აჰმადინეჯადის ეს სიტყვები ყველაზე მეტად აშშ-სა და მის მოკავშირეს დიდ ბრიტანეთს ეხება.

ირანის ლიდერი ასევე შეეხო ერაყის თემას და განაცხადა, რომ მიუხედავად კოალიციური ძალების ერაყში ყოფნისა, ქვეყანაში უსაფრთხოების თვალსაზრისით ბევრი არაფერი შეცვლილა და იქ ძალადობის მსხვერპლი ყოველდღიურად ასეულობით ადამიანი ხდება. **ინტერპრესნიუსი**


■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

**ხმა მიეცით ქალებს!**

**გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა**

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

მოკლედ

## ევროსაბჭოს კონვენციასთან მიერთების რატიფიკაცია მოხდება

საქართველო "ტერორიზმის პრევენციის შესახებ" ევროსაბჭოს კონვენციას უერთდება. კონვენციის რატიფიკაცია პარლამენტში უახლოეს საშემოდგომო სესიაზე მოხდება. კონვენციასთან მიერთება ტერორიზმის პრევენციის და მისი ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებებში საქართველოს მონაწილეობას გაზრდის. კონვენციასთან მიერთების ფორმატში ე.წ. ტერიტორიული დათქმა კეთდება, რომლის მიხედვითაც, საქართველოსთვის კონვენციით აკრძალული ნორმები ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, სადაც საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდება.

იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანა საკუთარ იურისდიქციას გააფართოებს (ჩვენ შემთხვევაში საუბარია ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დაბრუნების საკითხზე), ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სახელზე სახელმწიფო გააკეთებს საგანგებო მიმართვას და შესაბამისად კონვენციის მოქმედების არეალი გაიზრდება.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე ეს საკითხი იუსტიციის მინისტრის მოადგილემ დიმიტრი ძაგნიძემ წარმოადგინა.

მისი განმარტებით, ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებების პროექტი სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის მიხედვითაც საქართველოს კანონმდებლობით უკვე დასჯადია ევროსაბჭოს კონვენციით აკრძალული ნორმები, კერძოდ, ტერორისტების წვრთნა და საჯარო განცხადება ტერორისტული მოწოდებების შესახებ. **ინტერპრესნიუსი**

## საპყრობილეებში კარცერები გაუქმდა

N1 და N5 საპყრობილეებში კარცერები გააუქმეს.

"იმედი გვაქვს, აღნიშნულ საპყრობილეში კარცერების გაუქმება ამჯერად მაინც არ იქნება დროებითი და ეს ფაქტი მარტო ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის "ჰუმან რაიტს ვოჩის" წარმომადგენლების საქართველოში ვიზიტით არ იყო გამოწვეული", - განაცხადა სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსმა გიგა გიორგაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნულ საპყრობილეებში კარცერები 2001 წელსაც გაუქმდა, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მოგვიანებით ისინი ისევ გაიხსნა. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა N1 და N5 საპყრობილეებში კარცერების ტექნიკური მონიტორინგი აგვისტოს ბოლოს განახორციელეს და იუსტიციის სამინისტროს მათი გაუქმების მოთხოვნით მიმართეს. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ კარცერები მიწისქვეშაა განლაგებული, სადაც საშინელი ანტისანიტარიაა და პატიმრებს რამდენიმე დღის განმავლობაში მღრღნელებთან ერთად უხდებათ ყოფნა. **ინტერპრესნიუსი**

## ადვოკატების პროტესტი

ადოკატები პატიმრის ვადაზე ადრე გათავისუფლების პროცედურების გართულებას აპროტესტებენ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს პატიმრის ვადაზე ადრე გათავისუფლების პროცედურების გართულებაში ადანაშაულებენ.

როგორც ადვოკატი ეკა ბესელია აცხადებს, საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, პატიმრის ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული სპეციალური კომისია განიხილავს. ადრე კი ადვოკატს, მისი დაცვის ქვეშ მყოფის ვადაზე ადრე გათავისუფლების მოთხოვნა სასამართლოს გზით შეეძლო.

ადვოკატის განმარტებითვე, ახლად შექმნილი კომისია პატიმრების საქმეების განხილვისთვის შეკრებას სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებს, რაც პატიმრების უფლებებს უხეშად არღვევს.

"კომისიაში შეტანილია 1000-ზე მეტი პატიმრის ადვოკატის შუამდგომლობა, თუმცა კომისია დღემდე ვერ შეიკრიბა. ჯერ კომისიის წევრებმა საქმეები უნდა განიხილონ, იმისთვის, რომ სასამართლოებში გადააგზავნონ. ჩვენ მივმართავთ სასჯელაღსრლების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასა და მის ზემდგომს - იუსტიციის მინისტრს გია ქავთარაძეს, დაუყოვნებლივ გადაიჭრას აღნიშნული პრობლემა. თუ სექტემბრის ბოლოსთვის ეს საკითხი არ მოგვარდება, ადვოკატები ფართომასშტაბიან აქციებს მოვაწყობთ", - აცხადებს ეკა ბესელია. მისივე თქმით, პატიმრის ვადაზე ადრე გათავისუფლების პროცედურებში ცვლილებების შეტანა აღნიშნული პროცესის გამარტივებისთვის იგეგმებოდა, თუმცა, პრაქტიკულად, საწინააღმდეგო შედეგი - პროცედურების ხანგრძლივი ვადით გაჭიანურება გამოიწვია. **ინტერპრესნიუსი**

## გამტაცებლები ყოფილი მძევლის ჩვენების საფუძველზე დააკავეს

მოსკოვში 2 აფხაზი დააკავეს, რომლებსაც სამი დღის განმავლობაში მძევლად ახალგაზრდა ქალი ჰყავდათ. სამართალდამცველთა ინფომაციით, მილიციას ნაცემმა ქალმა მიმართა, რომელიც აცხადებდა, რომ ორმა კავკასიური გარეგნობის ადამიანმა გაიტაცა და სამი დღის განმავლობაში ერთ-ერთ ბინაში გამოკეტა.

მილიციის თანამშრომლები მითითებულ მისამართზე გამოცხადნენ და ეჭვმიტანილები დააკავეს. ისინი აფხაზეთის მკვიდრები და მოსკოვში დროებით მცხოვრებლები აღმოჩნდნენ. როგორც გაირკვა, მათ გატაცებულ ქალს 15 ათასი რუბლი წაართვეს, ჩაკეტეს და სიკვდილით ემუქრებოდნენ. პერიოდულად კი სასტიკად სცემდნენ.

ყოფილი მძევალი თავის ტვინის მძიმე დაზიანებით და შინაგანი სისხლდენით საავადმყოფოში მოათავსეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსულ გემზე ძებნილი დააკავეს

სანაპირო დაცვის სამსახურის სასაზღვრო კონტროლის განყოფილებამ რუსულ გემზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი დააკავა.

როგორც სასაზღვრო პოლიციაში აცხადებენ, ძებნილი პირი რუსული დროშის ქვეშ მცურავ გემზე "მიხაილ სვეტლოვზეა" დაკავებული.

ძებნილის დაკავება გემის ბათუმის პორტში შესვლის შემდეგ განხორციელდა. შემდგომი რეაგირებისათვის აჭარის შს სამმართველის გადაეცა. **ინტერპრესნიუსი**

უცხოეთი

## *CIA-ს დაკითხვის მეთოდები*

ცნობილი გახდა ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს იმ შვიდი მეთოდის შესახებ, რომლებსაც CIA ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაკითხვისას იყენებდა. ჟურნალ Newsweek-ის ინფორმაციით, ნიუ-იორკელმა ადვოკატმა სკოტ ჰორტონმა, რომელიც აშშ-ს სენატის მრჩევლის სტატუსით სარგებლობდა, მოიპოვა დაკითხვის მეთოდების თაობაზე შედგენილი სპეციალური სია. სიის მიხედვით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები დაკითხვისას ეჭვმიტანილებს აიძულებდნენ მთელი დიდი ხნის მანძილზე ფეხზე დგომას, იყენებდნენ ცივ შხაპს, აღვიძებდნენ შუა ღამით მძინარეებს, აყენებდნენ ტკივილს პერანგის შემოხევისას, ურტყამდნენ მუცელში, ისე, რომ დაზიანების კვალს არ ტოვებდნენ, იყენებდნენ ხმოვან და შუქის მანიპულაციას და ა.შ. ბრიტანული გამოცემა წერს, რომ ამ მეთოდების შესახებ განაცხადეს, სერიოზულ ტერაქტებში ეჭვმიტანილმა იმ პირებმა, რომელთა მიმართაც გამოყენებული იქნა ეს მეთოდები. ცოტა ხნის წინათ გაზეთი The New York Times-ი წერდა, რომ "ალ-ქაიდას" პირველი წევრი აბუ ზუბეიდუ, რომელიც 11 სექტემბრის შემდეგ დააკავეს, კარგა ხნის მანძილზე გამოკეტილი ჰყავდათ საყინულე-საკანში, მანამდე, სანამ არ გაიყინა, თანაც ეჭვმიტანილს აწამებდნენ "მუსიკალური მეთოდით" - ხმამაღლა ასმენინებდნენ ჯგუფ Red Hot Chili Peppers -ის მუსიკას.

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაკითხვის მეთოდები საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების სერიოზული კრიტიკის ობიექტი გახდა, მათი განცხადებით, აშშ ჟენევის კონვეციას უხეშად არღვევს.

## *გატაცებული გოგონა SMS-ის საშუალებით იპოვეს*

ამერიკაში გატაცებული გოგონას გათავისუფლება მას შემდეგ მოხდა, რაც მან გამტაცებლის მობილური ტელეფონიდან დედამისს მესიჯი გაუგზავნა. გოგონა სკოლის ავტობუსიდან გაიტაცეს და დატყვევებული ჰყავდათ მიწისქვეშა ბუნკერში, რომელიც ტყეში მდებარეობდა.

SMS-ის საფუძველზე პოლიციამ შესძლო დაედგინა, გამტაცებლებს სად ჰყავდათ გადამალული 14 წლის ელიზაბეტ შოაფი, რომელმაც მიწისქვეშ 11 დღე გაატარა. გაზეთ T-ის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა გატაცებული გოგონა 5-მეტრიანი ორმოდან ამოიყვანეს, სადაც მას გამტაცებელი მალავდა, რომელიც გოგონას პოლიციელად გაეცნო. გაზეთი წერს, რომ გოგონა გააუპატიურეს. პოლიციამ დააკავა 36 წლის ვინსონ ფილაუ, რომელსაც დაკავებისას აღმოაჩნდა, პილტოლეტი და სანადირო დანა. პოლიციის ინფორმაციით, ვინსონ ფილაუ იძებნებოდა 12 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის.

# "კანონიერ ქურდებს" უკანონოდ შეძენილ ქონებას ართმევენ

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მარნეულში პოლიციის ქვეგანყოფილების ახლად გარემონტებული შენობა გახსნა.

შენობის რემონტისთვის საჭირო თანხა რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო, ხოლო ქვეგანყოფილებისთვის საჭირო უახლესი ტექნიკური აღჭურვილობისა და ინვენტარის შესაძენად სახსრები შს სამინისტრომ გაიღო.

პრეზენტაციის შემდეგ ვანო მერაბიშვილმა მარნეულში ფეხით გაისეირნა. მან ქალაქის ერთ-ერთ ჩაიხანაშიც შეიარა, სადაც ადგილობრივი აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქეებთან ერთად ჩაი დალია და ნარდი ითამაშა.

შს სამინისტრო ათობით ე.წ. კანონიერი ქურდის ქონების კანონიერების საკითხს განიხილავს.

საქართველოს შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, გამოძიება ე.წ. კანონიერი ქურდების, მათ შორის ქუთაისში მცხოვრები კრიმინალური ავტორიტეტების ქონების კანონიერების საკითხს განიხილავს.

კანონის თანახმად, თუ დადგინდება, რომ ამა თუ იმ პირის ქონება დაუსაბუთებელია, მას ქონება ჩამოერთმევა და სახელმწიფოს გადაეცემა.



შს მინისტრი "კანონიერი ქურდებისთვის" ჩამორთმეულ უკანონო ქონებას პოლიციას გადასცემს.

შესაბამისი მტკიცებულების მოპოვების შემთხვევაში, დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა 36 კანონიერ ქურდს ემუქრება, მათ შორის შაქრო კალაშოვსა და ტარიელ ფოცხვერიას, მეტსახელად "ტარასას".

მათი სახლები ამ დროისთვის სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებამდე დაყადაღებულია. კანონიერი ქურდების ქონების საკითხს შსს სპეცოპერატიული დეპარტამენტი სწავლობს. კანონიერი ქურდების ოჯახის წევრებისა და მათთან დაახლოებული პირების ქონება ათეულობით მილიონ დოლარად არის შეფასებული. მათ ზუსტ ღირებულებას ექსპერტები ადგენენ.

შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ მიმდინარე წლის 15 სექტემბერს დაბა წყნეთის "ბ" ზონაში ე.წ. კანონიერი ქურდის შაქრო კალაშოვის კუთვნილი სახლის აღწერისა და დაყადაღების ბრძანება გასცა. კალაშოვის ფეშენებელური აგარაკის დალუქვა 18 სექტემბერს მოხდა.

შსს ინფორმაციით, საცხოვრებელი სახლი წყნეთში, რომელიც კვალის არევის მიზნით, კალაშოვმა რუსეთის მოქალაქის მიხეილ მდინარაძის სახელზე გააფორმა, აშენებულია 940 კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე და 18 საძინებელს, ორსართულიან პირად კაბინეტს, ექვს სასადილო ოთახს, 10 ავტომობილზე გათვლილ მიწისქვეშა ავტოფარეხს და სახლის სახურავზე ინდივიდუალური ვერტმფრენის ასაფრენდასაფრენ ბილიკს მოცავს.

ცოტა ხნის წინათ შინაგან საქმეტა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ თუ აქამდე პრივილეგირებულ მდგომარეობაში "კანონიერი ქურდები" იყვნენ, დღეს მათი ადგილი მე-7 საპყრობილეშია, მოხდება მათი იზოლაცია, ხოლო მათი დაუსაბუთებელი, უკანონო ქონება პოლიციას გადაეცემა.

*24 საათი*

# აპარატის მოთხოვნა

სახალხო დამცველის აპარატი თბილისის N1 საპყრობილეში ნაცემი ოთხი პატიმრის საქმის გამოძიებას და დამნაშავე პირების დასჯას კატეგორიულად მოითხოვს. საქმე ისაა, რომ როგორც ომბუდსმენის აპარატის მონიტორინგისა და მართლმსაჯულების დეპარტამენტში აცხადებენ, ჯერ კიდევ არ შესრულებულა სახალხო დამცველის აპარატის მოთხოვნა 6 სექტემბერს N1 საპყრობილეში მომხდარი ინციდენტის გამოძიების შესახებ. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ამ ინციდენტთან დაკავშირებულ კანონდარღვევებზე ინფორმაცია გენერალურ პროკურატურას კარგა ხნის წინ მიაწოდეს, თუმცა, როგორც ირკვევა, ჯერჯერობით, მომხდარზე საქმე არ აღძრულა. რამდენიმე დღის წინ, ომბუდსმენის აპარატმა განცხადებით გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსს თამარ თომაშვილს და იუსტიციის სამინისტროსაც მიმართეს და მომხდარზე რეაგირება მოსთხოვეს.

პატიმართა განცხადებით, სახალხო დამცველის აპარატის წევრების მიერ მოძიებული მასალებით, 6 სექტემბრის ღამეს, N1 საპყრობილის 39-ე საკანში პატიმრების ცემაში ციხის უფროსი ლევან მარუაშვილი და ადმინისტრაციის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ლევან მარუაშვილმა და მისმა ხელქვეითებმა 30 პატიმარს სცემეს, თუმცა ცემის კვალი აშკარად მხოლო 4 პატიმარს - თამაზ შავიშოვს, ოთარ ბაბაევს, მიხეილ კერესელიძეს და გურამ ვაშაკიძეს ეტყობა.

როგორც გაირკვა, საპყრობილის ხელმძღვანელმა პირებმა პატიმრებს საკნებში არსებული მობილური ტელეფონებისა და "შტირების" ჩაბარება მოსთხოვეს. პატიმრების ინფორმაციით, მათ აკრძალული ნივთები არ ჰქონდათ, რასაც ციხის ადმინისტრაციის აღშფოთება მოჰყვა. ჩვენი ინფორმაციით, ნაცემი პატიმრები ამჟამად რუსთავის N6 საპყრობილეში იმყოფებიან.

ნაცემი პატიმრები ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლებმა ინციდენტის მეორე დღესვე მოინახულეს. მათი განმარტებით, პატიმრებს ზურგზე სავარაუდოდ, ხელკეტებით ცემის კვალი ეტყობოდათ. ომბუდსმენის აპარატის წევრების განცხადებით, ლევან მარუაშვილი სხვა პატიმრების ცემის ფაქტზეც არის შემჩნეული.

*24 საათი*

# კორუფცია საბაჟოზე

სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურამ დაასრულა საბაჟო-გამშვებ პუნქტ "ვალეზე" მებაჟეებისა და მესაზღვრის მიერ ქრთამის აღების ფაქტზე დაწყებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.

გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო სომეხი ეროვნების, საქართველოს მოქალაქის კუკურჩიანის განცხადება. კუკურჩიანმა პოლიციას დახმარებისთვის მიმართა და განუცხადა, რომ ის ვაჭრობით იყო დაკავებული და პერიოდულად სასომხეთიდან სხვადასხვა დასახელების პროდუქცია ჩამოჰქონდა. საბაჟო-გამშვებ პუნქტ "ვალეზე" მას ყოველთვის პრობლემა ექმნებოდა მებაჟეებთან, რომლებიც გატარების სანაცვლოდ, ქრთამს ართმევდნენ.

პროკურატურის განცხადებით, კუკურჩიანმა პოლიციას აცნობა, რომ უახლოეს დღეებში, საზღვარი უნდა გადმოეკვეთა მის მეგობრებს, რომლებსაც ჩვეულებისამებრ ქრთამის გარეშე არ გამოუშვებდნენ. რამდენიმე დღეში, საზღვარს მართლაც მოადგნენ სომხეთის მოქალაქეები - არტიომ ქოჩარიანი და პერთშ სარგისიანი. პროკურატურის მტკიცებით, ქრთამის სახით, 20 აშშ დოლარი, მათ საზღვარზე ჯერ ზაზა ტაბატაძემ გამოართვა, რომელმაც ფული იმის სანაცვლოდ მოითხოვა, თითქოს პასპორტები მწყობრში არ ჰქონდათ. შემდეგ მათ საბაჟო უნდა გაევლოთ, სადაც "ვალეს" თანამშრომლებმა აკაკი სელენიძემ, ილია ცუკილაშვილმა და ნიკოლოზ ლაბაძემ ვაჭრებს განუცხადეს, რომ დიდი რაოდენობით ტვირთი ჰქონდათ, რომელიც დამატებითი ღირებულების გადახდას ექვემდებარებოდა, თუ ქრთამს გაიღებდნენ, მებაჟეები მათ პრობლემების გარეშე გაატარებდნენ და ტვირთის წაღებაშიც დაეხმარებოდნენ. პოლიციამ მებაჟეები 100 აშშ დოლარის აღების ფაქტზე დააკავა.

სისხლის სამართლის საქმეში ნივთმტკიცების სახით დევს მოსამართლის მიერ დაკანონებული ვიდეომასალა, რომელზეც გადაღებულია მებაჟეების მიერ ქრთამის აღების ფაქტი.

პროკურატურის განცხადებით, სამი მებაჟე და ერთი მესაზღვრე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის I ნაწილით და II ნაწილის "გ" ქვეპუნქტით - ქრთამის აღებისთვის. ოთხივე მათგანს, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება.

ამჟამად, საქმის განხილვა მიმდინარეობს ადიგენის რაიონულ სასამართლოში. სასამართლო სხდომა გადადებულია ორი თვის ვადით, ვინაიდან საქმეზე მოწმის სახით დასაკითხი არიან სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - არტიომ ქოჩარიანი და პერთშ სარგისიანი. მათი ჩამოყვანის შუამდგომლობით ადიგენის რაიონულმა სასამართლომ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დახმარებით, უკვე გააგზავნა შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების შესახებ სომხეთის რესპუბლიკაში.

*24 საათი*

# პატიმრების გამოკვლევა შიდსზე

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტმა პატიმართა და მსჯავრდებულთა შიდსზე გამოკვლევა დაიწყო.

ჯანდაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრისა და შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები გამოკვლევებს 15 ოქტომბრამდე ჩაატარებენ. შემოწმება N2 მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის, ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო და N10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებში განხორციელდება.

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლის კონსტანტინე ტურაშვილის განცხადებით, გამოკვლევა ნებაყოფლობითია და, პრაქტიკულად, არც ერთ პატიმარს უარი არ უთქვამს. ჯერჯერობით დაახლოებით 400-მდე პატიმარს ჩაუტარდა გამოკვლევა, საბოლოოდ 2000-მდე პატიმარი შემოწმდება.

*ინტერპრესნიუსი*

# კანონდამრღვევი მოსამართლეები

პირველი გვერდიდან

**"წარმოდგენილი საბუთების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება სინამდვილეს არ შეესაბამება. ფარესიშვილმა დანაშაული, რომლისთვისაც მასზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, 2001 წლის 2 იანვარს ჩაიდინა, ხოლო დანაშაული, რომლისთვისაც გამოსაცდელი ვადა დაუდგინეს, 2004 წლის 6 თებერვალს. შესაბამისად, მოსამართლეს სასჯელის ვადა არ უნდა გაეზარდა,"** - აცხადებენ სახალხო დამცველის წარმომადგენლები.

გარდა ამისა, ომბუდსმენის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სასამართლო სხდომაზე მოწმეებმა ვლადიმერ სტრეჟელეცკიმ და გიორგი ღვინიაშვილმა განაცხადეს, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმსა და სქემაზე განთავსებული ხელმოწერები ყალბია და მათ არ ეკუთვნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორმა გრაფიკული ექსპერტიზა მოითხოვა. როგორც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები აცხადებენ, პროკურორის შუამდგომლობა მოსამართლე მეტრეველმა არ დააკმაყოფილა, **"რითაც დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 503-ე მუხლის მოთხოვნები და განაჩენს საფუძვლად დაუდო მტკიცებულებები, რომლებიც არ იქნა ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმებული,"** - ასეთია ომბუდსმენის აპარატის დასკვნა.

მოკვლეული მასალებით, განაჩენი ორივე მხარემ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. 2005 წლის 19 დეკემბერს სასამართლო სხდომა სამი მოსამართლის შემადგენლობით გაიხსნა. მსჯავრდებულის შუამდგომლობის საფუძველზე საქმის განხილვა გადაიდო 2006 წლის 4 იანვრამდე, ხოლო 2006 წლის 4 იანვარს სასამართლო განხილვა განაგრძო მხოლოდ ერთმა მოსამართლემ - ნუნუ ალასანიამ.

**"რითიც დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 434-ე მუხლი "საქმის განხილვისას სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობის" შესახებ,"** აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მოსამართლე ნუნუ ალასანიამ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით გაამკაცრა სასჯელი და ფარესიშვილს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 540-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააპელაციო ინსტანციას უფლება აქვს დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, ან სხვა გზით გააუარესოს მსჯავრებულის მდგომარეობა, თუ მომჩივანის მხრიდან სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით არის შეტანილი. მოცემულ შემთხვევაში პროკურორიც და დაზარალებულებიც სასჯელის ვადის გაზრდით დაინტერესებულნი არ იყვნენ,** - აცხადებენ სახალხო დამცველის წარმომადგენლები.

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ვალერი ცერცვაძეს და მოსამართლეების - დალი მეტრეველისა და ნუნუ ალასანიას დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხის დასმა მოითხოვა.

სხვათა შორის, ფარესაშვილების გახმაურებული საქმე თავის დროზე სოზარ სუბარმა კონტროლზე აიყვანა და ამ საქმეში გამოვლენილი ცრუ მოწმეების შესახებ, რომელთა ცრუ ჩვენებების საფუძველზეც შეიკერა საქმე, გენერალურ პროკურატურას რეკომენდაციით მიმართა და შეტყობინება გაუგზავნა უზენაეს სასამართლოსაც, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომლებიც ცრუ მოწმეების გამოყენებით იყო მიღებული, არ იყო გასათვალისწინებელი.

თავის დროზე ფარესაშვილების გახმაურებულ საქმეზე გაზეთ "24 საათში" დაბეჭდილ სტატიაზე "უპრეცედენტო მართლმსაჯულება" განმარტება გააკეთა უზენაესი სასამართლოს სპიკერმა მოსამართლემ ნუნუ კვანტალიანმა, სადაც სპიკერი-მოსამართლე კოლეგების მიერ გამოტანილ განაჩენს ამართლებდა და სტატიაში მოყვანილ ფაქტებს ფარესაშვილების ადვოკატის არაპროფესიონალიზმს მიაწერდა.

სხვათა შორის, ფარესაშვილის საქმეში ერთი ძალზე მნიშვნელოვანი დეტალიცაა. გამოძიების მიერ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღებაში და, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში ბრალდებულ ფარესაშვილს სასამართლომ ორივე მუხლი მოუხსნა - იგი გაამართლა ბრალდებებში. ნივთმტკიცებები, რომელიც პოლიციამ, როგორც ფარესაშვილის, ასევე, მისი მშობლების სახლიდან ამოიღო და რომლის საფუძველზეც იგი უმძიმეს დანაშაულში დაადანაშაულეს, ორივე ინსტანციის სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნია და დაადგინა:

"ნივთმტკიცება 0,027 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", 0,197 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", 0,185 გრამი პრეპარატი "სუბუტექსი", რომელშიც ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინი"-ს შემცველობა შეადგენს 0,0037 გრამს, 0, 805 გრამი ნარკოტიული საშუალება "ოპიუმი" განადგურდეს, რომლის შესრულებაც დაევალოს შს სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკურ სამმართველოს. საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ორი ცალი 5-მილიგრამიანი ერთჯერადი მოხმარების შპრიცი განადგურდეს", - ასეთი ბრძანებები გასცეს მოსამართლეებმა მეტრეველმა და ალასანიამ, თუმცა, არც ერთ მოსამართლეს არ უმსჯელია იმაზე, თუ საიდან აღმოჩნდა ჩამოთვლილი ნარკოტიკული საშუალებები და ხელყუმბარა გამართლებული ფარესაშვილის სახლში; არ უმსჯელიათ არც იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხზე, რომლებმაც, თავის დროზე, ფარესაშვილების სახლში ჩხრეკა ჩაატარეს და ის დასახელებული "ნივთმტკიცებები" ამოიღეს, რომლებიც მოსამართლეებმა მოგვიანებით დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნიეს.

*24 საათი*

# "ხორუმი" ქართული ცეკვაა

## დიდი თურქობა - სტამბულის კულტურის დღეების არასასიამოვნო დეტალები

ია ვეკუა



ბეჯითად რეკლამირებული და ორ ერს შუა გადებული მეგობრობის ხიდის განმტკიცების მიზნით ორგანიზებული სტამბულის კულტურის დღეები ხელოვნური ჩირაღდნებითა და ასეთივე ყალბი "ხორუმით" დაიწყო. სტამბულური ჯგუფი "ანატოლიის ცეცხლი" თბილისელი პუბლიკის წინაშე ორმოქმედებიანი შოუ-პროგრამით წარდგა, თუმცა ყველაზე გულწრფელი ოვაცია მხოლოდ აღმაშენებლის გამზირზე განთავსებული თურქული კაფე-რესტორნების მფლობელებისა და "შავი ზღვის ინსტიტუტის" სტუდენტებისგან მიიღეს. კონცერტის მაყურებელთა ქართული დესანტი მხოლოდ ეგზოტიკური სანახაობით ტკბობით შემოიფარგლებოდა - ღონისძიების მეორე ნაწილში კი ყველას ერთნაირად გაუფუჭდა გუნება.

როგორც ამ ღონისძიებისადმი მიძღვნილ ბუკლეტში ვკითხულობთ, "ანატოლიის ცეცხლი" სპეციფიკური საშემსრულებლო სტილით ხასიათდება და სხვადასხვა წარმომავლობის მქონე ძველ ხალხურ შემოქმედებას და უძველეს ფოლკლორულ ტრადიციებს აერთიანებს. ჯგუფს მუსტაფა ერდოღანი ხელმძღვანელობს და იმავე ბუკლეტის ინფორმაციით, ანატოლიაში დაგროვილ სითბოს, სიყვარულს და კულტურას თავის მოცეკვავეებთან ერთად მთელ მსოფლიოს უნაწილებს. წარმოდგენა უკვე ნახა 39 ქვეყნის მაყურებელმა და ყველგან ფეხზე ამდგარნი უძღვნიდნენ აპლოდისმენტებს.

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, "ანატოლიის ცეცხლის" წარმოდგენა თანამედროვე ცეკვისა და ფოლკლორის ერთიანობაა. სხვათა შორის, შესანიშნავი მაგალითია იმისა, რომ თანამედროვე და ტრადიციული ხელოვნების შერწყმა სრულიად უმტკივნეულოდ შეიძლება და ერთი მეორეს არ გამორიცხავს. ეს კარგად მოახერხა მაესტრო ერდოღანიმ, რომლის "ნატოში" გაერთიანებული თურქული არმიის ჯარისკაცებივით გაწრთვნილი მოცეკვავეები თითქმის სამი საათის განმავლობაში ერთ ხაზზე როკავენ, ხტიან და დროდადრო ომახიანი შეძახილებიც არ ავიწყდებათ. დაახლოებით ასკაციანი ანსამბლი მთელ წარმოდგენას ერთი ამოსუნთქვით ატარებს, თითოეულ მოცეკვავეს იუველირის სიზუსტით აქვს შესწავლილი სცენა და ქორეოგრაფის მიერ მოხაზულ გეომეტრიას ერთი მილიმეტრითაც არ არღვევს.

წარმოდგენა ნერმუტზე ანუ უკვდავების მთაზე იწყება (კვლავ საყველპურო ქართულით შედგენილ ბუკლეტს მოვიშველიებ). ეს ის ადგილია, სადაც პირველად ემთხვივნენ ერთმანეთს აღმოსავლეთი და დასავლეთი. ანატოლიამ სწორედ აქ უძღვნა პრომეთეს ცეცხლი კაცობრიობას. შემდეგ შოუ შუააზიელი შაამანელი თურქების, იეზიდი ქურთებისა და სამხრეთაღმოსავლური ხალხური ცეკვებით გრძელდება. აქვეა ირლანდიელთა სიამაყე - რივერდანსი თავისი ბაკუნა ფეხსაცმელებითა და გუდასტვირით...

მოკლედ, სიუჟეტი თანდათან ვითარდება და გზად პანდორასა და პრომეთესაც ვხვდებით. აქ არის საბრძოლო სცენები და მეომართა დატყვევების ეპიზოდიც, რომელსაც წარმოდგენის ყველაზე საინტერესო ნომერი მოჰყვება - მუცლის ცეკვა ხან სოლო შესრულებით, ხანაც კოლექტიური - ნამდვილი, ცოცხალი თურქი ქალების შესრულებით!

წარმოდგენის მეორე ნაწილი საკმაოდ შთამბეჭდავი სცენით იწყება - მიცვალებულთა დატირებითა და სიკვდილთან დაკავშირებული რიტუალური ცეკვებით.

ამ ყველაფერს კი წარმოდგენის ის ეპიზოდი მოჰყვება, რომელიც ყველზე მეტად გვეცნობოდა და რომელმაც ალბათ ყველაზე მეტად გაგვალიზიანა: ბრჭყვიალა კოსტიუმებში გამოწყობილმა მოცეკვავეებმა, არც მეტი, არც ნაკლები, "ხორუმის" მუსიკაზე იცეკვეს. ხელში ნამდვილი ქართული დოლები ეკავათ და დაკვრის იმიტაციასაც ყოჩაღად ახდენდნენ! შოუს ანოტაციაში ამ ეპიზოდთან დაკავშირებით ვკითხულობთ, რომ ეს არის დაფდაფების ბრძოლა ანატოლიაში. დაფდაფებს ჯერ ბრძოლისთვის შემოჰკრავენ, შემდეგ გამარჯვების აღსანიშნავად. აქვე აღნიშნულია, რომ გამოყენებულია თრაქიის რაიონისა და ბალკანეთის ხალხთა ცეკვები...

...ვის დაჰკარგვია შენი საქართველო და მისი "ხორუმი"! ეფენდი ერდოღანს ალბათ დღემდე ჰგონია, რომ თავის შეგირდებს რომელიმე ბალკანური ქვეყნის ან სულაც თავისი მშობლიური ფოლკლორის ნიმუში შეასწავლა და იმ 39 ქვეყნის მაყურებელსაც, სადაც მის კოლექტივს ფეხზე ამდგარნი უკრავდნენ ტაშს, სიამაყით წარუდგენდა ჩვენს ყველაზე დიდ საგანძურს.

**ჯემალ ჭკუასელი**, ანსამბლ "ერისიონის" სამხატვრო ხელმძღვანელი: "ამ კონცერტს მეც დავესწარი და აღვშფოთდი. ეს იყო შეურაცხმყოფელი საქციელი თურქების მხრიდან, რომელსაც გამართლება არა აქვს. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ "ხორუმი" ჩვენი ეროვნული საგანძურის ნაწილია, მაგრამ ამ ანსამბლმა ურცხვად შეიტანა თავის რეპერტუარში. თანაც, არსად იყო ნახსენები, რომ ქართულ ეროვნულ მოტივებს იყენებდნენ. ეს არის საკითხი, რომლის გამოც ერთად უნდა ავიმაღლოთ ხმა, თორემ მალე ყველაფერს მოგვპარავენ, ისევე როგორც სომხები ცდილობენ "ჩაკრულოს" მითვისებას!"

ჩვენგან და ჯემალ ჭკუასელისგან განსხვავებით, ნანახითა და გაგონილით ძალიან კმაყოფილები იყვნენ თბილისის კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელები და თურქ ქორეოგრაფს ყვავილებიც უძღვნეს. დიდი თურქობა თბილისში მომდევნო დღეებშიც გაგრძელდება. ყვავილებით მოვაჭრეები კი სიამოვნებით დაელოდებიან კლიენტებს...

# "თელიანი ღვინის ფესტივალი" დაიწყო

ქართული ღვინის მრავალსაუკუნოვანი კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, ოქტომბრის ბოლომდე საქართველოში გაიმართება "თელიანი ღვინის ფესტივალი". როგორც კომპანია "თელიანი ველში" განაცხადეს, ფესტივალის ფარგლებში განხორციელდება სოციალური პროექტები, როგორიცაა მომავალი თაობებისთვის ღვინის კულტურის შესწავლა, კახეთის რეგიონში სპორტული დარბაზების მშენებლობა და რთველში სტუდენტების დასაქმება.

ფესტივალის ფარგლებში "თელიანი ველი" ღვინის ახალი ბრენდის "თელურის" პრეზენტაციას გამართავს. შარდენზე დაგეგმილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების თეატრალური წარმოდგენა, ტურისტული კომპანია "ვია თრეველის" პრეზენტაცია, წმინდა გიორგის სახელობის სკოლაში მარნის გახსნა. გაიმართება ასევე "ემ ჯგუფის" და "საქართველოს ბანკის" პლასტიკური ბარათების ერთობლივი პროექტების პრეზენტაცია. მოეწყობა ტური კახეთში უცხოელებისთვის კულტურის მინისტრის გიორგი გაბაშვილის თანხლებით. ფესტივალს დახურავს გიორგი ხუციშვილისა და მისი მეგობრების საქველმოქმედო კონცერტი. **ინტერპრესნიუსი**

# ქართველების გენოციდის ამსახველი ფოტოები

30 სექტემბერს რუსეთის დედაქალაქში, კულტურულ ცენტრ "მზიურში" გაიმართება ფოტოგამოფენა, რომელზეც აფხაზეთის ომის დროს ქართველთა გენოციდის ამსახველი ფოტოები იქნება წარმოდგენილი.

პირველად 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს ეთნიკური ქართველების გენოციდის ამსახველი ფოტოგამოფენა საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფის "აფხაზეთის" ძალისხმევით ჩატარდა. ეს ფოტოები ლოს ანჯელესშიც იყო გამოფენილი, სადაც დიდი რეზონანსი გამოიწვია.

მოსკოვში წარმოდგენილი გამოფენის მიზანია მსოფლიოს შეახსენოს აფხაზეთის მოვლენები, როცა სეპარატისტებმა საკუთარი მიწიდან აფხაზეთის მოსახლეობის 75 პროცენტი განდევნეს. **ჯიეიჩ-ენი**

# პიანისტთა მესამე ეროვნული კონკურსი

ნოდარ გაბუნიას სახელობის პაინისტთა III ეროვნული კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტმა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრში გამართა პრესკონფერენცია. პიანისტთა მესამე ეროვნული კონკურსი 10-20 დეკემბერს ჩატარდება, თუმცა კონკურისის სამხატვრო ხელმძღვანელის, პიანისტ ვალერიან შიუკაშვილის განცხადებით, მოსამზადებელი სამუშაოები უკვე იწყება.

"კონკურსში მონაწილეობა უნდა მიიღონ საქართველოს ყველა ქალაქსა თუ რაიონულ ცენტრში არსებული სამუსიკო სკოლების მოსწავლეებმა. შესაბამისად, ისინი უნდა მოემზადონ კონკურსისთვის და საორგანიზაციო კომიტეტში 15 ნოემბრიდან წარმოადგინონ განაცხადები", - განაცხადა შიუკაშვილმა.

მისი თქმით, კონკურსანტები ორ ასაკობრივ კატეგორიაში (კატეგორია ა: 7-დან 15 წლამდე და კატეგორია ბ: 15-დან 30 წლამდე) განაწილდებიან. გამარჯვებულები სოლიდურ ფულად პრემიებს მიიღებენ. კონკურსის ლაურეატს კი გადაეცემა ნოდარ გაბუნიას სახელობის პრემია - 2500 ლარის ოდენობით. პიანისტთა ეროვნული კონკურსის მიზანია გამოავლინოს და ასპარეზი გაუხსნას პერსპექტიულ ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლებს საქართველოს ყველა რეგიონიდან.

საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო წევრები არიან გია ყანჩელი, მსტისლავ როსტროპოვიჩი, იური ბაშმეტი, ვახტანგ კახიძე, კონკურსის მხარდამჭერები კი - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდი, თბილისის მერია, სახელმწიფო კონსერვატორია, კომპანია "არტ-პიონერი", მუსიკისა და დრამის თეატრი.

ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, პიანისტისა და პედაგოგის ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული კონკურსი, რომელიც მისმა მოწაფემ, ასევე ცნობილმა პიანისტმა ვალერიან შიუკაშვილმა დააფუძნა, საქართველოში წელს მესამედ ტარდება. **ინტერპრესნიუსი**

# ბრეხტის გარეშე?

## მარჯანიშვილის თეატრი ჯერ არ განახლებულა, მხოლოდ გარემონტდა

სოფო კილასონია

ბერტოლდ ბრეხტის გარეშე ქართული თეატრი არ მოიაზრება. ამას აქვს სასიამოვნო მიზეზი, თუ, რა თქმა უნდა, რობერტ სტურუას "კავკასიური ცარცის წრეს" მოვიგონებთ. ბრეხტი უყვართ დღესაც. ეს ურთიერთობა უკვე ტრადიციაა. ტრადიციებს ჩვენ განსაკუთრებული რუდუნებით ვეკიდებით. არის კიდევ ერთი ფაქტორი: უკვე გამოცდილ და აპრობირებულ საგანთან და მოვლენასთან ბევრად იოლია შელაპარაკება, ვიდრე სრულიად ახალთან. ასეთ დროს ფართოა ასპარეზი: თუ რევოლუციას ვერ მოახდენ, ცოტას გაიმეორებ, ცოტას მიამსგავსებ, მისგან განასხვავებ, მისით იხელმძღვანელებ და ასე და ამგვარად სანახევროდ საქმეც გამოგივა.

მარჯანიშვილის თეატრის გახსნას სამ წელიწადზე მეტი ველოდით. ხან ერთი დირექციისგან ვისმენდით პასუხებს ნაირფეროვან კითხვებზე და ხანაც მეორისგან. მოსაგვარებელი და მოსათათბირებელი ბევრი ჰქონდათ. თეატრის ხელმძღვანელი პირების მოხსნა-დანიშვნამ დიდი დრო წაიღო, რემონტმა კი, როგორც გვეუბნებოდნენ, კიდევ უფრო მეტი. ერთხელ შეღებილი მეორედ გადაიღება. სანამ კედლები გაშრა, ჩვენც მიგვავიწყდა, რომ რეჟისორი გიზო ჟორდანია თითქმის მთელი ამ ხნის განმავლობაში ბრეხტის "სამგროშიან ოპერას" საკუთარ რჩეულ მსახიობებთან ერთად, როგორც ამბობენ ხოლმე, ერკინებოდა. ჩვენი მეხსიერების პრობლემებსა და მოგონებებს თავი რომ დავანებოთ, მაინც უნდა ვთქვათ: კოტე მარჯანიშვილის თეატრის დაუსრულებელმა განახლებამ არაერთ საკითხზე მოადუნა თუნდაც ჩვენი მკითხველის ყურადღება. პირველ ყოვლისა, იმაზე, რომ თეატრის ფოიეს კედლებზე რემონტის დაწყებისთანავე აღმოჩნდა ლადო გუდიაშვილის მოხატულობა, რომლის რესტავრირება მხოლოდ სანახევროდ გახლდათ შესაძლებელი. მასზე მუშაობა ისე დამთავრდა, როდის და რა გარემოში შესრულდა და შემდეგ გადაიღება ეს ფრესკები, არ გაურკვევიათ. ისე კი, საკმაო კვლება-ძიების შემდეგ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ: ხსენებული ორი კომპოზიცია 1930 წელს შესრულდა საინტერესო სიტუაციასა და ვითარებაში. თუმცა ეს ამბავი გრძელზე გრძელი ისტორიაა და ამის შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

გამოგვრჩა იმის ანალიზიც, თუ როგორი იერისა იქნება მარჯანიშვილის თეატრი მას შემდეგ, რაც თეატრალური სარდაფის ხელმძღვანელობამ იქაც დაიდო ბინა, თუმცა ჩვენ როგორც არ უნდა გვეცადა ძიების წამოწყება, ყოველივე ამაოდ ჩაივლიდა, რადგან ახალი ხელმძღვანელობის ყოველი წარმომადგენელი სეზონის გახსნამდე დუმილს ამჯობინებდა.

პრემიერა - ეს უკვე მრავლისმომცველი განაცხადია. პრემიერა, რომელიც ახალ თეატრალურ სეზონს ხსნის და, მით უფრო, ასეთი დიდი შესვენების შემდეგ - ეს უკვე სრულიად გამორჩეული და საყურადღებო მოვლენაა. მაშინ, როცა ერთ დროს მოდერნის სტილის ორნამენტებით, ახლა კი ბევრად კლასიცისტური მონახაზებით შემკული თეატრის კარს ქალაქის მერი და კულტურის მინისტრი გაგიღებენ, მაშინ როცა სპექტაკლის დაწყებამდე ახალი რეჟისორი, წარმატებული მენეჯერი და მთელი მათი "გუნდი" მოგესალმება და სასიამოვნო მასპინძლობას შეგპირდება, თავისთავად ცხადია, გგონია, რომ ჯერ კიდევ ჩამოშლილი სასცენო ფარდის მიღმა სრულიად განსაკუთრებული რამ გელოდება, ისეთი, რითაც დაგაჯერებენ, რომ მომხდარი ცვლილებებიც, მაყურებლისა და სამსახიობო დასის ლოდინიც ამად ღირდა, რომ დღეის იქით მარჯანიშვილის თეატრში ახალი ცხოვრება დაიწყება.

თუმცა სულაც არ გვინდა მკითხველს ეგონოს, რომ ის, რაც დახურვამდე სცენაზე იდგმებოდა, უმცირესობა მაყურებელში მაინც იწვევდა უკმაყოფილებას. პირიქით, მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში იყო რამდენიმე ისეთი წარმოდგენა (თუნდაც მხოლოდ თემურ ჩხეიძის დადგმები), რომლებიც თეატრის იმიჯსა და დასის რეპუტაციას სტაბილურობას მატებდა. მაგრამ თეატრის ბოლოდროინდელ პოლიტიკასა და მოღვაწეობას თუ გავიხსენებთ, ფაქტი გახდება ის, რომ მის მომავალს დიდი ხნის წინ დადგმული წარმატებული სპექტაკლები ვერ განაპირობებდა. თეატრში რეჟისორ ლევან წულაძის მისვლას დიდი დისკუსიები არ მოჰყოლია და ეს სრულიად გასაგებია. ამ ეტაპზე ნიჭიერსა და წარმატებულ რეჟისორს კითხვებს არავინ უსვამს, საზოგადოება ელოდება და სწორედ ამაში გამოიხატება მისდამი დამოკიდებულება. მაგრამ ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს თეატრალური ორგანიზმების ახლებური მოწყობა, როცა დირექტორი, როგორც მენეჯერი (ამ შემთხვევაში ქალბატონი ეკა მაზმიშვილი) აქტიურად ერთვება თეატრის მართვასა და სარეპერტუარო პოლიტიკაში, რასაც ვერ ვიტყოდით გასულ პერიოდზე, როცა მართვისა და მთავარი გადაწყვეტილებების მიღების სადავეები სამხატვრო ხელმძღვანელთ ეპყრათ. გამოდის, რომ პროგნოზების გაკეთება ძალზე რთული იქნება. თეატრალური სარდაფის მოღვაწეობითა და მისი სტილით მარჯანიშვილის თეატრის მომავლის შესახებ მსჯელობა მიზანშეწონილად არ გვეჩვენება, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ და მით უფრო მის ახალ ხელმძღვანელობას სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე და თუ დიდსა და წარმატებულ ნოვაციებს ვერ შეგვპირდებიან, ის შთაბეჭდილება მაინც უნდა დაგვიბრუნონ, რომლითაც ეს თეატრი გამოირჩეოდა.

უნდა დავუბრუნდე იმას, რაც ამ ორი დღის წინ ფარდის მიღმა მელოდა და რაც ჩემ გარდა მაყურებლით სავსე დარბაზმა იხილა. ამ დღეებში ყური მოვკარით, რომ ბრეხტის "სამგროშიანი ოპერა" ქართული თეატრის სცენებზე მუდამ წარმატებით იდგმებოდა, თუმცა გავბედავ და ამ მოსაზრების საპირისპიროს მოგახსენებთ: რომ არ დავწვრილმანდეთ და თეატრალური სარდაფის ვერსია აღარ გავიხსენოთ, სულ პირველი ინსცენირება, რომელიც დოდო ალექსიძემ რუსთაველის თეატრში განახორციელა, იმთავითვე დავისა და კრიტიკის საგანი გახდა.

ახლა უკვე იმაზე უნდა გესაუბროთ, თუ როგორ და რა ფორმებით გაიხსნა სახეები სპექტაკლში, როგორ აჟღერდა მუსიკალურ წარმოდგენაში სოციალური პრობლემების სიმძაფრე, როგორ დაინახა ჩვენმა თანამედროვემ უკვე ათასჯერ გადასინჯული "ბრეხტის ესთეტიკა" და ა.შ. ეს ის გეგმაა, რომელსაც ათეული წლებია ქართული თეატრალური კრიტიკა მისდევს. მაგრამ დღეს და თანაც ამ სპექტაკლის შემთხვევაში გეგმებსა და ადათ-წესებს გვერდზე გადავდებთ. სულ სხვა კითხვა გვექნება: რატომ გაიხსნა განახლებული თეატრი ამ წარმოდგენით? რისი თქმა და რისი ჩვენება სურდათ ჩვენთვის, იმის გარდა, რომ როგორც განაცხადეს, დასი საზოგადოების სოციალურად დაუცველ ფენას გამოეხმაურა და გზავნილი უბოძა სახელმწიფოს?

მხოლოდ პოზიციის დაფიქსირებისთვის მუსიკალური წარმოდგენის დადგმა სულაც არ გვეჩვენება გამართლებულად, მით უფრო მაშინ, როცა სოციალურ-პოლიტიკური საკითხები წარმოდგენაში სულაც არ იკვეთება აქტუალურად. "სამგროშიანი ოპერა" არ არის ის ქმნილება, რომელიც თანამედროვე თეატრის ენაზე თანამედროვე პრობლემებს გამოეხმაურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბრეხტის დრამატურგია ჟამთა სვლას აშკარად უძლებს. ეს "სამგროშიანი ოპერა" ვერ გამოიწვევდა პოლემიკას, ვერ მოაგონებდა საზოგადოებას პრობლემას და ვერც მთავრობა მიხვდებოდა, რომ სწორედ ის იყო ადრესატი. თუ პოლიტიკური თეატრის ჩვენებას გეგმავდნენ, მაშინ ან სხვა დრამატურგიულ ნაწარმოებზე უნდა შეჩერებულიყო არჩევანი, ან იგივე პიესა სრულიად განსხვავებული ფორმით დაემუშავებინათ. საპრემიერო წარმოდგენაში ყველაზე დიდი დისკომფორტი სწორედ იმან გამოიწვია, რომ ნათელი არ იყო, რას თამაშობდნენ. თუ სოციალურ აქტუალობას არ ეძებდნენ, მაშინ მიუზიკლი უნდა გაშლილიყო მთელი თავისი დიდებითა და მომხიბვლელობით. მთავარი ამოცანა აქ სულ სხვა რამ უნდა ყოფილიყო: მუსიკალური სპექტაკლის არსის შეგრძნება მთლიან დადგმაში. მარჯანიშვილის თეატრის "სამგროშიანი ოპერა" ისეთივე შუალედური ქმნილებაა, რომელსაც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში სიამოვნებით ვუყურებდით, მაგრამ არა დღეს, რადგან სპექტაკლ-მიუზიკლების მასშტაბებმა და ძალზე წარმატებულმა მაგალითებმა საქართველოს ტელეეკრანებამდე მოაღწიეს. გასაგებია, რომ მასშტაბს, ფუფუნების გაგებით, როგორც ყოველთვის, ვერ შევწვდებოდით (თუმცა რატომაც არა?), მაგრამ მიუზიკლის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული გააზრება თუ მხოლოდ ცალკეული, "ჩადგმული" მუსიკალური ნომრების ერთობლიობად მოხდებოდა, არ გვეგონა. ფონოგრამაზე ნამღერი სიმღერები და ღარიბული, ძლივს შესრულებული ცეკვები დიალოგებს შორის პერიოდულად ამოზრდილ ცალკეულ ნომრებად რჩებოდა, რომლებსაც სცენის კუნჭულებში აქა-იქ წარმოდგენილი მსახიობები უმკლავდებოდნენ.

რა თქმა უნდა, იყო სცენები, რომლებმაც აპლოდისმენტები დაიმსახურა. იყო და უნდა ყოფილიყო კიდეც. საპრემიერო წარმოადგენაში ბატონი დავით დვალიშვილი მონაწილეობდა, რომელიც ჯალათის როლს ასრულებდა, კიდევ გივი ჩუგუაშვილი - მეთიუს როლში. ამ დროს გვერდით მჯდომებმა ისევ ის თქვეს, რაც აქამდეც არაერთხელ უთქვამთ: "ძველი სკოლაო". გასაგებია, რატომაც თქვეს... პიჩემის როლში გოჩა კაპანაძე ვიხილეთ. შესაძლოა ეს არ არის ამ მსახიობის როლი, თუმცა ნიჭითა და მონდომებით ამგვარი სირთულეები მისთვის დასაძლევი აღმოჩნდა.

"სამგროშიანმა ოპერამ" ახალი არაფერი გვითხრა. არც არაფერი შექმნა. ანდა რა უნდა ეთქვა. უბრალოდ, რაღაც ძველი მოგვაგონა. ისე კი, ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ამ წარმოდგენას არაერთი დასწამებდა პლაგიატობას, თუმცა თეატრალური სცენებსა და მანერებს კანონი ჯერ არ იცავს. ვერც მსახიობებს განვსჯით მეტყველებისა და თხრობის მანერის სიძველის გამო, რომელსაც, სხვა ყველაფერთან ერთად, დამაჯერებლობა აკლია. და კიდევ, წარმოდგენაში ბევრი რამ ისეთი შეიძლება ამოიცნო, რაც მოგონებებსა და მელანქოლიურ სიამოვნებას მოგგვრით. მსახიობი ქალების კისკისი, შემზარავი "ბზარი" მსახიობი მამაკაცების ხმაში და ქალის მთავარი როლის, ცელია პიჩემის შემსრულებლის, ქალბატონი გურანდა გაბუნიას ძველი, კარგად ნაცნობი ქორეოგრაფიული მონახაზები, რომლებიც გია მარღანიას ქორეოგრაფიამაც კი ხელშეუხებელი დატოვა.

თავი დავანებოთ წარმოდგენას და რეზიუმესთვის მხოლოდ ის ვთქვათ, რომ ყველა, ვინც ქართული თეატრის თაყვანისმცემელია, ყველა, ვინც მარჯანიშვილის თეატრს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ "სამგროშიანი ოპერა" არ არის ამ თეატრისთვის შესაფერისი ნაწარმოები; შემედავებიან, მარტივად შეხედავენ ამ საკითხს და ასევე მარტივად მიპასუხებენ, რომ მე "უაზრო ტრადიციების მწამს". თუმცა აქ ტრადიცია არაფერ შუაშია. ამ შემთხვევაშიც არ უნდა მოხდეს ის, რაც ხშირად ხდება, ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს ტრადიციისა და ფასეულობის ცნებები. ესთეტიკა, რომელიც კოტე მარჯანიშვილის თეატრში იყო, რომელიც რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ დაანათლა დასს, ინტელექტუალური თეატრის, აზრის თეატრის ესთეტიკაა. ეს არ არის ის უაზრო ტრადიცია, რომელსაც ახალგაზრდა რევოლუციონერები უნდა შევერკინოთ. ეს ფასეულობაა, რომლის ჩანაცვლება ფერადოვანი, მუსიკალური, კეთილი და კომიკური ინსცენირებებით არაფერს მოგვიტანს, მით უფრო "თანამედროვე ქართულ თეატრს", რომლამდე მიღწევასაც არა ცეკვა-სიმღერა, არამედ სწორედ აზრისა და დიალოგის თეატრი სჭირდება.

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

ხმა მიეცით ქალებს!

გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# ლაკმუსის ქაღალდი

### გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესია სუამის რეგიონში არსებული კონფლიქტების საკითხს განიხილავს

ირაკლი ტაბლიაშვილი
ასოციაცია "აბხაზია.ინფო"

დიპლომატიური წარმატება – გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სუამის რეგიონში არსებული გაყინული კონფლიქტების განხილვა, რა თქმა უნდა, მთლიანად სუამის ქვეყნების დიპლომატიური კორპუსების, მაგრამ განსაკუთრებით საქართველოს წარმომადგენლობის ნაყოფიერი მუშაობის შედეგია.

რუსეთის მოსალოდნელი და გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიის დღის წესრიგში სუამის რეგიონში არსებული გაყინული კონფლიქტების საკითხიც დგას. გენერალურ ასამბლეაზე ჩვენთვის საინტერესო საკითხების – ყოფილი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების განხილვა უპრეცედენტოა, აქამდე საკითხს მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭო განიხილავდა, სადაც მის მუდმივ წევრ რუსეთს ვეტოს გამოყენების უფლება აქვს.

პროცესებზე ზემოქმედება რუსეთმა რამდენიმე დღის წინაც სცადა, როდესაც გაეროს გენერალურმა კომიტეტმა 61-ე სესიის დღის წესრიგში არ ჩართო სუამის ქვეყნებში არსებული კონფლიქტების საკითხი, თუმცა, სუამის ქვეყნების წარმომადგენლებმა მოახერხეს და ასამბლეის პლენარულ სხდომაზე ერთი ხმის უპირატესობით მოიპოვეს გამარჯვება. აქვე აღსანიშნავია, რომ 65 ქვეყნის დელეგაციამ კენჭისყრისას თავი შეიკავა, ხოლო აბსოლუტური უმრავლესობა სხდომას საერთოდ არ დასწრებია.

რუსეთის "გაბრაზებული" დიპლომატიური კორპუსი, რა თქმა უნდა, საგარეო საქმეთა სამინისტროს, შესაბამისად, კრემლის მითითებით, ახლა იმაზე მუშაობს, რომ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია მკაცრი, რუსეთისთვის საზიანო და ქართველთათვის უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვების მომტანი არ იყოს. როგორ დასრულდება დიპლომატიური ომი კულისებში, ძნელი სათქმელია, თუმცა თავშეკავებულთა, ისევე როგორც სხდომაზე არმყოფთა განხილვა ქართველთა პოტენციურ, უპირობო მომხრეებად სავარაუდოდ დიდი შეცდომა იქნება.

დიპლომატიური ომის მეტ-ნაკლები წარმატებით დასრულება დიდწილადაა დამოკიდებული პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლაზეც, რომელიც გაეროში უახლოეს დღეებში იგეგმება. პოზიცია, რომლებსაც პრეზიდენტი გაეროს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენელთა წინაშე გაახმიანებს, ერთნაირად და მეტ-ნაკლებად მისაღები უნდა იყოს მინიმუმ იმდენი წევრისთვის, რამდენიც პოტენციურად დაუჭერს მხარს ჩვენ მიერ შეთავაზებული რეზოლუციის პროექტს. მნიშვნელობა არ აქვს რამდენად მკაცრი იქნება ეს გამოსვლა რუსეთის მიმართ, უფრო მნიშვნელოვანია, რომ პირობითად პარაგვაიმ, ურუგვაიმ და ჩადმა, უფრო ზუსტად 191 წევრი სახელმწიფოს ნახევარზე მეტმა, გამოსვლის და რეზოლუციის პროექტის წაკითხვის შემდეგ მიიღოს ჩვენ მიერ შეთავაზებული რეზოლუციის მხარდაჭერის გადაწყვეტილება.

ამის მიღწევა, რა თქმა უნდა, რთული იქნება, მაგრამ, ქართული დელეგაციის მუშაობის შედეგების გათვალისწინებით, არა შეუძლებელი.



საქართველოს ელჩმა გაეროში ირაკლი ალასანიამ პირველ დიპლომატიურ წარმატებას მიაღწია.

გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომის შემდეგ, პრეზიდენტი სააკაშვილი კოდორის ხეობაში გეგმავს გამგზავრებას და თამამად შეიძლება ითქვას, რომ გზავნილები ზემო აფხაზეთიდან სოხუმის მიმართულებით, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება.

მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტის მკაცრ, პრინციპულ გამოსვლას ფონად გასდევდეს ხაზგასმა სამშვიდობო პოლიტიკის უალტერნატივობის შესახებ. აფხაზურმა საზოგადოებამ, რომლამდეც აღწევს ინფორმაცია ქართული არმიის ძლევამოსილების შესახებ და რომელსაც პათოლოგიური შიში აქვს ახალი სისხლისღვრისა, სწორედ "მისი ქვეყნის" პრეზიდენტისგან უნდა გაიგოს, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზა საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენაზე, დიალოგზე, კომპრომისზე და მშვიდობაზე გადის. იქ, სოხუმში უნდა იცოდნენ, რომ კოდორის ხეობის გათავისუფლება რეალურად ბანდიტებისგან მოხდა და არა იმისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლება სამხედრო იერიშს გეგმავს აფხაზეთზე. იქ, სოხუმში უნდა იცოდნენ, რომ საქართველოსთვის სასარგებლო რეზოლუციის ინიცირება და გამიჯვნა რუსეთისგან თავად აფხაზებისთვისაც იქნება კარგი, რადგან კულტურულად თუ პოლიტიკურად რუსეთის ალტერნატივა არის დემოკრატია, დასავლური ღირებულებები, ადამიანის უფლებების დაცვა და თამაშის ის წესები, რომლებიც დემოკრატიულ გარემოშია დამკვიდრებული და არა მოსკოვში, რომელიც მაინც ვერ მოახერხებს კავკასიის მთლიანად, კონკრეტულად კი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შენარჩუნებას.

ამ ფონზე მნიშვნელოვანია ის განწყობა, რომლის დანერგვასაც ცდილობს რუსეთი მთლიანად საქართველოში, კონკრეტულად თბილისში. პარალელურად აბუნტებულ რეგიონებში მიმდინარე პროცესებისა, ვითარების ესკალაციას ცდილობენ თბილისშიც, სადაც ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციები უკვე განხორციელდა და სავარაუდოდ კიდევ იგეგმება. რეალურად, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების შეცდომათა ნაწილი თვალსაჩინოა, პროცესთა უმრავლესობა მართული სწორედ მოსკოვიდანაა. გამოკვეთილი "ორჯონიკიძეების" გარდა (აბაშიძე, გიორგაძე და სხვები) მოსკოვში სავარაუდოდ იმ ადამიანებზეც დებენ ფსონს, რომელთა რეპუტაციაც ესოდენ შელახული არ არის. სამწუხაროა, რომ ამგვარ პერსონათა ლუსტრაცია ვერ ხერხდება და რომც მოხერხდეს, დამაჯერებლობას მოკლებული იქნება. ასევე სამწუხაროა, რომ ამგვარი პერსონები არა მხოლოდ ოპოზიციაში უნდა ვეძიოთ, არამედ იქაც, საიდანაც პროდასავლურ პრეზიდენტს და მის პოლიტიკას საფრთხე თითქოს ყველაზე ნაკლებად ელოდება.

დაბოლოს, გამოკვეთილია, რომ დიპლომატიურ ფრონტზე საქართველო რუსეთს წინააღმდეგობას მაინც გაუწევს. გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომა, რეზოლუციის შინაარსი, შემდგომი გზავნილები კოდორიდან სოხუმისკენ და სხვა ნაბიჯები ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი იქნება იმისა, რამდენად სწრაფად მოვახერხებთ რეალური ნაბიჯების გადადგმას, რომ კონფლიქტები ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანად დარეგულირდეს.

თვალსაზრისი

# ჭეშმარიტების მომენტი

### თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმის "აფხაზური ხაფანგის" გამო

*წელს, 27 სექტემბერს აფხაზი სეპარატისტები სოხუმის აღების 13 წლისთავს იზეიმებენ. ჩვენ ამ ცამეტი წლის მანძილზე ვერ გაგვირკვევია, ვისი და რა მიზეზის გამო დავკარგეთ (ჯერჯერობით!) აფხაზეთი. და ვერც ვერასოდეს გავერკვევით, თუ ამის შესახებ შევეკითხებით ედუარდ შევარდნაძეს, თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანს და სხვა სახელმწიფო დამნაშავეებს, რომლებიც საკუთარი კვალის დასაფარად ურცხვად განაგრძობენ მოსახლეობის დეზინფორმაციას.*

კინოდოკუმენტალისტს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ისტორიის წინაშე. იგი ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე მყარად უნდა იდგას და მისხალ-მისხალ აგროვებდეს მას. დოკუმენტალისტს მოეთხოვება, უჩვენოს, თუ ვინ და რა განაგებს ადამიანთა ბედს. თანაც, ამ ფილოსოფიურ კითხვაზე პასუხის გასაცემად არამც და არამც არ უნდა მოუსმოს იმათ, ვისაც ხელში ბოთლით ძმარი უჭირავს, მაგრამ ამტკიცებენ, ღვინოაო.

დროდადრო ჩვენ ამ "ღვინოს" გვასინჯებენ, მაგრამ როდემდე? - ხომ უნდა დადგეს ჭეშმარიტების მომენტი. ჭეშმარიტებას კი ვერავინ გაექცევა, ვერც "აფხაზურ ხაფანგში" მოხვედრილი თვით მისი ავტორი და ვერც აფხაზეთის ტრაგედიის შემოქმედი ვერც ერთი მხარე.

ბატონ თომა ჩაგელიშვილს, უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, თუ ვინ და ვის ქვაბში მოიხარშა ის პოლიტიკა, რომელსაც მოჰყვა ავბედითი 27 სექტემბერი.

ჩვენ თავს ვიკავებთ "აფხაზური ხაფანგის" დეტალურად განხილვისაგან, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია, განვაცხადოთ შემდეგი:

1. ფილმი შექმნილია ტენდენციურად, კანონიერი ხელისუფლების გადატრიალების ორგანიზატორთა მიერ ნაკარნახევი სცენარით, რომელსაც, როგორც ჩანს, ვერც თვით ფილმის შემქმნელი, ბატონი თომა ჩაგელიშვილი დაშორდა. იმას, ვისაც აფხაზეთის ომის ცხოვრებით არ უცხოვრია და არ ჰქონია შეხების წერტილები აფხაზური სეპარატიზმის ომისწინა პერიოდთან, ნამდვილად გაუჭირდება იმ უამრავი კინომასალისაგან აარჩიოს სწორედ ის, რომელიც ობიექტური სინამდვილის ჩვენების საშუალებას იძლევა.

2. ფილმის პირდაპირი, ზოგჯერ ქვეტექსტით გახმოვანებული მიზანია, აფხაზეთის დაკარგვისათვის დანაშაულის მთელი სიმძიმე კანონიერი ხელისუფლების მომხრეებსა (ე.წ. ზვიადისტები) და თვით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას აჰკიდოს, და არც ერთი სიტყვა იმაზე, რომ აფხაზეთის (ისევე, როგორც ცხინვალის რეგიონის) დაკარგვა პირდაპირ კავშირშია 1991-1992წწ. სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებასთან და მისი უშუალო შედეგია.

3. აფხაზეთის კონფლიქტის ცალკეული ფრაგმენტული ეპიზოდების კომენტირებას ახდენენ ედუარდ შევარდნაძის რეჟიმის აპოლოგეტები აფხაზეთში – ბატონები თამაზ ნადარეიშვილი, გივი ლომინაძე, ავთანდილ იოსელიანი, ასევე, ჯაბა იოსელიანი და სხვები, რითაც მათ ერთხელ კიდევ მიეცათ სიყალბის სიმართლედ გასაღების საშუალება. გვინდა, პირდაპირ განვაცხადოთ: ამ პირთა ენით ჩვენ ვერასოდეს მოვისმენთ სიმართლეს და თუ ეს ასე გაგრძელდა, ვერც ვერასოდეს დავაღწევთ თავს იმ "აფხაზურ ხაფანგს", რომელიც შევარდნაძის მიერ იქნა დაგებული მოსკოვის კარნახითა და პირდაპირი მითითებით.

4. პრივიტიზმს თავი რომ გავანებოთ, ჩვენ ამ ფილმში მოვისმინეთ ავთანდილ იოსელიანის ზღაპარი იმის შესახებ, თუ ვინ გადააფიქრებინა ვლადისლავ არძინბას თბილისში ჩამოსვლა. ასევე, გივი ლომინაძის არანაკლებ "საინტერესო" ზღაპარი ჟანგიანი სანადირო თოფების ამოღების შესახებ.

სინამდვილეში მოხდა ის, რომ აფხაზეთის ქართული მოსახლეობა პირწმინდად განაიარაღეს, ხოლო აფხაზი-სეპარატისტები "პირწმინდად" შეაიარაღეს, და ეს ხდებოდა ავთანდილ იოსელიანისა და გივი ლომინაძის ხელშეწყობითა და წაყრუებით.

5. გივი ლომინაძე საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ მის კანდიდატურას აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე თვით ქართული დეპუტაციის სრული მხარდაჭერაც არ ჰქონდა. ის არაფერს ამბობს იმაზე, რომ მიღწეული შეთანხმებით, აფხაზეთის ა/რ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეების არჩევნები უნდა მომხდარიყო ერთი პაკეტით და ერთდროულად. მინიმუმ, თამაზ ნადარეიშვილისა და გივი ლომინაძის მცდელობით გაიხლიჩა ეს "პაკეტი" და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები სხვა დროისათვის გადაიდო. ბატონ გივი ლომინაძეს უნდა სცოდნოდა, რომ აფხაზური დეპუტაცია მის კანდიდატურას ხმას არ მისცემდა (რის გარეშეც ის გამსვლელ ხმას ვერ აგროვებდა) თუნდაც იმიტომ, რომ იგი ჯაბა იოსელიანის მიერ იყო რეკომენდირებული. ეს იმ სამსახურის სანაცვლოდ, რაც გივი ლომინაძემ, როგორც შს მინისტრმა, გაუწია ჯაბა იოსელიანის ხალხს უმძიმეს დანაშაულთა (მათ შორის, ვ. ციგანკოვის მკვლელობა) ჩაფარცხვასა და მიფუჩეჩებაში. გივი ლომინაძე ადვილად წამოეგო ანკესს, რითაც ვლადისლავ არძინბას შანსი დაუტოვა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ თავისი კაცი დაესვა. რომ არა გივი ლომინაძის მოქმედება ეროვნული ძალების ზურგს უკან, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გადიოდა ბატონი ნაპო მესხია (მას ხმას აფხაზებიც აძლევდნენ) და იქმნებოდა იმის წინაპირობები, რომ აფხაზეთის კონფლიქტი საერთოდ აგვეცილებინა თავიდან. აი, რა უნდა ეთქვა ბატონ გივი ლომინაძეს და არა ის, რომ თავი წამებულად წარმოედგინა.



არძინბა, ელცინი, შევარდნაძე - დიდი გარიგება-გაყოფა საქვეყნო ბაზარზე.

6. ამასთან ერთად, ფილმმა გვაჩვენა (და ეს მისი პოზიტივია), რომ აფხაზეთის ა/რ ხელისუფლების ქართული ნაწილის გარკვეული ჯგუფის უმთავრეს მიზანს შეადგენდა არა აფხაზეთის, არამედ თავიანთი სავარძლების შენარჩუნება. თანაც, მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ სად იქნებოდა ეს "სავარძელი", საკუთრივ აფხაზეთში, თუ მის ფარგლებს გარეთ. ეს მიზანი მათ მიერ მიღწეული იქნა კიდევაც. უფრო მეტიც, სოხუმის დაცემისთანავე გივი ლომინაძე ინიშნება დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო მინისტრად და "მხედრიონთან" ერთად განაგრძობს მისი საკურატორო რეგიონის აწიოკებას. კარგად მოერგო ახალ სიტუაციას ავთანდილ იოსელიანიც, ის ჯერ საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილეა და კუდში დასდევს ზვიად გამსახურდიას, შემდეგ კი დაზვერვის დეპარტამენტის შეფია. ამ ხალხს სისხლი კი არა, ცრემლიც არ დასდენიათ აფხაზეთის ტრაგედიის გამო, - გამდიდრდნენ, აფხაზეთში წამოწყებული ბიზნესი (ომის დროს!) ენგურს გამოღმა გადმოიტანეს და, ვითარცა ლეგენდარული მხედართმთავრები, დროდადრო გამოჩნდებიან აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალზე.

7. ფილმის პოზიტივია იმის დაფიქსირებაც, რომ ქართული საჯარისო შენაერთების შესვლა აფხაზეთში ედუარდ შევარდნაძისა და ვლადისლავ არძინბას წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მოხდა. თუმცა სიმართლე ბოლომდე არ არის ნათქვამი. კერძოდ, შევარდნაძე ხალხს უმალავდა აფხაზეთში შესვლის ნამდვილ მიზანს, რომელიც ეროვნული ძალების განადგურებაში მდგომარეობდა. ბატონ თომა ჩაგელიშვილს ნიღაბი უნდა ჩამოეხსნა შევარდნაძის რეჟიმისათვის. უამისოდ კინოდოკუმენტალისტი მოვლენების გარეთ რჩება. საერთოდ, ამ ფილმში ჩვენ გვინდოდა გვეხილა შიგნიდან და არა გარედან დანახული აფხაზეთი.

8. ფილმში მკრთალად არის წარმოდგენილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახე და არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორ ბლოკავდა შევარდნაძე არა მხოლოდ ეროვნული შეიარაღებული ძალების, არამედ თვით მისივე სამხედრო შენაერთების საომარ ოპერაციებს აფხაზეთის ომში. გაუგებარია, რატომ გამორჩა (?) ბატონ თომას ის მოვლენები, რომლებიც მიმდინარეობდა სამეგრელოში აფხაზეთის ომის პარალელურად. თუნდაც ის, გაგრის დაცემის (ჩაბარების) დღეებში „მხედრიონელებმა" მორიგი ეგზეკუცია რომ მოაწყვეს ზუგდიდის რაიონში, მოკლეს 4 ახალგაზრდა, ჰაერიდან დეფოლიანტი მოაფრქვიეს სიმინდის ყანებს... ასეთ დროს ლოთი ქობალია მზად არის შევიდეს კონფლიქტის ზონაში, დაიკავოს საბრძოლო პოზიციები, მაგრამ მის ასეთ ინიციატივას უარით პასუხობენ ჯერ კიტოვანი, შემდეგ კი - შევარდნაძე.

ფილმში ხაზგასმით უნდა თქმულიყო იმის შესახებ, რომ აფხაზი ექსტრემისტ-სეპარატისტების და შევარდნაძის რეჟიმის დახმარებით რუსეთმა აფხაზეთში მოაწყო ადგილობრივი მოსახლეობის სასაკლაო, რომელიც გამოკვეთილად ქართველთა გენოციდში გადაიზარდა.

ბატონი თომა ჩაგელიშვილი ცდილობს სიმართლე თქვას, მაგრამ ნახევარი სიმართლე გამოუდის მხოლოდ. ის განზე ტოვებს ძირითად სათქმელს იმის შესახებ, რომ ამ უბედურებათა სათავესთან დგას თვით შევარდნაძე – 1991-1992წ.წ. სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი; რომ ამ გადატრიალებაში ანუ ნგრევაში აქტიურად მონაწილეობდა წითელი ინტელიგენციის ის ელიტარული ნაწილი, რომელიც მიხვდა, რომ ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მოსვლით კარგავდა განაწილებაში მონაწილეობის უფლებას. სახელმწიფო გადატრიალების გზით ამ ხალხმა აღიდგინა ქვეყნის ძარცვის და, შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო ქონებად მიჩნეული სიმდიდრის მითვისების უფლება. ეს არის არსი იმ საზოგადოებრივი პოლიტიკური მოვლენებისა, რომელიც ეროვნულ ტრაგედიად დაატყდა თავს საქართველოს 1992-1993 წლებში.

დაბოლოს, თომა ჩაგელიშვილის "აფხაზური ხაფანგი" პირველი დოკუმენტური ფილმი როდია ამ თემაზე. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვერ ვიხილეთ ისტორიულ წყაროებთან და სინამდვილესთან შეჯერებული დოკუმენტური ფილმები. თანაც, გვაჩვევენ იმ აზრს, რომ ჩვენ, ქართველებმა, ვილაც-ვილაცებს ბოდიშიც უნდა მოვუხადოთ. დროა ითქვას, რომ სრულიად საქართველოს და ქართველ ხალხს, მათ შორის - აფხაზებს, ბოდიში უნდა მოუხადოს რუსეთმა. იმ რუსეთმა, რომელიც აგერ 200 წელიწადია ცდილობს აფხაზეთის გადაყლაპვას.

იმ უამრავი მასალიდან, რომელიც გაგვაჩნია აფხაზეთისა და აფხაზეთის ომის შესახებ, უნდა გაკეთდეს მიუკერძოებელი, მართალი, ეპოქის ობიექტურად ამსახველი დოკუმენტური ფილმი. ეს მომავლის საქმეა.

*ლტოლვილები აფხაზეთიდან:*
*ზაურ კვარაცხელია,*
*პროფესორი;*
*გიორგი სიჭინავა,*
*მწერალი;*
*ჯემალ შონია,*
*პოეტი, საქართველოს*
*უზენაესი საბჭოს წევრი.*

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# ფოტოშემოქმედი და მკვლევარი

პირველი გვერდიდან

მას ჰქონდა საკუთარი ფოტოსტუდიები თბილისსა და რუსეთში, სადაც იღებდა პორტრეტებს. ასევე ხშირად აწყობდა მასტერკლასებს და სადისკუსიო საღამოებს არა მარტო ფოტოგრაფიის შესახებ, არამედ ზოგადად ისტორიის, ხელოვნების ამა თუ იმ საკითხებზეც.

ერმაკოვი ბევრს მოგზაურობდა მთელ კავკასიაში და აღბეჭდავდა კავკასიელთა ყოფა-ცხოვრებას, ტიპაჟებს, ჩაცმულობას, ხედებს და პეიზაჟებს. მის შემოქმედებაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისტორიული ციხესიმაგრეების, კოშკების, ეკლესია-მონასტრებისა და იქ დავანებული საერო თუ საეკლესიო ნივთების ფოტოფიქსაციას. შემდგომში ეს ფოტოები იქცნენ კავკასიის ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, კულტურის ამსახველ უმდიდრეს და უნიკალურ მასალად.

1874 წელს 28 წლის ფოტოგრაფმა გამოფინა ფოტოები პარიზში, საფრანგეთის ფოტოგრაფთა საზოგადოების მიერ ორგანიზებულ მე-10 ფოტოგამოფენაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი ფრანგი და უცხოელი ფოტოგრაფები და ყველასთვის მოულოდნელად დიდი ფურორი მოახდინა. პარიზული პრესა ეპითეტებს არ იშურებდა ერმაკოვის ფოტოების მხატვრული ღირსებების წარმოსაჩენად. ამ გამოფენის შემდეგ მას საყოველთაო აღიარებასთან ერთად უამრავი დამკვეთიც გამოუჩნდა, ხოლო სპარსეთის შაჰმა ის თავისი პირადი ფოტოგრაფის რანგში მიიწვია. ამით ერმაკოვი ძალიან ამაყობდა და თავის სატიტულო ფურცელზე საგანგებოდ აღნიშნავდა სპარსეთის შაჰთან კავშირს. მოგვიანებით ის მრავალი საერთაშორისო გამოფენის მონაწილე გახდა და სამ ათეულზე მეტი ჯილდო დაიმსახურა.

უკვე საყოველთაოდ აღიარებული ფოტოგრაფი ბევრს იღებდა საიმპერატორო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარის, ცნობილი მეცნიერის გრაფინია პრასკოვია უვაროვას დავალებით, როგორც არქეოლოგიურ აღმოჩენებს, ისე ეკლესია-მონასტრებს, იქ დავანებულ უნიკალური ხატებს და სხვა საეკლესიო ნივთებს. გრაფინია უვაროვა ისტორიაში შევიდა როგორც კავკასიის არქეოლოგიური კვლევაძიების ერთ-ერთი პიონერი. მის მიერ მოპოვებული მასალები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (მაშინდელი კავკასიის მუზეუმი) და მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. ამ მასალების გამოცემა მან XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო როგორც სერიისა - материалы по археологии кавказа, 1902 წელს კი კავკასიის მუზეუმის არქეოლოგიური კატალოგი გამოსცა. ამ გამოცემებში გამოქვეყნებული ბევრი ფოტოს ავტორი ერმაკოვი იყო.



დიმიტრი ერმაკოვი ოჯახთან ერთად.

1910 წელს ერმაკოვი თან ახლდა ექსპედიციას სვანეთში (ხელმძღვანელი - ქართული არქეოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის პატრიარქი, აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი) როგორც ექსპედიციის შტატიანი წევრი და ფოტოებზე ასახა როგორც ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლები და საეკლესიო უნიკალური ნივთები და ხატები, ისე ცოცხალი ადამიანები შრომასა და ყოფაში.

ერმაკოვმა იმოგზაურა და გადაიღო ასევე სპარსეთი, თურქეთი და შუა აზიის ქვეყნები. მის მიერ გადაღებული ფოტოების ეს სერიაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ ქვეყნების ისტორიით თუ კულტურით დაინტერესებულ მეცნიერებში თუ ფართო საზოგადოებაში.

იგი აგრეთვე მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-78წწ. ომში კავკასიის ფრონტზე და რუსეთის იმპერატორის საიდუმლო სამსახურის დავალებით იღებდა ფრონტის ხაზს. ეს ფოტოებიც, რა თქმა უნდა, უნიკალურია და დიდ ინტერესს იწვევს სამხედრო ისტორიკოსებსა თუ სხვა მეცნიერებს შორის.

დიმიტრი ერმაკოვი არ იყო მხოლოდ ფოტოხელოვანი. იგი გარკვეული თვალსაზრისით მეცნიერი და მკვლევარიც იყო. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ იგი 1907 წელს ნამდვილ წევრად მიიღეს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში. მთელი მისი შემოქმედება გამსჭვალულია ისტორიული ძეგლების უსაზღვრო სიყვარულით და შედგება არქეოლოგიური, არქიტექტურული, ისტორიული და სხვა ფაქტების ფიქსაციისგან. მან იცოდა, რომ მის მიერ გადაღებული მასალა ისტორიის ფურცლებად ჩაიწერებოდა მომავალი თაობებისთვის. გარდა ამისა, მან მეცნიერულად შეაფასა თავისი შემოქმედება და ფოტოები სისტემატიზაციაში მოიყვანა. შემდგომში ამ სისტემატიზაციაზე დაყრდნობით მან გამოსცა ფოტოების კატალოგები თბილისში 1896 და 1901 წლებში. კატალოგები შედგენილია რუსულ ენაზე ანბანური და თემატური პრინციპებით. ცალკეა დაჯგუფებული ქალაქების, ისტორიული ადგილებისა და ლანდშაფტების ხედები, ცალკე კი - პორტრეტები და ტიპაჟები. გარდა ამისა, არის ფოტოების ორმაგი ნუმერაცია - კატალოგების მიხედვით და ალბომების მიხედვით. ეს ნუმერაციები შენარჩუნებულია ავტორისეულ ყველა ფოტოანაბეჭდზეც. კატალოგებში ცალკეა გამოყოფილი სტერეოსკოპიური გამოსახულებები ანბანური პრინციპით. ერმაკოვს შედგენილი ჰქონდა ასევე ალბომები თავის სისტემატიზაციაზე და გემოვნებაზე დაყრდნობით და მზა სახით სთავაზობდა დაინტერესებულ პირებს.

მას პირად ცხოვრებაშიც წარმატება ხვდა წილად. დაქორწინებული იყო ავსტრიული წარმოშობის თბილისელ ქალბატონზე, სახელად ანაზე, რომელთანაც სამი შვილი შეეძინა - ორი ვაჟი და ქალიშვილი. უფროსი ვაჟი, ივანე, სამხედრო ექიმი იყო და მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში. შემდგომში მოსკოვში დასახლდა და სახელი გაითქვა იმით, რომ ფროიდისტული თეორიების ერთ-ერთი პირველი მიმდევარი და პრაქტიკოსი გახდა მთელ რუსეთში. მასში მამისეულმა გენებმაც იჩინეს თავი - უყვარდა ნატიფი ხელოვნება და გამოირჩეოდა როგორც კარგი მხატვარი. უმცროსი ვაჟი, ალექსანდრე, ცდილობდა თავისი სიტყვა ეთქვა ხელოვნების სფეროში ფოტოგრაფიის საშუალებით და მამისეული საქმე გაეგრძელებინა, მაგრამ ეს ნაკლებად წარმატებულად გამოსდიოდა. იგი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა 20-იანი წლების შფოთიან საქართველოში. რაც შეეხება ქალიშვილს, ის წარმატებით გათხოვდა პოლონური წარმოშობის დიდგვაროვანზე და, როგორც ვიცით, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში.

დიმიტრი ერმაკოვის მდიდარი ფოტოშემოქმედება თავისი შინაარსით უნიკალურია და უდიდესი ისტორიული, კულტურული და მხატვრული ღირებულება აქვს. მისი ფოტოების დიდი ნაწილი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ასევე მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (წითელ მოედანზე) და პეტერბურგის სახელმწიფო რუსულ მუზეუმში. ფოტოების მცირე ნაწილი კერძო კოლექციებშია.

უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ძალიან გაღვივდა ინტერესი დიმიტრი ერმაკოვის ფოტომემკვიდრეობისადმი მთელ მსოფლიოში. დასავლეთის სოლიდურ გამოცემებში იბეჭდება სამეცნიერო წერილები მისი შემოქმედების შესახებ. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში კი ცალკე გამოიყო ერმაკოვის ფოტოების ფონდსაცავი, სადაც მიმდინარეობს მათი ქიმიური და დიგიტალური დამუშავება.

## საუკეთესო გიტარისტთა ათეული

რუსეთში მოღვაწე ტრიოს Blues Cousins-ს, რომელსაც ქართველი მუსიკოსი ლევან ლომიძე ხელმძღვანელობს, სექტემბრში არსებობის 15 წელი შეუსრულდა.

"დრაივით" გამორჩეული ბლუზროკის შემსრულებლებმა თავისი დაბადების დღეს "უკომპრომისო 15 წელი" უწოდეს. აღსანიშნავია, რომ სამშობლოში ნაკლებად ცნობილი ჯგუფი რუსეთის გემოვნებიან მსმენელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. გარდა იმისა, რომ ის ყველაზე პროდუქტიულია (თვეში დაახლოებით 20 კონცერტს მართავს), ბლუზ-ჯგუფის ლიდერი ლევანი რუსეთის საუკეთესო გიტარისტთა ათეულში შედის. მას "გიტარისტ-მეტყვიამფრქვევეს" უწოდებენ, რადგან საოცარი სისწრაფით და შესრულების ტექნიკით გამოირჩევა.

ლომიძემ თავისი ჯგუფი ჩამოაყალიბა არა თბილისსა და მოსკოვში, არამედ გერმანიაში. მას შემდეგ მრავალ ქვეყანაში იმოგზაურა და თავისი შემოქმედება უცხოელ მსმენელს გააცნო. 2000 წელს "ბლუზ ქაზენი" საფრანგეთში მოწყობილ ფესტივალ Blues Sur Seine-ზე წლის საუკეთესო ჯგუფად აღიარეს. ლევან ლომიძის ჯგუფი პირველი იყო, რომელიც რუსეთის სახელით აშშ-ის საერთაშორისო ბლუზფესტივალზე გამოვიდა. 2003 წლამდე არც ერთ რუსულ ჯგუფს ამ მასშტაბის ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიუღია.

Blues Cousins წელსაც, ოქტომბრის ბოლოს, ნიუ იორკში გამგზავრებასა და საკონცერტო გამოსვლების ალბომად გამოშვებას გეგმავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ახალი ექსპონატები

თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მუზეუმი ახალი კოლექციით გამდიდრდა. მუზეუმის ფონდსაცავს თეატრის ყოფილი დირექტორის ვლადიმერ კანდელაკის არქივი შეემატა. ქეთევან კანდელაკი თეატრს თავად დაუკავშირდა და მამის არქივის გადაცემის სურვილი გამოთქვა.

არქივში უნიკალური მასალაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით ძვირფასია ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა ფოტოები, რომლებიც თეატრის მუზეუმს არ ჰქონდა. მასალა უნიკალურ დოკუმენტაციას, პროგრამებსა და ჟურნალ-გაზეთებს მოიცავს.

ვლადიმერ კანდელაკი 1933-1936 წლებში ხელმძღვანელობდა ოპერისა და ბალეტის თეატრს.

"იმ დროს თეატრში მასშტაბური სარემონტო სამუშაოები განხორციელდა და მასთან დაკავშირებით კანდელაკის დოკუმენტებში, შესაძლოა, ძალზე საინტერესო მასალა აღმოჩნდეს." **ჯი-ეიჩ-ენი**

## აფხაზური ფილმი

ე.წ. აფხაზეთის ეპარქიის გამომცემლობა "სტრატოფილმა" DVD დისკებზე 5-ათასიანი ტირაჟით გამოსცა ისტორიულ-დოკუმენტური ფილმი ახალი ათონის მონასტრის შესახებ.

"ახალი ათონი" რუსულ ენაზეა გადაღებული. მისი რეჟისორია იერომონარქი ანდრეი (ამპარი), ხოლო სცენარის ავტორი - იერომონარქი დოროთე (დბარი). ფილმი აფახაზეთის გაქრისტიანების, ახალ ათონში პირველი სამლოცველოს აგების, სიმონ კანანელის სახელობის მონასტრის დაარსებისა და მისი ისტორიის აფხაზურ ვერსიას მოგვითხრობს. "მოციქულ სიმონ ქანანელის სახელობის ახალი ათონის მონასტერი იყო და დარჩება კავკასიაში ქრისტიანული განათლების ცენტრად", - აცხადებს იერომონარქი დოროთე.

მისი თქმით, გამომცემლობა მონასტრის შესახებ ილუსტრირებული კატალოგის გამოცემასაც აპირებს. ახალი ათონის მონასტერში ღვთისმსახურება 1994 წლის ზაფხულში განახლდა. 2002 წელს იქ დაარსდა სასულიერო აკადემია, რომელთანაც 2003 წლიდან რეგენტთა სკოლაც არსებობს. **ინტერპრესნიუსი**

## გამოფენა "ვერნისაჟში"

22 სექტემბერს გალერეა "ვერნისაჟში" გაიხსნება მხატვრების თენგიზ და გიორგი მირზაშვილების გამოფენა. გამოფენაზე მამა-შვილი ფერწერისა და გრაფიკის ნიმუშებს წარმოადგენენ, რომლებიც ბოლო პერიოდშია შესრულებული.

გალერეის დირექტორის ზაირა ბერელიძის განცხადებით, გამოფენა 10 ოქტომბრამდე გაგრძელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ქართული საბჭოთა მიწისქვეშეთი

### კანადელი ჭეისონ ფლაუერი ქართულ თანამედროვე მუსიკას იკვლევს

ია ვეკუა

"მორიტური" პირველი ქართული ჰევი-მეტალ ჯგუფია. თუმცა ამის შესახებ დღეს მხოლოდ ამ ჯგუფის წევრებს თუ ახსოვთ. კანადელმა ჯეისონ ფლაუერმა კი "მორიტურის" შესახებ ყველაფერი იცის - როდის შეიქმნა, ვინ უკრავდა, სად ატარებდნენ კონცერტს, როგორ გამოიყურებოდნენ მუსიკოსები. ჯეისონ ფლაუერი რამდენიმე კვირაა საქართველოშია და ამ ხნის განმავლობაში ქართული ანდერგრაუნდის შესახებ თითქმის ყველაფერი შეიტყო. თითქმის, რადგან, მისივე თქმით, ეს არის ამოუწურავი სამყარო, რომლის შესწავლასაც გაცილებით დიდი დრო სჭირდება.

ჯეისონ ფლაუერი 1997 წლიდან ევროპაში ცხოვრობს. წლების განმავლობაში თავის ხმის ჩამწერ სტუდიაში ასობით მუსიკოსი ჩაწერა და მათ შემდგომ პოპულარიზაციას ეწეოდა. გამოსცემდა ჟურნალებს ანდერგრაუნდის შესახებ. თანამშრომლობს ევროპის რამდენიმე ქვეყნის რადიოსადგურთან.

"სამუშაო, რომელსაც ვასრულებ, ამბიციური და მასშტაბურია, მაგრამ ვაკეთებ მთელი შემართებით, რადგან ეს მუსიკა მიყვარს", - ამბობს ჯეისონ ფლაუერი.

**- საქართველოში უკვე მეორედ იმყოფებით. კონკრეტულად რა გახდა ჩვენს ქვეყანაში თქვენი ჩამოსვლის მიზეზი?**

- თქვენს ქვეყანაში ჩემი ვიზიტის მიზანი ქართული თანამედროვე მუსიკის ისტორიის შესწავლა, მისი შემქმნელების მოძიება და სხვადასხვა სახის მონაცემების შეკრებაა. პირველ რიგში, მაინტერესებს ძველი მუსიკოსები, ვინც საბჭოთა პერიოდში მუშაობდა და ქმნიდა იმ სისტემისთვის სრულიად მიუღებელ მუსიკას - როკს, პანკს, ჰევი-მეტალს, ჯაზს, ვეივს და სხვა ჟანრებს. ერთი სიტყვით, მაინტერესებს ყველაფერი, რაც თქვენს ქვეყანაში ამ მიმართულებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა. სამწუხაროდ, საქართველოში ამის შესახებ გამოკვლევა ჯერ არავის ჩაუტარებია. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ჟურნალისტს, რომლებიც წლების განმავლობაში წერდნენ და მუშაობდნენ ამ საკითხზე. მაგალითად, ბიძინა მაყაშვილი და ლაშა გაბუნია. მათ არა მხოლოდ ვრცელი არქივი აღმოაჩნდათ, არამედ იცნობენ იმ ადამიანებს, რომლებიც ამა თუ იმ ჯგუფში უკრავდნენ და ყველაზე კარგად იციან, რა პირობებში ვითარდებოდა ანდერგრაუნდი საბჭოთა საქართველოს დროს. ასევე მაინტერესებს დღეს მოღვაწე ჯგუფებიც. მათგან რამდენიმეს რეპეტიციას დავესწარი კიდეც.

ეს არის უდიდესი სამყარო, რომელიც სრულიად გამოუკვლეველია, თუმცა დიდი ამბიცია მაქვს, რომ ამ საქმის დასრულებას შევძლებ. თუ ასე არ გავაკეთებ, მაშინ ეს ხალხი, მათი ჩანაწერები, ფოტოები და სხვა დოკუმენტები უკვალოდ გაქრება.

**- რატომ დაინტერესდით კონკრეტულად ქართული ანდერგრაუნდით? მანამდე გქონდათ ინფორმაცია საქართველოსა და მისი კულტურის შესახებ?**

- 80-იანი წლებიდან მოყოლებული კანადაში ანდერგრაუნდზე ჟურნალს ვუშვებდი. ასევე სხვადასხვა ჟანრის ჯგუფებს ვუკეთებდი პრომოუშენს და ვეხმარებოდი სტუდიური ჩანაწერების გამოშვებაში. ვთანამშრომლობდი უცხოურ ჯგუფებთანაც. სწორედ ამ პერიოდში მოვისმინე პირველად ქართული ფოლკლორი ანსამბლების "რუსთავისა" და "მზეთამზის" შესრულებით, რომლებიც ჩემს სტუდიაში ჩავწერე. იმ დროიდან ქართული პოლიფონია ძალიან შემიყვარდა. ზოგადად თქვენი ქვეყნის კულტურით დავინტერესდი, შემდეგ კი თანამედროვე მუსიკის შესწავლა დავიწყე.

**- კვლევა ჯერ არ დაგიმთავრებიათ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ალბათ მიაღწიეთ გარკვეულ შედეგს...**

- ყოველი აღმოჩენის შემდეგ ჩემს წინ ახალი კარი იღება და ახლის ძიებას ვიწყებ. ვერც წარმოვიდგენდი, თუ ამ პატარა ქვეყანას თანამედროვე მუსიკის მხრივ ასეთი დიდი ისტორია ექნებოდა. თუმცა ეს ისტორია ყველასთვის უცნობია. ზუსტად ვერავინ დაასახელებს, რამდენი ჯგუფი იყო, ვინ უკრავდა მათ შემადგენლობაში, რა მიმდინარეობა იყო ამა თუ იმ დროს პოპულარული. საბედნიეროდ, შევხვდი ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ბევრი ორიგინალური ჩანაწერი აღმოაჩნდათ. წარმოიდგინეთ, მივაგენი პირველი ქართული ჰევი-მეტალ ჯგუფის "მორიტურის" ჩანაწერებსაც.



ჭეისონ ფლაუერი

**- თქვენ მიერ მოძიებულ მასალაში რომელია ყველაზე ადრინდელი და, შესაბამისად, უნიკალურიც?**

- შევხვდი კაკო ვაშალომიძეს, რომელსაც 1968 წელს გაკეთებული ჩანაწერები აღმოაჩნდა. ის ძალიან დამეხმარა, რადგან ათწლეულების განმავლობაში ამ სფეროში მოღვაწეობდა და ბევრი რამის გახსენება შეუძლია. ჯერჯერობით არ მისაუბრია ბაჩი ქიტიაშვილთან. მითხრეს, რომ სწორედ ბაჩია პირველი ქართველი როკ-მუსიკოსი. მასთან შეხვედრა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბევრის გაგების იმედი მაქვს. გამორიცხულია, რომ არ ჰქონდეს აუდიოჩანაწერები და ფოტომასალა. ეს დიდი შენაძენი იქნება ჩემთვის. რაც მთავარია, ის ძველი მუსიკოსების შესახებაც მომიყვება.

**- ინფორმაციის მოწოდება შეუძლიათ ქართველ ჟურნალისტებსაც. ისინი თქვენც ახსენეთ...**

- ჟურნალისტი ლაშა გაბუნია ძალიან დამეხმარა. მან ბევრი იცის 80-90-იანი წლების ქართული ანდერგრაუნდის შესახებ და აქვს საკუთარი უნიკალური არქივი. აქვს ისეთი მასალები, რომლებიც თავად მუსიკოსებსაც არა აქვთ. ლაშა იყო პირველი, ვინც მითხრა, რომ ამომწურავად შეეძლო ჩემი დახმარება და თავისი არქივიც მაჩვენა. ასევე დამეხმარა ფოტოგრაფი გურამ წიბახაშვილი, ვისაც უნიკალური ფოტომასალა აღმოაჩნდა. მადლობელი ვარ ნუგზარ კვაშალის, რომელმაც ძველ მუსიკოსებთან დამაკავშირა.

მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია ბიძინა მაყაშვილმა. იგი თავადაც ჟურნალისტია და ამ სფეროზე წლების განმავლობაში მუშაობდა. მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩემთვის ის საძირკველი აღმოჩნდა, რომელზეც ჩემი კვლევა ავაგე.

**- თქვენ ახსენეთ, რომ ასევე გაინტერესებთ დღეს მოღვაწე ჯგუფები და მუსიკოსები. რას იტყვით მათ შესახებ?**

- დავესწარი "გრინ მამას" რეპეტიციას. კარგი ჯგუფია და საინტერესო მუსიკას ქმნიან. თუმცა მაინც გამიცრუვდა იმედი, რადგან ინგლისურ ენაზე მღერიან. მე ინგლისურენოვანი ქვეყნიდან ვარ და ინგლისური სიმღერა არ მაკვირვებს. მინდა, რომ აქაური ჯგუფებისგან ქართულად ნამღერი მოვისმინო.

ჩემთვის აღმოჩენა იყო ირაკლი ჩარკვიანის ჩანაწერების მოსმენა, რომლის მუსიკაში დიდი თავისუფლება იგრძნობა. ის ასრულებს იმას, რაც სურს და არ არის დამოკიდებული მსმენელზე. ასევეა ლადო ბურდულიც. მისი ჯგუფი "რეცეპტი" 80-იანი წლების საუკეთესო კოლექტივი იყო და პირველი ქართული როკ-ჯგუფია, რომელიც მოვისმინე. ლადო რომანტიკული პიროვნებაა - ქმნის აკუსტიკურ მუსიკას, აქცენტს კი ტექსტზე აკეთებს. ამავე დროს ლადო აქტიურადაა დაკავებული ახალბედა მუსიკოსების პრომოუშენითა და სხვადასხვა ფესტივალებისა თუ ღონისძიებების მოწყობით. ამის გამო მას არ რჩება დრო თავისი მუსიკისთვის. ვისურვებდი, რომ ლადო კვლავ დაუბრუნდეს სტუდიას.

**- სხვა ქვეყნებშიც ხომ არ ჩაგიტარებიათ მსგავსი კვლევა?**

- იგივე პროექტი პოლონეთში განვახორციელე, თუმცა იქ დიდ სიძნელეებს წავაწყდი. პოლონეთი თქვენზე გაცილებით დიდი ქვეყანაა და, შესაბამისად, ბევრი მუსიკოსია. ყველა მათგანი კი იჩემებს, რომ ამ საქმის პიონერი და თავის ქვეყანაში საუკეთესო მუსიკოსია. პრობლემა იყო ისიც, რომ ცოტას ჰქონდა ჩანაწერები და ფოტომასალა.

**- როდესაც კვლევას დაასრულებთ, რა სახით აპირებთ მის გავრცელებას?**

- მასალებს განვათავსებ ამერიკულ მუსიკალურ ჟურნალებში Shit Five და Maximum Rok' n' Roll. დაგეგმილი მაქვს რადიოგადაცემები ლატვიაში, შვეიცარიასა და პოლონეთში (ამ ქვეყნების რადიოსადგურებთან წლების განმავლობაში ვთანამშრომლობ), ასევე მასალას განვათავსებ ინტერნეტში. თუმცა პირველ რიგში უნდა შევისწავლო ის, რაც შევაგროვე და შემდეგ გადავწყვეტ, რა ფორმით აჯობებს მათი გამოქვეყნება.

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

ხმა მიეცით ქალებს!

გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

### მოკლედ

## კოკაიმ ოსი როხო დაამარცხა

გუშინ იაპონიაში მოასპარეზე ქართველმა სუმოისტმა კოკაიმ ოს სუმოისტ როხოს მოუგო. ამჟამად კოკაის ანგარიშზე 6 გამარჯვება და 5 მარცხია. თუმცა, ქართველ სუმოისტს, სულ მცირე, კიდევ ორი გამარჯვება სჭირდება დადებითი ბალანსისთვის.

## "მილანმა" "ბარსას" ფეხბურთელებს დაადგა თვალი

ესპანური პრესის ცნობით, "მილანის" ხელმძღვანელობა "ბარსას" ერთბაშად ორი ფეხბურთელით დაინტერესადა. "როსონერის" ხელმძღვანელობა კარლეს პუიოლისა და რაფა მარკესის შეძენის სურვილს გამოთქვამს. თუმცა, "ბარსას" უფროსობა მილანელთა დაინტერესებას მაშინვე ერთადერთი წინადადებით გამოეხმაურა: "ორივე ფეხბურთელი ხელშეუხებელია!"

პუიოლისა და მარკესის კონტრაქტის თანახმად, მათი შეძენის მსურველმა კლუბმა კომპენსაციის სახით "ბარსელონას", შესაბამისად, 150 და 100 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

## კლინსმანი აშშ-ის ნაკრებს უთავკაცებს

"ნიუ იორკ თაიმსის" ინფორმაციით, ბუნდესნაკრების ყოფილი თავკაცი იურგენ კლინსმანი აშშ-ის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატია. ჯერჯერობით 41 წლის გერმანელ სპეციალისტს საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა, სავარაუდოდ, კლინსმანი ამერიკელთა წინადადებას დათანხმდება.

აშშ-ის ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატად ასევე სახელდებიან სვენ-გორან ერიქსონი და ხოსე პეკერმანი.

შეგახსენებთ, რომ 54 წლის ბრიუს არენამ მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვა ამერიკის ნაკრები, რომელსაც რვა წლის განმავლობაში თავკაცობდა.

## ბეკენბაუერს ფეხბურთიდან წასვლა არ უნდა

61 წლის ლეგენდარული ფრანც ბეკენბაუერის განცხადებით, მას დიდი სურვილი აქვს წლევანდელ სეზონშიც გააგრძელოს მიუნხენის "ბაიერნში" მუშაობა.

გერმანული კლუბის პრეზიდენტობის სურვილი კაიზერფრანცმა ნიურნბერგში გამართულ სარეკლამო ღონისძიებაზე გამოთქვა. "ბაიერნის" პრეზიდენტის არჩევნები ნოემბერში გაიმართება. ფრანც ბეკენბაუერი 1994 წლიდან მიუნხენური კლუბის პრეზიდენტია.

## ფერგი მაკელელეთი მოიხიბლა

ბრიტანული პრესის ინფორმაციით, "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელის ალექს ფერგიუსონის თქმით, მას "ოლდ ტრეფორდზე" ყველაზე მეტად კლოდ მაკელელეს ხილვა სურს. "ჩელსის" ფრანგი ნახევარმცველის გარდა, ფერგიუსონმა სასურველ ფეხბურთელთა შორის "ბაიერნის" ინგლისელი ნახევარმცველი ოუენ ჰარგრეივზიც დაასახელა. ამ უკანასკნელს უკვე კარგა ხანია უკავშირებენ "მანჩესტერს", თუმცა ინგლისელი ფეხბურთელი კვლავაც მიუნხენში რჩება.

## ვის დარჩება "ლივერპული"?

"ლივერპულის" ხელმძღვანელობა დღეს კლუბის შეძენის მსურველთა ერთბაშად სამ წინადადებას განიხილავს.

მერსისაიდული კლუბის შეძენით დაინტერესებულთა შორისაა გუნდის დირექტორი სტივ მორგანი, რომელიც კარგა ხანია ცდილობს "ლივერპულის" ხელში ჩაგდებას. სავარაუდოდ, ახალი მფლობელი "ენფილდ როუდის" ნაცვლად აგებულ ახალ სტადიონსაც დააფინანსებს.

## კამორანეზი "ვესტ ჰემში" ითამაშებს

გამოცემა "ინდეპენდიენტეს" ცნობით, ზამთრის სატრანსფერო სეზონში "იუვენტუსის" ნახევარმცველი მაურო კამორანეზი ლონდონის "ვესტ ჰემში" გადაბარგდება.

მას შემდეგ, რაც ტურინული კლუბი სერია ბ-ში დაქვეითდა, კამორანეზი კლუბის დატოვების სურვილს გამოთქვამს.

## ისაქსონი ნაკრებს ვერ დაეხმარება

"მანჩესტერ სიტისა" და შვედეთის ნაკრების კარის დარაჯი ანდრეას ისაქსონი მუხლის ტრავმის გამო ოქტომბერში გასამართ ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის მატჩებს გამოტოვებს.

"ბლექბერნთან" მატჩის წინ ისაქსონი ჩვენი გუნდის ერთ-ერთ ფეხბურთელს შეეჯახა, რის გამოც მუხლის მყესები დაეჭიმა", - განაცხადა "მანჩესტერ სიტის" თავკაცმა სტიუარტ პირსმა. 24 წლის გოლკიპერს შვედეთის ნაკრებში სავარაუდოდ იონ ალვებორგე შეცვლის.

## "ლიდსი" რანიერის უმიზნებს

ლონდონის "ჩელსის" ექს-დამრიგებელს კლაუდიო რანიერის პრემიერლიგის "ლიდსის" ხელმძღვანელობამ კლუბის გაწვრთნის წინადადებით მიმართა. "ლიდსის" ხელმძღვანელობა კლუბის ამჟამინდელი თავკაცის კევინ ბლექუელის მუშაობით უკმაყოფილოა. თუ კლუბი უახლოეს ხანებში სატურნირო ცხრილში რამდენიმე საფეხურით წინ არ წაიწევს, მაშინ ბლექუელს რანიერი შეცვლის.

## გროსო "პარმში" ბრუნდება

იტალიური "პალერმოს" პრეზიდენტის მაურისიო ძამპარინის განცხადებით, "სკუადრა აძურასა" და მილანის "ინტერის" მცველი ფაბიო გროსო შესაძლოა ძველ კლუბს დაუბრუნდეს.

"თუ "ინტერის" ხელმძღვანელობა გროსოს გაშვებაზე თანახმა იქნება, ფეხბურთელთან კონტრაქტს იანვარშივე გავაფორმებთ. თუმცა, საუბარია მისი იჯარით გადმობირებაზე", - განაცხადა ძამპარინიმ.

ფაბიო გროსო "პარმას" ღირსებას გასულ სეზონში იცავდა.

## პრემიერლიგაში სკანდალი მწიფდება

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის განცხადებით, ძვირად ღირებული ფეხბურთელების შეძენიდან "საკომისიო თანხების" აღებაში ეჭვმიტანილ მსაჯებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

გამოძიება კი მას შემდეგ დაიწყო, რაც "ბი-ბი-სი"-ზე გავიდა ტელეჟურნალისტების მიერ გადაღებული საგამოძიებო ფილმი "ფეხბურთის ბინძური საიდუმლოებები". ეჭვმიტანილთა შორისაა "ბოლტონის" მთავარი მწვრთნელი სემ ალარდაისი, მისი ვაჟი, საფეხბურთო აგენტი კრეიგ ალარდაისი და კიდევ რამდენიმე აგენტი, რომელთა გვარები ჯერჯერობით უცნობია. ასევე "პორტსმუთის" თავკაცი გარი რედნაპი.

თუმცა, ჟურნალისტთა მთავარი სამიზნე მსაჯი კნუტ ბერგე გახდა, რომელიც არარსებული ამერიკელი მულტიმილიონერის სახელით დახმარებას სთავაზობდა საფეხბურთო აგენტებს. ბორგეს ანკესზე წამოგებულმა "აგენტმა" ჩარლზ კოლიმარმა კი გაარკვია, რომ პრემიერლიგაში მოღვაწე დაახლოებით რვა მწვრთნელი ქრთამს იღებს ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვისგან.

"ბი-ბი-სი"-ს რეპორტიორთა განცხადებით, სემ ალარდაისი თავისი ვაჟის მეშვეობით "ბოლტონის" მიერ შეძენილ ფეხბურთელთა აგენტებისგან გვარიან გასამრჯელოს იღებდა. ცხადია, ალარდაისი ამ ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ არაფერს იტყვის მანამ, სანამ თავად არ ნახავს "ფეხბურთის ბინძურ საიდუმლოებებს".

## "არსენალის" ვალი გაიზარდა

ბრიტანული პრესის ცნობით, ლონდონის "არსენალის" "ჰაიბერიდან" "ემირეიტ სთედიუმზე" გადაბარგების გამო, კლუბის ვალმა საერთო ჯამში 153,3 მილიონი ფუნტის (2005 წლისთვის) ნაცვლად, 262,1 ფუნტი შეადგინა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელ სატრანსფერო სეზონში ფეხბურთელების გაყიდვიდან შემოსულმა თანხამ "მეთოფეებს" 19,2 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოგება მოუტანა. გასულ სეზონში "არსენალის" ჩემპიონთა ლიგის ფინალში მონაწილეობამ კი კლუბის შემოსავალი 132,1 ფუნტით გაზარდა.

## ბექჰემი "რეალში" დარჩება

უახლოეს სამ კვირაში მადრიდის "რეალის" ინგლისელი ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი კლუბთან კონტრაქტს, სულ ცოტა, ორი წლით გაახანგრძლივებს. "სამეფო გუნდის" პრეზიდენტის რამონ კალდერონის განცხადებით, კლუბის ხელმძღვანელობა და მთავარი მწვრთნელი ფაბიო კაპელო ბექჰემის თამაშით კმაყოფილნი არიან და სიამოვნებით გაახანგრძლივებენ მასთან კონტრაქტს.

# კალათბურთში ნაკრებები დაითვალეს

გიგა გურასაშვილი

*ფინეთთან თამაშის შემდეგ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა სეზონი დაასრულა. უფრო ადრე იგივე გააკეთეს კადეტთა და ახალგაზრდულმა ნაკრებებმაც. სხვაობა ის არის, რომ კადეტები და ახალგაზრდები B დივიზიონიდან A დივიზიონში დაწინაურდნენ. ერთი სიტყვით, გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანთან სეზონის ერთგვარი შემაჯამებელი შეხვედრა გვქონდა. რა თქმა უნდა, საუბრის ძირითადი თემა მთავარი ნაკრები გახლდათ.*



საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს საგაისოდ ბევრი აქვს საფიქრალი.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ფედერაციის პრეზიდენტმა კადეტებითა და ახალგაზრდული ნაკრებით საუბარი დაიწყო. ორივე გუნდმა მათთვის დასახულ მიზანს მიაღწია. თუმცა, ისიც ითქვა, რომ A ჯგუფში დარჩენა ძნელი იქნება. ამავე დროს გამოიკვეთა კონტურები, უფრო სწორად, მოთამაშეები, რომლებსაც მთავარ ნაკრებში მოხვედრის პერსპექტივა აქვთ. ლიპარტელიანი ძირითად თემასაც შეეხო, რაც, გამოგიტყდებით, მეტ ინტერესს იწვევდა. ბუნებრივიცაა: კადეტებმა და ახალგაზრდებმა საკუთარი საქმე ხუთიანზე გააკეთეს. პირველი გუნდის ფინელებთან თამაშით კი კმაყოფილი არავინ დარჩენილა. მიუხედავად ამისა, ფედერაციის პრეზიდენტი უმთავრესი ნაკრების დღევანდელი შედეგით კმაყოფილია და საამისოდ არგუმენტებიც აქვს: "შეამჩნევდით, რომ შარშანდელისგან განსხვავებით პირველმა ნაკრებმა წლეულს აშკარად წინ გადადგა ნაბიჯი. ახალგაზრდული გუნდი გვყავს, ზაზა ფაჩულია კი ნაკრების ლიდერად იქცა. სამი შეხვედრა მოვიგეთ, მაგრამ ჩვენს მთავარ კონკურენტ ფინეთთან წავაგეთ, რაშიც კატასტროფას ვერ ვხედავ, რადგან მჯერა, რომ კარგი გუნდი გვყავს, ისეთი, რომელიც გაისად ფინეთს ჩვენთვის სასურველი ანგარიშით დაამარცხებს".

კითხვაზე, თუ რა გაკეთდება იმისთვის, რომ ფინეთის ნაკრებს თბილისში 11-ქულიანი სხვაობით მოვუგოთ, ფედერაციის პრეზიდენტი ამბობს: "ბევრი რამ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. მოთამაშეებს საკუთარ კლუბებთან გარკვეული ვალდებულებები აკავშირებთ. ამიტომაცაა, რომ შეკრებაზე მათი გამოძახება დროულად არ ხერხდება. მაგალითად, ფინეთის ნაკრებში ორი ლეგიონერია. დანარჩენები შიდა ჩემპიონატებზე იწრთობიან. იმის თქმა მინდა, რომ მათთვის სანაკრებო შეკრება პრობლემა არ არის. ჩვენი კი, ფაქტობრივად, ლეგიონერებზეა აგებული. ესეც რომ არა, მათთვის გაცილებით იოლია ამა თუ იმ ტურნირზე თამაშებით ნაკრების შეთამაშება. ხელის გაწვდენაზე ჰყავთ საკალათბურთო ქვეყნები (ბალტიისპირეთი)".

ლიპარტელიანმა ისიც თქვა, რომ გუნდს ავსტრიასთან და ფინეთთან თამაშის პირველ ნახევარში სერიოზული ჩავარდნა ჰქონდა: "ნაკრების მონახაზებსა თუ ტაქტიკაზე ვერ ვილაპარაკებ, რადგან ეს მწვრთნელის კომპეტენციაა. ჩავარდნის ერთადერთი მიზეზი გუნდის ახალგაზრდული ასაკი და გამოუცდელობა მგონია. გუნდის შიგნით მიმდინარე პროცესებში კი ჩვენ ვერ ჩავერევით.

ფედერაციაში ერთგვარ გამოსავალს იმაში ხედავენ, რომ გაისად შეკრების პირველი დღიდანვე შევუდგეთ მოთამაშეთა მომზადებას. პრობლემა დროის სიმცირეა. მწვრთნელი ვერ ასწრებს გუნდის შეთამაშებას. ესეც რომ არა, მოთამაშეები ფიზიკურად მზად უნდა იყვნენ, რათა მწვრთნელმა მხოლოდ ტაქტიკაზე იმუშაოს. პრობლემაა ისიც, რომ ნაკრების წევრთა უმეტესობას სათამაშო პრაქტიკა და სტაბილურობა აკლია.

ისევ ფინეთთან წაგებას დავუბრუნდეთ.

"ახლა იმაზე, რაც არ გვითქვამს. საქმე ის არის, რომ ფინეთში კარგად არ დაგვხვედრიან. ფაქტობრივად, აეროპორტში გვაცხოვრეს. სავარჯიშო დარბაზი საკმაოდ შორს დაგვითმეს. ერთი სიტყვით, გამიზნული იყო, რომ საქართველოს ნაკრები თამაშამდე დაეღალათ. არც კვებით უზრუნველგვყვეს", - გვითხრა ბესიკ ლიპარტელიანმა.

ფედერაციაში მიაჩნიათ, რომ გაისად ამდენი პრობლემა არ იქნება. მოთამაშეები დაკაცდებიან. თუ მათ არ მიაღწიეს რაიმე ხელშესახებ წარმატებას, ჩათვალეთ, რომ კარგა ხანს თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ასე რომ, ბევრის რამის კეთება მოგვიწევს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პათოსი ასეთი იყო. აშკარაა, რომ გუნდი ნაბიჯ-ნაბიჯ იზრდება და A ჯგუფში გადასვლაც შეგვიძლია.

# პირველი იტალიელი ბომბარდირი

გასულ სეზონში "ოქროს ბუცი" იტალიის ნაკრებისა და "ფიორენტინას" ფორვარდმა ლუკა ტონიმ მოიპოვა. იტალიის ჩემპიონატში მან 31 გოლი გაიტანა და სოლიდური უპირატესობით აჯობა უახლოეს მდევრებს. ამ რამდენიმე დღის წინ ფლორენციელთა ფორვარდს კუთვნილი ოქროს ბუცი გადასცეს. ტონი ჩვენთვის იმითაც არის საინტერესო, რომ სულ ცოტა ხანში თბილისს ეწვევა და იტალიის ნაკრების შემადგენლობაში "ჯვაროსნებს" ეთამაშება. "ოქროს ბუცის" საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ლუკა ჟურნალისტებს ესაუბრა.



ტონი თბილისშიც ითამაშებს

**- რას ნიშნავს თქვენთვის ეს ჯილდო?**

- ეს საპატიო ჯილდო და ნამდვილი აღიარებაა ნებისმიერი ფორვარდისთვის. მინდა მადლობის სიტყვებით მოვიხსენიო ჩემი თანაგუნდელები, რომელთა დახმარების გარეშე ამ ტიტულს ვერ მოვიპოვებდი. მეამაყება, რომ ვარ პირველი იტალიელი, რომელმაც ეს ტიტული მოიგო.

**- ისეთი კლუბისთვის, როგორიც "ფიორენტინაა", ამ ჯილდოს მოგება წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს?**

- რა თქმა უნდა. "ფიორენტინა" არც ისეთი ცნობილი კლუბია, როგორც "იუვენტუსი" ან "მილანი". ასე რომ, ჩვენი კლუბისთვის ეს გარკვეულწილად მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

**- გასული სეზონის განმავლობაში თუ გიფიქრიათ, რომ "ოქროს ბუცს" მოიგებდით?**

- მხოლოდ სეზონის მიწურულს. გაზეთებში წავიკითხე, რაც ხდებოდა და მივხვდი, რომ ტიტულის მოგების შანსი მქონდა. მართალია, სეზონის მიწურულს თანაგუნდელებიც ცდილობდნენ, მაქსიმალურად ჩემზე ეთამაშათ, მაგრამ, გამოგიტყდებით, მინდორზე პირადად მე ამაზე საერთოდ არ ვფიქრობდი.

**- ეს ჯილდო რომ არ მოგეგოთ, გასული სეზონი თქვენთვის ალბათ მაინც განსაკუთრებული იქნებოდა...**

- რა თქმა უნდა. "ფიორენტინასთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვე, თუმცა საბოლოოდ მაინც არ მოგვცეს თამაშის უფლება. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგებას და იტალიაში გამართულ ზეიმს, ცხოვრებაში არ დავივიწყებ.

**- უკვე დაიწყო ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლი, თქვენ კი იტალიის ნაკრების ორი სასტარტო მატჩი გამოტოვეთ. რატომ?**

- მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრების ფეხბურთელებს შვებულება მოგვცეს, რომელიც ისე გამოვიყენე, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყების წინ საშინელ ფორმაში ვიყავი. სამწუხაროა, რომ ტურნირი ასე ცუდად დავიწყეთ. მართალი იყო ჩვენი კაპიტანი ფაბიო კანავარო, რომელმაც მითხრა, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ ორჯერ უფრო გაგვიჭირდება მეტოქეებთან თამაში. ყველას სურს მსოფლიო ჩემპიონის დამარცხება. ახლა კი უკვე ყველაფერი წესრიგშია და მომდევნო მატჩებში იმ გუნდს იხილავთ, რომელმაც გერმანიაში ფურორი მოახდინა.

**- დავუბრუნდეთ "ფიორენტინას". მართალია, სერია B-ში გავარდნას გადაურჩით, მაგრამ ელიტურ დივიზიონში ასპარეზობა 19-ქულიანი დეფიციტით დაიწყეთ...**

- ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ეს დეფიციტი ჩვენს მიზნებს უშლის ხელს. იმის ნაცვლად, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ვიბრძოლოთ, ჩვენი მთავარი ამოცანა უძლიერეთა შორის ადგილის შენარჩუნება იქნება.

**- ვინ მიგაჩნიათ ამ სეზონში ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად?**

- "ინტერი". ჯერ ერთი, ეს გუნდი სკანდალით საერთოდ არ დაზარალდა და თანაც ამ აურზაურის შემდეგ ყველა საუკეთესო ფეხბურთელი სწორედ "ინტერში" აღმოჩნდა. სკუდეტოს მოპოვების შანსი "რომასაც" აქვს. ჯერჯერობით ადრეა ფავორიტთა რიცხვში "მილანის" დასახელება.

**- თქვენ თქვით, რომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე ოცნებობთ. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ამ ოცნების ახდენას "ფიორენტინასთან" ერთად?**

- ამ ტურნირში თამაშზე ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს. მე ჩემპიონთა ლიგაში არასდროს მითამაშია. რა თქმა უნდა, მინდა საკუთარი ძალები ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირშიც მოვსინჯო. დარწმუნებული ვარ, დადგება დღე და "ფიორენტინასთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაშიც ვითამაშებ.

**- ამბობენ, რომ იანვარში კლუბს შეიცვლით...**

- ეს მეც გავიგე. ზაფხულში ჩემი შეძენა "ინტერს" უნდოდა. იყო მომენტი, როდესაც ამ ტრანსფერზე თანახმა ვიყავი, მაგრამ შემდეგ მაინც ფლორენციაში დარჩენა გადავწყვიტე. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ სეზონს "ფიორენტინაში" გავატარებ.

**- ვინ იყო თქვენი საფეხბურთო კერპი?**

- მარკო ვან ბასტენი. უნიკალური ფორვარდი იყო. მთელი ბავშვობა მის გამო "მილანს" ვქომაგობდი.

**- მის კარიერას ახლა თუ ადევნებთ თვალყურს?**

- დიახ. ვაფასებ როგორც საკმაოდ მაღალი დონის მწვრთნელს.

**- მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ვან ბასტენი ჰოლანდიის ნაკრებში რუუდ ვან ნისტელროის არ იძახებს. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

- რა, რუუდი ნაკრებში აღარ ითამაშებს? პირადად მე ეს, ცოტა არ იყოს, უცნაურად მეჩვენება. არ ვიცი, რითი ხელმძღვანელობს ვან ბასტენი, მაგრამ თუ რუუდს ნაკრებში არ დააბრუნებს, ვიტყვი, რომ ვან ბასტენი-მწვრთნელი გაცილებით ნაკლებად მომწონს, ვიდრე ვან ბასტენი-ფეხბურთელი.

**- დაბოლოს. რამდენიმე წლის წინ საფეხბურთო კარიერის დასრულებას აპირებდით, ახლა კი მსოფლიო ჩემპიონიც გახდით და ევროპის საუკეთესო ბომბარდირიც...**

- ის დრო კარგად მახსოვს. სერია C-ში ვთამაშობდი, თან ძალიან ცუდად. ერთხელ მწვრთნელსაც კი ვეჩხუბე. შემდეგ მძიმე ტრავმა მივიღე და სწორედ მაშინ დავფიქრდი კარიერის დასრულებაზე. არც კი ვიცი, რატომ გადავწყვიტე დარჩენა. მთავარია, რომ ჩემი შრომისმოყვარეობის წყალობით ასეთ წარმატებას მივაღწიე. იმედია, ჩემი კარიერა კარგი მაგალითია ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის - თუ ბევრს იშრომებ, აუცილებლად დაგიფასდება. იცით, ათი წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, მსოფლიო ჩემპიონი გახდები და "ოქროს ბუცს" მოიგებო, ალბათ გიჟად ჩავთვლიდი.

| წელი | ფეხბურთელი | კლუბი | ჩემპიონატი | გოლი |
|---|---|---|---|---|
| 1968 | **ეუსებიო** | ბენფიკა | პორტუგალია | 42 |
| 1969 | **პეტარ ჟეკოვი** | ცსკა | ბულგარეთი | 36 |
| 1970 | **გერდ მიულერი** | ბაიერნი | გფრ | 38 |
| 1971 | **იოსიპ სკობლარი** | მარსელი | საფრანგეთი | 44 |
| 1972 | **გერდ მიულერი** | ბაიერნი | გფრ | 40 |
| 1973 | **ეუსებიო** | ბენფიკა | პორტუგალია | 40 |
| 1974 | **ექტორ იაზალდე** | სპორტინგი | პორტუგალია | 46 |
| 1975 | **დუდუ ჯორჯესკუ** | დინამო | რუმინეთი | 33 |
| 1976 | **სოტირის კიაფასი** | ომინია | კვიპროსი | 39 |
| 1977 | **დუდუ ჯორჯესკუ** | დინამო | რუმინეთი | 47 |
| 1978 | **ჰანს კრანკლი** | რაპიდი | ავსტრია | 41 |
| 1979 | **კეს კისტი** | ალკმაარი | ჰოლანდია | 34 |
| 1980 | **ედვინ ვანდენბერგი** | ლიერსი | ბელგია | 39 |
| 1981 | **გეორგი სლავკოვი** | თრაკია | ბულგარეთი | 31 |
| 1982 | **ვიმ კიფტი** | აიაქსი | ჰოლანდია | 32 |
| 1983 | **ფერნანდუ გომეში** | პორტუ | პორტუგალია | 36 |
| 1984 | **იან რაში** | ლივერპული | ინგლისი | 32 |
| 1985 | **ფერნანდუ გომეში** | პორტუ | პორტუგალია | 39 |
| 1986 | **მარკო ვან ბასტენი** | აიაქსი | ჰოლანდია | 37 |
| 1987 | **ტონი პოლსტერი** | აუსტრია | ავსტრია | 39 |
| 1988 | **თანჟუ ჩოლაქი** | გალათასარაი | თურქეთი | 39 |
| 1989 | **დორინ მატეცუ** | დინამო | რუმინეთი | 43 |
| 1990 | **უგო სანჩესი** | რეალი | ესპანეთი | 38 |
| | **ხრისტო სტოიჩკოვი** | ცსკა | ბულგარეთი | 38 |
| 1997 | **რონალდო** | ბარსელონა | ესპანეთი | 34 |
| 1998 | **ნიკოს მახლასი** | ვიტესი | ჰოლანდია | 34 |
| 1999 | **მარიო ჟარდელი** | პორტუ | პორტუგალია | 36 |
| 2000 | **კევინ ფილიპსი** | სანდერლენდი | ინგლისი | 30 |
| 2001 | **ჰენრიკ ლარსონი** | სელტიკი | შოტლანდია | 35 |
| 2002 | **მარიო ჟარდელი** | სპორტინგი | პორტუგალია | 42 |
| 2003 | **როი მაკაი** | დეპორტივო | ესპანეთი | 29 |
| 2004 | **ტიერი ანრი** | არსენალი | ინგლისი | 30 |
| 2005 | **ტიერი ანრი** | არსენალი | ინგლისი | 25 |
| | **დიეგო ფორლანი** | ვილიარეალი | ესპანეთი | 25 |
| 2006 | **ლუკა ტონი** | ფიორენტინა | იტალია | 31 |

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



ამერიკის ფინანსთა მინისტრი ჩინეთში ვიზიტისთვის ემზადება

B3



Peugeot Citroen-ი ახალი შეფის მოლოდინშია

B3

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3120 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9822 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4738 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7400 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8125 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1280 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2957 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3037 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2058 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4106 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3346 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1869 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1479 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2700 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1903 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2482 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4011 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5558 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1351 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3912 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3070 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2662 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5575 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5846 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0650 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0968 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4517 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5144 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4163 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4685 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8069 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0170 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1377 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4422 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2405 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3872 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0775 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2193 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2235 |




# სამომხმარებლო ფასები იზრდება

ნინო ნატროშვილი

*ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებელი, როგორც მოსალოდნელი იყო, 15-პროცენტიან ზღვარს მიუახლოვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფულის მსყიდველობითი უნარი შემცირდა, ანუ ფული გაიაფდა. ინფლაცია, როგორც წესი, ყველაზე მტკივნეული დაბალი სოციალური ფენებისთვის, განსაკუთრებით კი, პენსიონერებისთვის აღმოჩნდება ხოლმე. ამჯერადაც ის ყველაზე დიდ დარტყმას სოციალურად დაუცველი ადამიანების ბიუჯეტს მიაყენებს, მათ სამომხმარებლო კალათაში პროდუქტების რაოდენობა შემცირდება. ადამიანები იძულებულნი იქნებიან, ზოგიერთ პროდუქტსა და მომსახურებაზე საერთოდ უარი თქვან, ანუ მათი ცხოვრების დონე კიდევ უფრო გაუარესდება.*

**გარე ფაქტორების გარდა, ინფლაციის გამომწვევი ძირითადი ეკონომიკური ფაქტორი, მაინც, მიმოქცევაში ფულის მასის ზრდა იყო. იმის გამო, რომ საბიუჯეტო ხარჯები გაიზარდა, მიმოქცევაში ფულადმა ნაკადებმა იმატა.**



B2

# ვინ დააზღვევს საქართველოს საჰაერო სივრცეს?

ექსპერტები საქართველოს ტრანზიტული პოტენციალის გაზრდას ვარაუდობენ



მარიამ ჯაჭვაძე

*საქართველოს საჰაერო სივრცის დაზღვევაზე საერთაშორისო ტენდერია გამოცხადებული. ამ დროისთვის ტენდერში მონაწილეობის სურვილი მხოლოდ ქართულმა სადაზღვევო კომპანიებმა გამოთქვეს, თუმცა დაინტერესებული პირების განაცხადებს სს "საქაერონავიგაცია" 4 ოქტომბრამდე მიიღებს. საქართველოს საჰაერო სივრცის წლიური რისკი 400 მილიონ აშშ დოლარად არის შეფასებული.*



B4



# თოჯინით გამდიდრებული

Mattel-ის "ბარბის" სამყარო და ბევრი ფული

გოჩა ქიმუცაძე

*Mattel Inc-ი მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიად და სათამაშოების ბაზრის ლიდერად მხოლოდ ერთადერთი თოჯინის, "ბარბის" წყალობით იქცა. ამ სუპერპოპულარულ სათამაშოს უკვე 47 წელია, მთელი მსოფლიოს ბავშვებისათვის უზომო სიხარული, Mattel-ისათვის კი დიდძალი შემოსავალი მოაქვს.*



B3

## იმპორტული ნავთობის ღირებულება გაიზარდა

საქართველოში საიმპორტო ნავთობპროდუქტებზე ფასები, გარდა მაზუთისა, ყველა სახეობაზე გაიზარდა. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირიდან აცნობეს.

კავშირის ცნობით, 2006 წლის 20 სექტემბერს საერთაშორისო ფასები ერთ ტონა ნავთობპროდუქტებზე, რომლითაც საქართველოში იმპორტი ხორციელდება, შეადგენს:

ბენზინი (Premium Gasoline 50 PPM) 534.50 (+ 3.50)
ნაფთა (NAFTA) 505.75 (+ 9.75)
ნავთი (Jet Fuel (max)) 605.75 (+ 7.75)
დიზელი (Gasoil.0.2%) 561.75 (+ 7.25)
მაზუთი (Maze) 259.75 (- 3.25)
ნავთობი (Brand) 62.55 (+ 1.06) ბარელზე
ნავთობი (Urals) 60.19 (+ 1.07) ბარელზე

კავშირის ინფორმაციით, 19 სექტემბერს მსოფლიოს წამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე 62,17 (-1,88) აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო Light Sweet Crude ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე 61,66 (-2,14) აშშ დოლარი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქართველო სამ საერთაშორისო გამოფენაში მიიღებს მონაწილეობას

საქართველო მიმდინარე კვირაში სამ საერთაშორისო გამოფენაში მიიღებს მონაწილეობას. ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში განაცხადეს. 21-23 სექტემბერს გამოფენა-ბაზრობები ვარშავაში (პოლონეთი) და დოვილში (საფრანგეთი), 22-24 სექტემბერს კი იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გაიმართება.

ტურიზმის დეპარტამენტის ცნობით, გამოფენებზე საქართველოს ტურისტული პოტენციალის, ბუნებრივი რესურსების და კულტურის შესახებ სტენდები და ბროშურები იქნება წარმოდგენილი. ვარშავის გამოფენაში მონაწილეობას ტურისტული კომპანია "ეგზოტური", ხოლო დოვილის გამოფენაში - კომპანია "Caucasus travel" მიიღებს. იაპონიაში, სადემონსტრაციო სტენდის და ბროშურების გარდა, საქართველოზე გადაღებულ ვიდეორგოლებსაც წარმოადგენენ. იაპონიის საერთაშორისო გამოფენაში საქართველოს სახელით "Caucasus travel" და "ინტერ-ტური" მიიღებენ მონაწილეობას, ტურიზმის დეპარტამენტის სტენდს "მის-საქართველო 2006"-ის მეორე ვიცე-მისის ტიტულის მფლობელი, "მის-ტურიზმი 2006" სალომე ქომეთიანი წარმოადგენს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქართველო გერმანულ გრანტს მიიღებს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა საქართველოს 8 მილიონ ევროს გამოუყოფს. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ცნობით, ამ თანხიდან 2 მილიონით - "საქართველოში სამართლის და სასამართლო სისტემების ხელშეწყობის", 800 ათასით - "საქართველოს კონტროლის პალატის მხარდაჭერის" და 600 ათასით "მიწის მართვის" პროექტები დაფინანსდება.

200 ათასი ევრო ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის რეგიონში საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურების შექმნისთვის არის გათვალისწინებული. საქართველოში ღვინის ხარისხის და მეღვინეობის დარგის მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბების ხელშეწყობისთვის 14 მილიონი ევროა განსაზღვრული, კერძო სექტორის განვითარებისთვის - 1,8 მილიონი ევრო, აგრარული სექტორის გაძლიერებისთვის - 1,2 მილიონი ევრო. დაგეგმილია კვლევების ჩატარება და ექსპერტთა ფონდის დაარსება საქართველოში.

"კავკასიის ინიციატივის" ჩარჩოებში კიდევ რვა პროექტი განხორციელდება. საქართველოს მთავრობა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დავალებით, ტრანსპორტს, პროდუქტებს, დანადგარებს მოსაკრებლებისაგან ათავისუფლებს. აღნიშნული პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს "საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება", რომელსაც საგარეო ურთოერთობათა კომიტეტმა მხარი დაუჭირა. მისი რატიფიკაცია მიმდინარე საპარლამენტო სესიაზეა დაგეგმილი.

სექტემბერში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ესტუმრება. **ჯიბისი.**

## საქართველოდან გადარიცხული სწრაფი ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა

2006 წლის იანვარ-აგვისტოში ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემებით უცხოეთში გადაირიცხა 96 მლნ აშშ დოლარი, რაც 50,1 მლნ აშშ დოლარით აღემატება 2005 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ცნობით, აღნიშნული მაჩვენებელი 15 მლნ აშშ დოლარით მეტია 2006 წლის იანვარ-ივლისის მონაცემზე.

სებ-ის ცნობით, საქართველოს მოქალაქეების მიერ გადარიცხული თანხებიდან ყველაზე მეტი, 61,5 მლნ აშშ დოლარი მოდის რუსეთის ფედერაციაზე. აღნიშნული თანხა მთლიანად გადარიცხული თანხის მოცულობის 64%-ია. მეორე ადგილზეა უკრაინა, სადაც 6,2 მლნ აშშ დოლარი (6,5%) გადაიგზავნა და შემდეგ აშშ - 4,6 მლნ აშშ დოლარის (4,7%) ფულადი გზავნილებით. **ჯიბისი**

## უცხოეთიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა

2006 წლის იანვარ-აგვისტოში უცხოეთიდან საქართველოს კომერციულ ბანკებში ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემების - "ვესტერნ იუნიონი", "მანიგრამი", "ანელიკი" "კავკასუს ექსპრესი" - მიერ 324 მლნ აშშ დოლარი ჩაირიცხა.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ცნობით, აღნიშნული მაჩვენებელი 2005 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 94 მლნ აშშ დოლარით აღემატება და 2006 წლის იანვარ-ივლისის მაჩვენებელზე 54 მლნ აშშ დოლარით მეტია.

სებ-ის ინფორმაციით, 2006 წლის დასაწყისიდან რვა თვის განმავლობაში საქართველოში უცხოური არხებით შემოსული თანხებიდან ყველაზე მეტი, 219 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი თანხის 67,5%-ია) რუსეთის ფედერაციაზე მოდის.

32 მლნ აშშ დოლარი (9,8%) გადმორიცხულია აშშ-დან, 9,8 მლნ აშშ დოლარი (3%) - საბერძნეთიდან. **ჯიბისი**

# სამომხმარებლო ფასები იზრდება

პირველი გვერდიდან

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) 8 სექტემბრიდან 14 სექტემბრამდე 100,52 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 100,24 პროცენტი იყო (ეს ინდექსი 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს).

წინა კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე 0,52 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის, სასურსათო საქონელზე - 1,11 პროცენტით, ხოლო არასასურსათო საქონელზე ფასები შემცირდა 0,08 პროცენტით; ამასთან, მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა.

გასულ კვირასთან შედარებით ფასები გაიზარდა სურსათზე, კერძოდ, ყველზე (5,3%-ით), კიტრზე (5,2%-ით), რძეზე (5,0-ით), სტაფილოზე (4,2%-ით), ჭარხალზე (3,7%-ით), ღორის ხორცზე (2,2%-ით), კარტოფილზე (2,0%-ით), ყავაზე (1,8%-ით), სოსისზე (1,5%-ით), ხმელ ლობიოზე (1,1%-ით), არაყზე (0,8%-ით) და ძროხის ხორცზე (0,7%-ით); ამასთან, ფასები შემცირდა ვაშლზე (7,0%-ით), პომიდორზე (6,1%-ით), ზეთზე (1,5%-ით), ფოთლოვან კომბოსტოზე (1,1%-ით) და სიგარეტ "Winston light"-ზე (0,5%-ით). მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ტენდენციის თანახმად, წინა კვირასთან შედარებით ფასი შემცირდა ბენზინ რეგულარზე (0,6%-ით).

ფასების ზრდის ერთ-ერთ მიზეზად პროდუქციაზე და მომსახურებაზე გაზრდილი მოთხოვნა სახელდება, რის შედეგადაც გაიზარდა ფულადი მასის მიწოდება. საგულისხმოა, რომ ამ ფონზე წარმოების ზრდა არ ფიქსირდება ეკონომიკის სისტემაში. ექსპერტების შეფასებით, ფულის მასის ზრდის მიწოდების ტემპმა გაუსწრო მომსახურების და პროდუქციის ზრდის მაჩვენებელს. ამ ორ ფაქტორს შორის არსებული ზღვრული წონასწორობა დაირღვა ფულის მასის სასარგებლოდ. საგულისხმოა, რომ ერთეულ მომსახურებასა და პროდუქციაზე მეტი ფული მოდის, ვიდრე გასულ წელს მოდიოდა. სწორედ ეს არის ფასების მომატების მიზეზი, რასაც ინფლაციას ვუწოდებთ. აღსანიშნავია, რომ ფასი პროდუქტის ყველა ტიპზე არ იზრდება, არამედ ძვირდება ის პროდუქცია, რომელიც სამომხმარებლო კალათაში დომინირებს. ამის მიზეზია ფულის მასის ზრდა და, პარალელურად, ის, თუ რა რესურსი გაძვირდა ამ პროდუქტის წარმოების სტრუქტურაში.

გარე ფაქტორების გარდა, ინფლაციის გამომწვევი ძირითადი ეკონომიკური ფაქტორი, მაინც, მიმოქცევაში ფულის მასის ზრდა იყო. იმის გამო, რომ საბიუჯეტო ხარჯები გაიზარდა, მიმოქცევაში ფულადმა ნაკადებმა იმატა. ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით გააქტიურდა ბოლო ორი წლის განმავლობაში. ქვეყნის შეიარაღებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის დაფინანსების გაზრდასთან ერთად, მოიმატა ბიუჯეტიდან ხელფასებისა და პენსიების სახით გაცემული თანხების მოცულობამ. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ბოლო ორი წლის განმავლობაში მოსახლეობის 60 პროცენტის მატერიალური მდგომარეობა გაუარესდა. შემოსავლები მხოლოდ მაღალ სოციალურ ფენას გაეზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში შექმნილი დამატებითი ღირებულება ისევ მდიდრებზე ნაწილდება. ის ადამიანები კი, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობენ, უფრო მეტად ღარიბდებიან. უმუშევრობა ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად იქცა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყანაში 280 ათასი კაცი სამსახურის გარეშეა დარჩენილი. რეალურად კი უმუშევართა რაოდენობა გაცილებით დიდია, რადგან სოფლად კერძო მეურნეობაში თვითდასაქმებულები და ბაზრობებზე მოვაჭრეები სტატისტიკის უწყებას დასაქმებულებად ჰყავს აღრიცხული. გასულ წელს სახელმწიფო სტრუქტურებში, პოლიციაში თანამშრომელთა შემცირების გამო უმუშევართა არმიას კიდევ 20 ათასი კაცი შეუერთდა. უსამსახუროდ დარჩენილები ქვეყანას ტოვებენ და სამუშაოს საშოვნელად უცხოეთში მიდიან. ამ იმედით ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოდან მილიონამდე მოქალაქე წავიდა.



**მომსახურება**
გასულ კვირასთან შედარებით ფასები არ შეცვლილა.

| | 18.08<br>24.08 | 25.08<br>31.08 | 01.09<br>07.09 | 08.09<br>14.09 |
|---|---|---|---|---|
| სულ | 0.18 | -0.02 | 0.24 | 0.52 |
| სურსათი | 0.43 | 0.06 | 0.50 | 1.11 |
| არასასურსათო საქონელი | -0.08 | -0.18 | -0.03 | -0.08 |
| მომსახურება | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |

## საქართველოში ცემენტის მწარმოებელი გერმანული კონცერნი შემოდის

მომავალ წელს საქართველოში 10 მცირე ცემენტის მწარმოებელი ქარხანა გაიხსნება. როგორც გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა ოთხშაბათს ჟურნალისტებს აცნობა, ქარხნების მშენებლობა ქართულ ბაზარზე ცემენტის მწარმოებელი გერმანული კონცერნის "ჰაიდელბერგის" შემოსვლას უკავშირდება. ტყეშელაშვილის განმარტებით, "ჰაიდელბერგმა", რომელიც შპს "ქართული ცემენტის" აქციონერია, მიმდინარე წლის 7 ივლისს გამართულ აუქციონზე თერჯოლის რაიონში მდებარე საბადოებიდან - ჭიშური საცემენტე კირქვების, სპონგოლიტებისა და ნახშირლელეს საცემენტე თიხების მოპოვების 20-წლიანი ლიცენზია იყიდა, რაც გერმანულ კომპანიას ქარხნების მშენებლობის საშუალებას მისცემს. გარემოს დაცვის მინისტრის ინფორმაციით, ამჟამად სამინისტრო და "ჰაიდელბერგის" წარმომადგენლები ზემოთაღნიშნული ლიცენზიის ღირებულების დაფარვის მექანიზმზე მუშაობენ. "გერმანულმა კომპანიამ აუქციონზე ლიცენზია 47,5 მლნ ლარად შეიძინა. სალიცენზიო გადასახადიდან კომპანიამ 8 მლნ ლარი უკვე გადაიხადა, ხოლო წლის ბოლომდე დამატებით 3 მლნ ლარს გადაიხდის. თანხის დანარჩენ ნაწილს კონცერნი ჩვენთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით დაფარავს," - განაცხადა ტყეშელაშვილმა და დასძინა, რომ "ჰაიდელბერგის" მსგავსი კომპანიის შემოსვლა ქართულ ბაზარზე სხვა მნიშვნელოვანი ინვესტორების დაინტერესებას გამოიწვევს.

## "თელიანი ველი" ახალი ღვინის "თელურის" პრეზენტაციას გამართავს

ღვინის კომპანია "თელიანი ველი" მომხმარებლის წინაშე ახალი ბრენდით "თელური" წარდგება. როგორც სააგენტო GBC-ს კომპანიაში განუცხადეს, ახალი ქართული ღვინის ბრენდის "თელურის" პრეზენტაცია დღეს თბილისში, შარდენის ქუჩაზე "ბამბის რიგზე" გაიმართება. ახალი ბრენდი "თელური" თეთრი და წითელი ღვინოა და იგი როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე ექსპორტზე გავა. პრეზენტაცია ღია ცის ქვეშ გაიმართება და ახალი ბრენდის პრეზენტაციაზე ფოტოკორესპონდენტ გოგა ჩანადირის ფოტოები გამოიფინება, რომელზეც 100 წელს გადაცილებული მოხუცების პორტრეტები იქნება აღბეჭდილი. **ჯიბისი**

---

გალტ & თაგგარტ სიქიურითის
GALT & TAGGART SECURITIES

18 სექტემბერი 2006
საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

| სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 1,977,128 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 47,649,653 |

| 15-სექტემბერი-2006 | | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.745 | - | 0.00% | 2.65% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 583.7 | ▲ | 1.16% | 65.37% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 515.7 | ▲ | 1.16% | 60.99% |

GTBC ინდექსი (GEL) & სსბ სავაჭრო მოცულობა (GEL mln)




საქართველოს ბანკის აქციის ფასი




გაცვლითი კურსი GEL/US




| თბსბ US$/GEL ვაჭრობის მოცულობა (US$ '000) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 6,910 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 327,627 |

| მომავალ კვირას | |
|---|---|
| სსბ-ს სესია No. 72 | 19 სექ |
| სსბ-ს სესია No. 73 | 21 სექ |

**საფონდო ბაზარი**

**გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 1.16%-ით გაიზარდა 515.7-მდე, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 1,977.2 ათასი ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები ათ სხვადასხვა აქციაზე დაიდო, მათ შორის იყო ორი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი გაიზარდა 0.34%-ით) და გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ფლობა, ფასი გაიზარდა 12.82%-ით). საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპ აქციებზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 8.6% მოდიოდა.

**გასულ კვირას საქართველოს ბანკმა განაცხადა თბილისის მეტროში პირველი მომსახურების ცენტრის გახსნის შესახებ. სექტემბრის თვეში იგეგმება დამატებით 22 სერვის ცენტრის გახსნა თბილისის მეტროპოლიტენში.** ამ ტიპის პირველი სერვის ცენტრი გაიხსნა ავლაბრის მეტროპოლიტენის სადგურში 2006 წლის 4 სექტემბერს. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდა ქ. თბილისის მერი გიგი უგულავა და თბილისის მეტროს მენეჯმენტი.

საქართველოს ბანკი წარმოადგენს თბილისის მეტროპოლიტენის ერთადერთ მომსახურე ფინანსურ ინსტიტუტს. გალტ & თაგგარტ კაპიტალი და საქართველოს ბანკი სრულად ფლობენ მეტროსერვის+, რომელიც მომსახურების მთლიან პაკეტს სთავაზობს მეტროპოლიტენს. კერძოდ, საქართველოს ბანკის სერვის ცენტრები მგზავრებზე ექსკლუზიურად გაყიდიან ჟეტონებს, რის შედეგადაც ბანკს კავშირი ექნება ქ. თბილისის დაახლოებით 350,000 მაცხოვრებელთან (ყოველწლიურად მეტროს დაახლოებით 110 მილიონი მგზავრი გადაჰყავს). 2007 წელს საქართველოს ბანკი და მერტოსერვის+ გეგმავენ დანერგონ ახალი მომსახურების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს მეტროს ბარათებით მგზავრობას. მგზავრებს ასევე მიეცემათ შესაძლებლობა ისარგებლონ საქართველოს ბანკის რეგულარული მომსახურებით, რომელიც მოიცავს ვალუტის გადაცვლას, სამომხმარებლო სესხებს, კომუნალური გადასახადების გადახდასა და სხვა საბანკო პროდუქტებს, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანებში.

**ეკონომიკა**

**ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალი სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების ჩათვლით 1.8 მლდ აშშ დოლარს შეადგენს.** ამ თანხაში საქართველოს დავალიანება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიმართ 1.1 მლდ აშშ დოლარით განისაზღვრება.

საქართველოს კრედიტორებიდან თორმეტი სახელმწიფო დავალიანების რესტრუქტურიზაციის პარიზის კლუბის გადაწყვეტილებას დათანხმდა. არსებულ 12 სახელმწიფოს წარმოადგენენ: რუსეთი (147.2 მლნ აშშ დოლარი), ავსტრალია (92.8 მლნ აშშ დოლარი), თურქეთი (54.3 მლნ აშშ დოლარი), თურქმენეთი (49.1 მლნ აშშ დოლარი), ამერიკის შეერთებული შტატები (41.5 მლნ აშშ დოლარი), ყაზახეთი (27.8 მლნ აშშ დოლარი), სომხეთი (18.1 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (16.1 მლნ აშშ დოლარი), ირანი (11.7 მლნ აშშ დოლარი), ჩინეთი (3.1 მლნ აშშ დოლარი), უზბეკეთი (393 ათასი აშშ დოლარი) და უკრაინა (359 ათასი აშშ დოლარი).

**სავალუტო ბაზარი**

**გასულ კვირას ლარი/დოლარის კურსი არ შეცვლილა.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 6.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა კვირასთან შედარებით 6.0 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ეროვნულმა ბანკმა ჯამში 4.6 მლნ. აშშ დოლარი გაყიდა.

---

გალტ & თაგგარტ სიქიურითის
GALT & TAGGART SECURITIES

18 სექტემბერი 2006
საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

**სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები**

სესია No. 71, 14 სექტემბერი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | ფასი (ლარი) მაქს. | ფასი (ლარი) საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 15 | 17.60 | 17.60 | 17.60 | 110.9 | 1,864 | 32,806 | 286,520,221 | - |
| UTC | 46 | 0.64 | 0.71 | 0.70 | 93.1 | 41,700 | 28,984 | 71,749,495 | ფლობა |
| AMA | 1 | 1.00 | 1.00 | 1.00 | na | 98 | 98 | 584,511 | რეკ. გარეშე |
| BSK | 2 | 52.50 | 52.50 | 52.50 | 31.3 | 387 | 20,318 | 6,273,750 | რეკ. გარეშე |
| KR99 | 1 | 9.12 | 9.12 | 9.12 | na | 192,009 | 1,751,122 | 3,370,424 | რეკ. გარეშე |
| PIRM | 1 | 0.20 | 0.20 | 0.20 | na | 43,500 | 8,700 | 87,000 | რეკ. გარეშე |
| SLAD | 1 | 0.97 | 0.97 | 0.97 | 870.0 | 26,481 | 25,687 | 1,274,386 | რეკ. გარეშე |
| STLM | 8 | 0.50 | 0.50 | 0.50 | na | 1,399 | 700 | 43,512 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 1,868,415 | | |

სესია No. 70, 12 სექტემბერი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | ფასი (ლარი) მაქს. | ფასი (ლარი) საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 20 | 17.50 | 17.60 | 17.58 | 110.7 | 5,260 | 92,475 | 286,210,909 | - |
| UTC | 18 | 0.62 | 0.65 | 0.64 | 76.9 | 24,750 | 15,772 | 65,761,768 | ფლობა |
| AVSV | 1 | 2.50 | 2.50 | 2.50 | na | 48 | 120 | 408,630 | რეკ. გარეშე |
| STLM | 4 | 0.50 | 0.50 | 0.50 | na | 499 | 250 | 43,512 | რეკ. გარეშე |
| TRMS | 1 | 1.50 | 1.50 | 1.50 | 42 | 64 | 96 | 835,947 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 108,713 | | |

**საერთაშორისო ბირჟებზე კოტირებადი ქართული კომპანიები**

11 სექტემბერი, 2006 – 15 სექტემბერი, 2006

| კოდი | ბირჟის ვალუტა | ფასი (კვირის მანძილზე) წინა დახურვის | მინ. | მაქს. | დახურვის | კვირის ცვლილება (%) | კვირის ბრუნვა | კაპიტალიზაცია (მლნ) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CanArgo Energy | US$ | 1.40 | 1.19 | 1.35 | 1.23 | -12.1 | 4,262,100 | 275.7 | ყიდვა |
| Bolnisi Gold NL | A$ | 2.96 | 2.45 | 2.93 | 2.45 | -17.2 | 11,646,163 | 404.2 | ყიდვა |
| Metromedia Inc. | US$ | 1.72 | 1.60 | 1.75 | 1.62 | -5.8 | 180,600 | 152.3 | ყიდვა |

**GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები**

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფ-იც. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 17.60 | 0.34 | 110.90 | 14-სექ-06 | 125,281 | 286,520,221 | 17.4 | 61.4 |
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 13-ივნ-06 | 0 | 129,836,618 | 0.1 | 0.1 |
| გაერთ. სატელეკომ. კომ | UTC | ფლობა | 0.70 | 12.82 | 93.06 | 14-სექ-06 | 44,756 | 71,749,495 | 9.4 | 8.3 |
| გაერთ. ქართული ბანკი | UGB | გაყიდვა | 2.79 | 0.00 | 140.43 | 18-ივლ-06 | 0 | 58,569,000 | 10.0 | 7.2 |
| უნივერმალი თბილისი | UTB | გაყიდვა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 29-ივნ-06 | 0 | 26,172,909 | 35.5 | 11.4 |
| ყაზბეგი | KAZB | გაყიდვა | 7.00 | 0.00 | 180.00 | 18-ივლ-06 | 0 | 19,600,000 | 42.7 | 10.3 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | გაყიდვა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 28-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.1 |
| რუსთავცემენტი | RUCE | გაყიდვა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 170,037 | 611,238,543 | | 100.0 |

**საფონდო ბაზარზე ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით ვაჭრობის შედეგები**

11 სექტემბერი, 2006 – 15 სექტემბერი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | გადაფარვის თარიღი | საპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | ფასი გაყ | ფასი საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებ-თან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 105 | 105 | 105 | - | 11.00 | -3 | 618 | 0.83 | B-/ B3/ B+ |
| პროკრედიტ ბანკი | 5,926,000 | 06/11/06 | 0 | - | - | 94.2 | - | 15.10 | 27 | 1,028 | 0.13 | B / - / - |

**აქტიური ყიდვა:** ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა **ყიდვა:** 10%-20% ზრდა **ფლობა:** 10% კლება ან 10% ზრდა, **გაყიდვა:** 10%-ზე მეტი კლება

სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის
საქართველო, 0179, თბილისი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 23,
ტელ:+ 995 32 235 800 ფაქსი:+ 995 32 235 804

ანალიტიკოსი
გოგა მელიქიძე
ტელ:+ 995 32 235 800
ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge

„გალტ & თაგგარტს" და/ან მასთან დაკავშირებულ პიროვნებებს შეუძლიათ განახორციელონ ან ჰქონდეთ განხორციელებული მათ საკუთარ ანგარიშზე ოპერაცია ან ოპერაციები იმ ინვესტიციებში, რომლებიც მოცემულია ზემოხსენებულ მასალაში ვიდრე შესაბამისი მასალა გამოქვეყნდება "გალტ ენდ თაგგარტ"-ის კლიენტებისათვის. ეს დოკუმენტი არ არის და არ უნდა იყოს გაგებული როგორც რომელიმე ფასიანი ქაღალდის გაყიდვის ან ყიდვის შეთავაზება. ინფორმაცია და შეხედულებები, რომლებსაც მოიცავს ეს დოკუმენტი, "გალტ ენდ თაგგარტი"-ს მიერ შედგენილია ან მიღებულია სარწმუნო წყაროებიდან კეთილსინდისიერების დაცვით, მაგრამ ეს არ ნიშნავს და არ იძლევა მათი სიზუსტის, სრულყოფილობისა და კორექტულობის გარანტიას. ამ დოკუმენტში მოცემული ყველა შეხედულება და შეფასება ეფუძნება "გალტ ენდ თაგგარტის" გადაწყვეტილებებს მოცემული კონკრეტული თარიღისათვის და ექვემდებარება შეტყობინების გარეშე შეცვლას. ამ დოკუმენტში გადმოცემული ინფორმაცია გამოქვეყნებულია მის სავარაუდო რეციპიენტთა (მკითხველთა) დასახმარებლად, მაგრამ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურად ან მიღებულ იქნეს რომელიმე რეციპიენტის მიერ საკუთარი გადაწყვეტილების განხორციელებისათვის. "გალტ & თაგგარტი" არ ღებულობს პასუხისმგებლობას არანაირი, პირდაპირ თუ მოსალოდნელი, იმ დანაკარგებისათვის, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ამ დოკუმენტის გამოყენების შედეგად ან მისი შინაარსიდან გამომდინარე..

## Peugeot Citroen-ი ახალი შეფის მოლოდინშია

ფრანგული საავტომობილო კონცერნ Peugeot Citroen-ის აღმასრულებელი დირექტორი ჟან-მატრინ ფოლცი კომპანიას ტოვებს და პენსიაზე გადის. Peugeot-ის ბიზნესის ეფექტურობა ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაუარესდა, თუმცა კომპანიაში აცხადებენ, რომ ტოპ-მენეჯერის პოსტიდან წასვლა მიმდინარე ფინანსურ პრობლემებს არ უკავშირდება. Peugeot Citroen-ის ახალი შეფის ვინაობა 2006 წლის ბოლოსთვის გახდება ცნობილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟან-მარტინ ფოლცმა პენსიაზე გასვლის შესახებ ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე განაცხადა. ის ფრანგულ საავტომობილო კონცერნს 9 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. "მას მიაჩნია, რომ 10 წელი, საკმაოდ დიდი დროა ერთ ადგილზე მუშაობისთვის. შესაძლოა ის მართალიც არის, რადგან კომპანიაში მისი წასვლის შემდეგ ახალი ადამიანები მოვლენ." ბატონი ფოლცი კომპანიას საბოლოოდ 2007 წლის იანვარში დატოვებს, მაშინ, როცა მას 60 წელი შეუსრულდება.

PSA Peugeot-ის ფინანსური მდგომარეობა ამ ეტაპზე იმდენად კრიზისულია, რომ კომპანიის მესვეურები ავტომობილების გაყიდვების მაჩვენებლის სავარაუდო პროგნოზსაც კი ვერ აკეთებენ. Peugeot Citroen-ის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი ტიერი პეჟო კონცერნის ახალი ხელმძღვანელის ძიებაშია. თავად ფოლცმა პეჟოს კომპანიიდან წასვლის შესახებ მიმდინარე წლის ზაფხულის დასაწყისში აცნობა, თუმცა კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნული ინფორმაცია მაშინვე არ გაახმაურეს. ჟან-მარტინ ფოლცი Peugeot Citroen-ს ჟაკ კალვეს წასვლის შემდეგ, 1997 წლიდან ხელმძღვანელობს. მისი მოღვაწეობის ერთ-ერთ წარმატებად მოდელ Peugeot 206-ის გამოშვება ითვლება, რომლის პოპულარობამაც ფრანგულ საავტომობილო კონცერნს რეკორდული მოგება მოუტანა.

ფოლცმა კომპანიის განვითარებისთვის ბაზრის სხვა მონაწილეებთან თანამშრომლობის სტრატეგია შეიმუშავა, რომელმაც Peugeot-ს 1990-იან წლებში დადებული მთელი რიგი გარიგებების წარმატება უზრუნველყო.

ჯან-მარტინ ფოლცის წარმატებული კარიერის დასასრული მოდელ Peugeot 206-ის პოპულარობის დაცემის შემდეგ იწყება. აღნიშნული ავტომობილი დაძველდა და მყიდველთა რიცხვიც შესაბამისად შემცირდა. ერთობლივი წარმოების ჩარჩოებში განხორციელებულმა ექსკლუზიურმა პირობებმა კომპანია Peugeot-ის ფინანსური ზარალის შემცირება ვერ უზრუნველყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ნახევარი წლის მანძილზე ევროპულ საავტომობილო კომპანიებში ხელმძღვანელები აქტიურად იცვლებიან. ახალი დირექტორი ჰყავს BMW-ს, daimlerChrysler-სა და Renault-ს. სტაბილურობას საკადრო პოლიტიკაში ჯერ-ჯერობით მხოლოდ იტალიური Fiat-ი და გერმანული Volkswagen-ი ინარჩუნებენ. ევროპელი ავტომწარმოებელი კომპანიების ტოპ-მენეჯერების მთავარ ამოცანას დანაკარგებთან ბრძოლა წარმოადგენს. ავტომწარმოებლების წარმატებულ ბიზნესზე უარყოფით გავლენას მეტალზე ფასების კოლოსალური ზრდა, იაპონურ და ამერიკელ კონკურენტებთან გაცხარებული კონკურენცია და საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე შექმნილი სიტუაცია ახდენს. ამერიკულ დოლართან და იენთან მიმართებაში ევროს კურსის გამყარებამ ევროპელ ექსპორტიორებს სერიოზული დარტყმა მიაყენა.

## Motorola ინტერნეტ-პროვაიდერს ყიდულობს

კომპანია Motorola ინტერნეტ - პროვაიდერულ კომპანია Symbol Technologies-ს 3,9 მილიარდ დოლარად ყიდულობს. კომპანია Symbol-ის აქციონერები ერთ აქციაში 15 დოლარს მიიღებენ, რომელშიც შედის აქციების ღირებულების ორპროცენტიანი პრემიაც. Motorola-სა და Symbol-ს შორის გარიგების დადების შემდეგ, ინტერნეტ-პროვაიდერული კომპანია Motorola-ს სრულ საკუთრებაში გადავა. კომპანიების წარმომადგენლების ინფორმაციით, გარიგება 2006 წლის ბოლოს ან 2007 წლის დასაწყისთვის დასრულებული იქნება. კომპანია Symbol-ი აქამდე მობილური საქმიანობის კორპორატიული გადაწყვეტილებელის მიღებას ასრულებდა, ამასთან ერთად ის ერთ-ერთი უმსხვილესი ინტერნეტ-პროვაიდერია, რომლის აქციების ფასი ბოლო პერიოდში ძალიან გაიზარდა.

# თოჯინით გამდიდრებული

პირველი გვერდიდან

### ამერიკელი მანეკენი

1945 წელს ცოლ-ქმარმა ელიოტ და რუთ ჰენდლერებმა კალიფორნიაში დააარსეს ბავშვთა სათამაშოების მწარმოებელი კომპანია Mattel Creations-ი. მაშინ მათ ჯერ კიდევ წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ 20 წლის შემდეგ თავიანთი სფეროს ლიდერები გახდებოდნენ და დიდებას მხოლოდ ერთადერთი თოჯინა, სახელად "ბარბი" მოუტანდათ.

ეს სუპერწარმატებული ბიზნეს-პროექტი რუთმა 50-იანი წლების დასაწყისში მოიფიქრა. მაშინ ერთობ მოდური გახლდათ ე.წ. Fashion-dolls - მუყაოსაგან დამზადებული "მანეკენების" პრიალა ფიგურები, რომელთა ჩაცმა-მორთვა შეიძლებოდა. როცა ნახა, როგორ ექსპერიმენტებს ატარებდა თოჯინას ტანსაცმელზე მისი გოგონა ბარბარა, რუთმა გადაწყვიტა შეექმნა პრინციპულად ახალი სათამაშო: შეძლებისდაგვარად რეალისტური, თანაც, არა პატარა, არამედ ახალგაზრდა გოგონა, რომელიც, ჰენდლერის თქმით, "ბავშვს გაზრდისათვის მოამზადებდა".

თუმცა, რუთის იდეა მის ქმარსა და კომპანიონს არ მოეწონა და Mattel-ის ხელმძღვანელობამ იგი კარგა ხნით გადადო. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ევროპაში მოგზაურობისას რუთმა გერმანული თოჯინა "ლილი" იყიდა, რომელიც ტიპიური მტაცებელი ქალი, მამაკაცთა რისხვა იყო და ამერიკელ დედებს იგი არ მოეწონებოდათ. კარგა ხნის შემდეგ მისის ჰენდლერმა მაინც მოიფიქრა, როგორ მოერგო "გარყვნილი" გერმანელი თოჯინა ამერიკული ბაზრისათვის. ასე გაჩნდა "ბარბი", რომელსაც, როგორც ალბათ უკვე მიხვდით, თავისი შვილის სახელი უწოდა და რომელიც ყველა ამერიკელისათვის სამაგალითო ოპტიმისტური, გულღია, უბიწო ახალგაზრდა გოგონას პროტოტიპი იყო. ცხადია, ამავდროულად - სექსოფილურიც, რამდენადაც ამის უფლებას მაშინდელი ამერიკული მორალი იძლეოდა.

ამჯერად Mattel-ის ხელმძღვანელობას რუთის იდეა მოეწონა და 1958 წელს თოჯინა "ბარბი" დააპატენტეს. მისი დებიუტი 1959 წლის 16 თებერვალს ნიუ იორკის სათამაშოების ყოველწლიურ ბაზრობაზე შედგა. თავდაპირველად მას დიდი წარმატება არ მოჰყოლია, მაგრამ თანდათანობით "ბარბის" თვალი გოგონებმა და მათმა დედიკოებმა დაადგეს და Mattel-მა უამრავი შეკვეთა მიიღო. პირველი ათი წლის განმავლობაში ნახევარი მილიარდი დოლარის ღირებულების თოჯინები გაიყიდა. უფრო სწორად, თოჯინა, ტანსაცმლის შესაბამისი კომპლექტით - "ბარბი" ხომ მანეკენი იყო, რომელიც ტანსაცმელს გამუდმებით იცვლიდა.

### ქერა ტროას ცხენი

"ბარბის" რომ ჩაცმულობის მხრივ პრობლემა არ შექმნოდა, ჰენდლერებმა პროფესიონალი მოდელიერი შარლოტა ჯონსონი დაიქირავეს, რომელიც თავდაპირველად თოჯინას საკუთარი ინიციატივით რთავდა. სათამაშოს ყუთში ათავსებდნენ, რომელზეც ეწერა: "თოჯინა "ბარბის" ტანსაცმლის ძირითადი კრებული". ეს რუთის გენიალური მარკეტინგული სვლა იყო, სათამაშო პოტენციურ მყიდველებს - მშობლებს შორის შეშვებული ნამდვილი ტროას ცხენი აღმოჩნდა: საკმარისი იყო ბავშვისათვის ერთი თოჯინის შეძენა, რომ იგი კიდევ და კიდევ ახალს მოინდომებდა.

კიდევ ერთი ნოუ-ჰაუ თოჯინას სწორად შერჩეული გარეგნობა გახლდათ. მას ყველაფერი გააჩნდა, რაც ჩამოყალიბებულ ამერიკელ გოგონას უნდა ჰქონდეს: მიმზიდველი ვარცხნილობა, წამწამები, ვიწრო წელი და კოხტა ფეხები. ოღონდ, "ბარბი" რომ საშუალო ადამიანის სიმაღლის ყოფილიყო, მისი მკერდის, წელის და თეძოების პარამეტრები 97-58-83 იქნებოდა და არა ეტალონად მიჩნეული 90-60-90.



ალსანიშნავია, რომ "ბარბის" თეთრეულის კომპლექტში თავიდანვე შედიოდა ფურჩალებიანი საცვლები და მოდური საცურაო კოსტიუმი, რაც ახლად წამოჩიტულ გოგონებში მოზრდილობის მოლოდინს იწვევდა.

თოჯინას ვარსკვლავური სტატუსის შესანარჩუნებლად დიდი ძალისხმევა იყო საჭირო. პირველ გარდერობს შარლოტა ჯონსონი თავისი ფანტაზიით ქმნიდა, მაგრამ შემდეგ კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ "ბარბი", ისევე, როგორც ადამიანი, მოდურ ტანსაცმელს უნდა ატარებდეს. ამიტომაც იყო, რომ თოჯინას განთქმული მოდელიერები მოსავდნენ.

Mattel-ი ყველანაირად ცდილობდა, დროისათვის ფეხი აეწყო. 1964 წელს გამოვიდა კოლეჯის მოსწავლე "ბარბის" პარტია, 1975 წელს თოჯინა პროფესიონალი სპორტსმენი გახდა, 1984 წელს კი სულაც ცურვაში ლოს ანჯელესის ოლიმპიადა მოიგო. 45 წლის განმავლობაში თოჯინამ მოირგო ათასგვარი პროფესიონალური ტანსაცმელი, ბალერინას საცეკვაო ფეხსაცმლიდან დაწყებული, ექიმის ხალათით დამთავრებული. სულ ამ სოციალურად აქტიურმა სათამაშომ 100-მდე პროფესია გამოიცვალა.

მიუხედავად ამისა, Mattel-ზე ფემინისტების ზეწოლა არ ცხრებოდა. მათ დასაშოშმინებლად "ბარბი" სულ უფრო ხშირად იმოსებოდა მკაცრ საქმიან კოსტიუმში, პოლიციელის ფორმაში, კოსმონავტის სკაფანდრში და ამერიკელი ჯარისკაცის ფარაჯასა და ტყვიაგაუმტარ ჟილეტშიც კი. 80-იანი წლების ბოლოს თოჯინა მონაწილეობდა პოლიტიკურ სამიტებსა და ბერლინის კედლის დანგრევაში, 1992 და 2000 წლებში კი - აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნებში, ქალთა უფლებების და ცხოველთა დაცვის და საყოველთაო განათლების გაუმჯობესების ლოზუნგებით.

გარდა ამისა, პოლიტკორექტულობის ერამ - შავ, ყვითელ და წითელკანიანი "ბარბის" გამოშვება, ხოლო Mattel-ის მსოფლიო ბაზარზე ექსპანსიამ მისი გარდერობისათვის იაპონური კიმონოს, ინდური სარის და ა.შ. შემატება მოითხოვა. ამ დროისათვის თოჯინას სულ 50-მდე ეროვნული სამოსი აქვს. თუმცა, ცხადია, იგი ამერიკელ გოგონად დარჩა, ამგვარი ცვლილებები კი მარკეტინგული თვალსაზრისით ერთობ მომგებიანი აღმოჩნდა. თოჯინას გარდერობი ყოველწლიურად ტუალეტის 120 საგნით მდიდრდება და ყველა მათგანი გაყიდვის ზრდას იწვევს.

### "ბარბი", "კენი" და სხვები

ცხადია, Mattel-ი სხვა სათამაშოებსაც უშვებდა, მაგრამ მისი შემოსავლის მთავარ წყაროდ მაინც "ბარბი" რჩებოდა. მთელი მსოფლიოს გოგონებს ხომ ამ თოჯინით თამაში აიძულა და კომპანია თამაშში თავადაც ჩაერთო, მით უმეტეს, რომ ფსონი ძალიან დიდი იყო. 1961 წელს გამოჩნდა "ბარბის" ბოიფრენდი "კენი" და ჟურნალ Barbie-ში გამუდმებით იწერებოდა ახალგაზრდების ურთიერთობის ისტორიები და არც ერთ პატარას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ თოჯინებს ბედნიერი მომავალი ელოდა. ცხადია, დახლებზე გამოჩნდა ამ ისტორიების შესაბამისი ახალ-ახალი აქსესუარები.

1963 წელს შედგა "ბარბის" საუკეთესო მეგობრის, მწვანეთვალება "მიჯის" დებიუტი. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მისი უმცროსი და "სკიპერი", შემდეგ - დის მეგობარი "რიკი", "კენის" მეგობარი "ალანი" და ა.შ. სულ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისათვის "ბარბის" სამყარო 72 მეგობრით, 8 ნათესავით და 43 ცხოველით დასახლდა.

მოკლედ, ბიზნესი ყვაოდა. სხვათა შორის, "ბარბის" ხშირად ბიგ-მაკს ადარებენ, და არცთუ უსაფუძვლოდ - ორივე ხომ ამერიკის ეკონომიკის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. თანაც, Mattel-ი ცდილობდა, თოჯინაზე დაბალი ფასი შეენარჩუნებინა, პირველი მოდელი 3 დოლარი ღირდა, შემდეგ კი, ცხადია, ფასმა მოიმატა, თუმცა კომპანია ზომიერებას ყოველთვის ინარჩუნებდა.

რუთ ჰენდლერი 2002 წელს ავთვისებიანი სიმსივნისაგან გარდაიცვალა. მან ჭეშმარიტად დაიმსახურა Mattel-ის მთავარი ოფისის წინ ძეგლი, რადგან სწორედ მისი გამოგონების წყალობით იქცა მოკრძალებული ფირმა მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს კომპანიად. რუთი კარგა ხანს Mattel-ის პრეზიდენტი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე იყო და თავად გახლდათ ახალგაზრდა ამერიკელთათვის საქმიანი ქალის მაგალითი.

მისი მოღვაწეობის პერიოდში და შემდეგაც Mattel-ი გამუდმებით ზრდიდა ბიზნესს, ყიდულობდა ცირკებს, გასართობ პარკებს, გამომცემლობებს და კინოკომპანიებს, აშენებდა სათამაშოების ახალ ქარხნებს. თუმცა შემოსავლის უმთავრეს წყაროდ კვლავ "ბარბი" რჩებოდა. ამ დროისათვის მთელ მსოფლიოში ყოველკვირეულად თოჯინას მილიონამდე ეგზემპლარი იყიდება. კომპანიას, რომლის კაპიტალიზაცია 7,85 მილიარდ დოლარს შეადგენს, "ბარბი" ყოველწლიურად 1,5 მილიარდი დოლარით ამდიდრებს.



## ამერიკის ფინანსთა მინისტრი ჩინეთში ვიზიტისთვის ემზადება

ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი ჰენრი პოლსონი, უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის მიღების შემდეგ, ჩინეთს პირველად ესტუმრება. ბევრი ამერიკელი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ ჩინური ვალუტა შეუფასებელია და ჩინურ საქონელზე საიმპორტო-საბაჟო გადასახადების მომატებას განაპირობებს. ზოგიერთი დამკვირვებელის აზრით, სავარაუდოდ ეს წინადადებები ნაკლებად დაკანონდება, ან წინააღმდეგ შემთხვევაში პოლსონის მხარდაჭერას მიიღებს. ფინანსთა მინისტრი კი ხაზგასმით აცხადებს, რომ ჩინური ვალუტის გარშემო შექმნილ სიტუაციაში "ხვრელების შევსებას" სულაც არ აპირებს.

ჰენრი პოლსონი ჩინელებისთვის ახალი სახე არ არის. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, ის ჩინეთში დაახლოებით 70-ჯერ იმყოფებოდა, ეს ბოლო ვიზიტი კი ბანკ Goldman Sachs-ის პრეზიდენტის პოსტიდან ამერიკის ფინანსთა მინისტრის პოსტზე გადმოსვლის შემდეგ პირველია. პოლიტიკოსთა ნაწილი და ვაშინგტონის პროფესიული კავშირების წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ ჩინური საექსპორტო საქონელი იენის დაბალი ღირებულებისა და დაბალი საბაჟო გადასახადების გამო ამერიკელებს შეავიწროვებს. ამის გამო სენატორები ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე იმპორტირებულ ჩინურ საქონელზე 27-პროცენტიან საბაჟო გადასახადის დაწესებას აპირებენ.

ამის საპასუხოდ პოლსონი აცხადებს, რომ ამერიკასა და ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები ორივე ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და მომგებიანია. ამ ვაჭრობის წყალობით, ჩინეთი დღეს მსოფლიო მასშტაბით, უცხოური ვალუტის რეზერვების თვალსაზრისით პირველი ქვეყანაა. ამ რეზერვის არცთუ ისე დიდი ნაწილი კი ამერიკის მმართველობით წრეებში ინვესტირდება. ჩინური ვალუტის ფასი, აცხადებს პოლსონი, ძალიან ნელი ტემპებით იზრდება. მისი სიტყვებიდან გამომდინარე, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი აღნიშნულ პროცესზე გავლენის მოხდენას არ აპირებს.

## General Motors და Ford ალიანსის შექმნას აპირებს

მსოფლიოში ორი უმსხვილესი ავტომწარმოებელი, კორპორაცია - General Motors-ი და Ford-ი ალიანსის ფარგლებში შესაძლო გაერთიანების პირობებს განიხილავს. ამის შესახებ ინფორმაციას ამერიკული ავტოპრომის გავლენიანმა ჟურნალმა Auto-მ, კომპანიებთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით გაავცელა. მოლაპარაკებების საქმის კურსში მყოფი წყაროს ინფორმაციით, აღნიშნული საკითხის განხილვა ორივე კომპანიის ხელმძღვანელ წრეებში უკვე ივლისიდან მიმდინარეობს. მოცემულ მომენტში კი მოლაპარაკებები აქტიურ სტადიაში არ იმყოფება. კომპანია General Motors-ისა და Ford-ის ოფიციალური წარმომადგენლები კი გავრცელებული ინფორმაციის დადასტურებისა თუ უარყოფისგან რატომღაც თავს იკავებენ.

ამერიკის შეერთებული შტატების ორ წამყვან საავტომობილო კომპანიაში შესაძლო გაერთიანების იდეა ფინანსური კრიზისიდან თავის დაღწევის ფონზე წარმოიშვა. შეგახსენებთ, რომ ფინანსური კრიზისი კომპანიებში ავტომობილების წარუმატებელმა რეალიზაციამ და ამერიკულ ბაზარზე იაპონური და ევროპული ავტომწარმოებლების აგერსიულმა მოქმედებამ განაპირობა. ცოტა ხნის წინ კომპანია Ford-მა 2006 წლის პირველი ნახევრის ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც კომპანიის ზარალი 1,44 მილიარდ დოლარს შეადგინს. ამ ფონზე, კი ამერიკულმა ავტომწარმოებლებმა ამერიკის ტერიტორიაზე მოქმედი 14 ქარხნის დახურვისა და მუშა პერსონალის ერთი მესამედის გათავისუფლების შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება. რაც შეეხება General Motors-ს, მან ივლისის თვეში განაცხადა, რომ მომავალი სამი თვის მანძილზე კომპანია Renault-Nissan-თან შესაძლო გაერთიანების საკითხებზე იმუშავებდა.

## Microsoft საკუთარ ვიდეო-სერვისზე მუშაობს

კომპანია Microsoft-ი ახალ სერვის Soapbox-ზე მუშაობს, რომელიც ინტერნეტ მომხმარებელს ქსელში თავიანთი ვიდეო-ჩანაწერების განთავსების საშუალებას მისცემს. კომპანიაში აცხადებენ, რომ Soapbox-ი კონკურენციას ისეთ სერვისებს გაუწევს, როგორიც არის Google Video, Yahoo და YouTube.

სერვისის ტესტირება კომპანიამ 2006 წლის 19 სექტემბერს დაიწყო, Soapbox-ი კი, რომელიც სერვის - MSN Video-ს ნაწილია, ქსელში 2007 წლის პირველი ნახევრისთვის ჩაერთვება.

კომპანია Microsoft-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ Soapbox-ში მხოლოდ ისეთი ვიდეომასალა მოხვდება, რომელსაც ავტორის ნებართვა ახლავს. ისინი ირწმუნებიან, რომ საავტორო უფლებების დარღვევას ადგილი არ ექნება, რადგან უნებართვო პროდუქცია ქსელში მოხვედრისთანავე გაუქმდება.

ახალი სერვისის შემქმნელების თქმით, Soapbox-ი იმ პერსონალური კომპიუტერების მფლობელებისთვის იქნება ხელმისაწვდომი, რომლებიც OC Windows-ით მუშაობენ. Soapbox-ის გამოყენება კი Internet Explorer-ის ბრაუზერით გახდება შესაძლებელი.

## Rover და Ford შესაძლოა გაერთიანდეს

კომპანია Ford-მა სავაჭრო მარკა Rover-ის შესყიდვის შესახებ განაცხადა. ამ მარკის ყოფილი მფლობელი, გერმანული საავტომობილო კონცერნი BMW, ბოლო პერიოდში სავაჭრო მარკის შეძენის მსურველ რამდენიმე კომპანიასთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს. საბოლოოდ კი BMW-სთვის ყველაზე უფრო მისაღები ამერიკული Ford Motor-ი აღმოჩნდა. Lend Rover-ის შესყიდვის უფლება ამერიკულ კომპანიას 2000 წელს დაუკანონეს.

კომპანია Ford-ის ხელმძღვანელობა გარიგების თანხის დასახელებისგან ჯერ თავს იკავებს. "ჩვენ ეს ნაბიჯი ისევ და ისევ Lend Rover-ის კეთილდღეობისთვის გადავდგით, თუმცა თუ რას მოვიმოქმედებთ სახელწოდება - Rover-თან მიმართებაში, ამაზე საუბარს არ ვაპირებთ,"-განაცხადა ამერიკული კომპანიის წარმომადგენელმა. 2000 წელს კომპანია BMW-მ ის განყოფილება გაყიდა, რომელიც Rover-ის ავტომობილებს ბრიტანული კონსორციუმ Phoenix-ისთვის აწარმოებდა. მაშინ ავტომობილს თავისი სავაჭრო მარკა არ დაუკარგავს. გასულ წელს, მაშინ როცა კომპანია MG Rover-ი გაკოტრდა, ბავარიელმა ავტომწარმოებლებმა მათ კუთვნილ ბრენდზე უარი განაცხადეს. ამის შემდეგ კი გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომპანია BMW აღნიშნული სავაჭრო მარკის ორ ჩინურ ფირმაზე - Shanghai Automative-ზე და Nanjing Automobile-ზე მიყიდვას აპირებდა.

პირველმა მათგანმა, გასულ წელს MG Rover-ის მთლიანად შესყიდვაზე უარი განაცხადა და მხოლოდ ორი მოდელის - Rover - 25-ისა და Rover-75-ის შესყიდვის ლიცენზიას მოაწერა ხელი. Shanghai Automative-ს წარმომადგენლების თქმით, ამ მოდელების წარმოება დიდ ბრიტანეთში მომავალი წლიდან დაიწყება.

კომპანია Nanjing-მა კი თავის მხრივ, გასულ წელს MG Rover-ის დარჩენილი აქტივებიც და მათ შორის, MG-მარკის სპორტული ავტომობილების წარმოების უფლებაც შეიძინა.

## "ბაღდათი 110" ზამთრისთვის თითქმის მზადაა

სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა მაღალი ძაბვის ქვესადგურში "ბაღდათი 110". ჩატარებული სამუშაოების შედეგად შესაძლებელი გახდება, ქვესადგურმა მეორე, სარეზერვო კვება მიიღოს.

ქვესადგური "ბაღდათი 110" საკვანძო ქვესადგურია ბაღდათის რაიონში. ის ბაღდათსა და რაიონის დიდ ნაწილს ელექტროენერგიით უზრუნველყოფს. შესაბამისად, ქვესადგურისთვის სარეზერვო მომარაგების არსებობა აუცილებელი იყო. სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ "ბაღდათი 110" მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზით "ვარციხე 35" რიონჰესს დაუკავშირდება. ძირითადი კვების ხაზის დაზიანების შემთხვევაში ქვესადგური შეძლებს, ელექტროენერგია რიონჰესიდან სარეზერვო ხაზით მიიღოს და შეფერხების გარეშე განაგრძოს მომხმარებელთა ენერგომომარაგება.

მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში ქვესადგურში მაღალი ძაბვის გამთიშველი, 10 კვ გამანაწილებელ მოწყობილობამდე დამონტაჟდა და ჩაიდო ძალოვანი კაბელები. უახლოეს მომავალში დაიდგმება ორი 35-კილოვოლტიანი ზეთიანი ამომრთველი და შეკეთდება ძალოვანი ტრანსფორმატორი N2. სარემონტო სამუშაოებს სგსე დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ტექნიკური სამსახური აწარმოებს.

აღნიშნულის გარდა, სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს იმერეთის რეგიონში არსებულ სხვა მაღალი ძაბვის ქვესადგურებში: რეაბილიტაცია უტარდება მ/ძ ქვესადგურს "სამტრედია-3", რომელიც KfW-ს დაფინანსებით ხორციელდება; ქვესადგურში "ავტოქარხანა" (ქუთაისი) მიმდინარეობს 110-კილოვოლტიანი ამომრთველის კაპიტალური შეკეთება. დასრულდა აღრიცხვის კვანძების მოწესრიგება საკუთარი მოხმარების 110/35 კილოვოლტის ტრანსფორმატორებზე. პროფილაქტიკური სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა რეგიონის ყველა საკვანძო ქვესადგურში. **24 საათი**

## "ქართული ცემენტი" თერჯოლის რაიონში ცემენტის ქარხნის მშენებლობას გეგმავს

კომპანია "ქართული ცემენტი", რომლის აქციათა 51 პროცენტს გერმანული HeidelbergCement-ი ფლობს, თერჯოლის რაიონში ცემენტის მწარმოებელი უზარმაზარი ქარხნის მშენებლობას აპირებს. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა საქართველოს მთავრობის ოთხშაბათის სხდომის დასრულების შემდეგ აცნობა. მისი თქმით, კომპანია 2007 წელს დასავლეთ საქართველოში ბეტონის 10 მინი-ქარხნის მშენებლობას გეგმავს.

**"თერჯოლის რაიონში, ცემენტის ქარხნის მშენებლობის გარდა, სერიოზული ინვესტიციები რკინიგზის ჩიხის მშენებლობაშიც ჩაიდება,"** - განაცხადა ტყეშელაშვილმა.

თერჯოლის რაიონში ჭიშურის საცემენტე კირქვების, ბროლისქედის სპოლგოლიტების და ნახშირღელეს საცემენტე თიხების საბადოებზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების აუქციონზე 7 ივლისს დაფიქსირებულმა ლიცენზიის საბოლოო ფასმა 47,58 მლნ ლარი შეადგინა. "ქართული ცემენტი" ვალდებული იყო, თანხა აუქციონის ჩატარებიდან 6 თვის განმავლობაში, 2007 წლის 6 იანვრამდე გადაეხადა.

ტყეშელაშვილის განცხადებით, კომპანიამ თხოვნით მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს გადასახდელი თანხის გრაფიკის გადავადებაზე. "მოლაპარაკებები აღნიშნულ საკითხზე გრძელდება. კომპანიამ 8 მლნ ლარი უკვე გადაიხადა, წლის ბოლომდე, სავარაუდოდ, 3 მილიონის გადახდა მოხდება. ჩვენი მთავარი ამოცანაა, მივცეთ ინვესტორს, HeidelbergCement-ს, მუშაობის საშუალება," - დასძინა მინისტრმა.

ტყეშელაშვილის თქმით, ქართული მხარე შემხვედრ ნაბიჯებზე მიდის, რადგან მსოფლიოში ცემენტის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებლის HeidelbergCement-ის ინვესტიცია ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესია.

HeidelbergCement-ი ქართულ ბაზარზე მაისის ბოლოს შევიდა. კომპანიამ "ქართული ცემენტის" აქციათა 51% იყიდა. "ქართულ ცემენტს" ეკუთვნის რუსთავში მდებარე საწარმო, რომელიც წელიწადში 100 ათას ტონა ცემენტს აწარმოებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ამინდი

| | 20/09 | 21/09 | 22/09 |
|---|---|---|---|
| კიევი | 22 | 17 | 18 |
| რიგა | 18 | 19 | 23 |
| ვილნიუსი | 17 | 18 | 22 |
| მოსკოვი | 20 | 17 | 16 |
| მინსკი | 22 | 21 | 25 |
| პარიზი | 22 | 22 | 18 |
| რომი | 26 | 27 | 27 |
| ლონდონი | 22 | 23 | 19 |
| მადრიდი | 26 | 24 | 23 |
| ბონი | 21 | 26 | 28 |
| ვარშავა | 17 | 20 | 21 |
| ათენა | 27 | 25 | 25 |
| ბერნი | 23 | 25 | 25 |
| ამსტერდამი | 18 | 20 | 22 |
| ოსლო | 15 | 17 | 22 |
| ანკარა | 28 | 26 | 25 |
| ვარნა | 25 | 22 | 21 |
| დელი | 47 | 46 | 42 |
| ტოკიო | 31 | 30 | 29 |
| კოპენჰაგენი | 16 | 19 | 20 |
| ბაქო | 25 | 25 | 26 |
| ერევანი | 30 | 30 | 31 |
| ასტანა | 9 | 13 | 15 |
| ჰელსინკი | 13 | 13 | 16 |
| დუბლინი | 14 | 13 | 14 |
| ლისაბონი | 27 | 21 | 22 |
| პრაღა | 21 | 21 | 21 |
| სოფია | 15 | 21 | 22 |
| ბუდაპეშტი | 22 | 22 | 24 |
| ბუხარესტი | 23 | 22 | 18 |

# ვინ დააზღვევს საქართველოს საჰაერო სივრცეს?

პირველი გვერდიდან



მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს ავიაბაზარზე მსოფლიოში ცნობილი რამდენიმე ავიაკომპანია შემოვიდა და ეს ბაზარი სწრაფად ვითარდება, ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცე დღემდე არ ყოფილა დაზღვეული. მეტიც, საქართველოს ცის დაზღვევაზე ტენდერი არასოდეს არ გამოცხადებულა. ამ ფაქტს "საქაერონავიგაციაში" მოძველებული ტექნიკითა და უახლესი აპარატურის არქონით ხსნიან. **"საქართველოს ნავიგაციის ტექნიკური ბაზა წლების განმავლობაში არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, რის გამოც თავად სადაზღვევო კომპანიებისთვის არ იყო მიმზიდველი ქვეყნის საჰაერო სივრცის დაზღვევა,"** - უთხრა "24 საათს" თეა გადაბაძემ, "საქაერონავიგაციის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა.

დღეს კი, როგორც ამას "საქაერონავიგაციაში" აცხადებენ, საჰაერო სივრცის დასაზღვევად ყველაფერი მზად არის და წლის ბოლომდე უკვე ცნობილი გახდება ის კომპანია, რომელიც საქართველოს საჰაერო სივრცის დაზღვევას საკუთარ თავზე აიღებს.

ამ ტენდერთან დაკავშირებით, თავიდანვე რამდენიმე სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელი გამოთქვამდა ეჭვს იმის თაობაზე, რომ მაღალი რისკები მსხვილი გადამზღვევლის თავშეკავების მიზეზი შეიძლება გამხდარიყო, თუმცა, როგორც "ალდაგის" გენერალურმა დირექტორმა საინფორმაციო სააგენტო GBC-ის განუცხადა, **"საქაერონავიგაციაში განხორციელებული საკადრო და ტექნიკური ცვლილებები სრული გარანტიაა ნებისმიერი სოლიდური კომპანიისთვის."**

რა მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ქვეყნისთვის საჰაერო სივრცის დაზღვევას? განვითარებადი სახელმწიფოების უმრავლესობას, განვითარებულ ქვეყნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საკუთარი საჰაერო სივრცე დაზღვეული აქვს, რადგან ეს არის ერთ-ერთი და, როგორც ექსპერტები ამბობენ, ძალიან მნიშვნელოვანი გზა ქვეყანაში ექსპედიტორი კომპანიების მოსაზიდად, განსაკუთრებით კი უცხოელი ავიაგადამზიდველებისთვის, რომლებიც ტრანზიტულ გადაზიდვებს (როგორც მგზავრთა, ისე ტვირთების) საჰაერო სივრცით ახორციელებენ. ექსპერტები ამბობენ, რომ საქართველოს საჰაერო სივრცის დაზღვევის შემდეგ ამ სახელმწიფოს ტრანზიტული პოტენციალი კიდევ უფრო გაიზრდება და ის ავიაგადამზიდველებისთვის უფრო მიმზიდველი გახდება. არსებობს მიახლოებითი მონაცემები, რომლის თანახმადაც საქართველოს გავლით დღეში 80 ტრანზიტული რეისი სრულდება. **"დღეს საქართველოს რამდენიმე ქვეყანა უწევს კონკურენციას ტრანზიტული გადაზიდვების თვალსაზრისით. ის ავიაკომპანიები, რომლებიც გადაზიდვებს ტრანზიტული რეისებით ახორციელებენ, ყოველთვის ინტერესდებიან, რამდენად უსაფრთხოა ამა თუ იმ სახელმწიფოს საჰაერო სივრცე, არის თუ არა ის დაზღვეული და სხვა. საჰაერო სივრცის დაზღვევა ძალიან კარგი იქნება არა მხოლოდ ახალი ავიაკომპანიების მოსაზიდად, არამედ საქართველოში უკვე არსებულის შესანარჩუნებლად,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს დევი ხეჩინაშვილმა, ექსპერტმა დაზღვევის საკითხებში.

საქართველოს საჰაერო სივრცის დაზღვევაზე საერთაშორისო ტენდერი ერთხელ უკვე ამ რამდენიმე თვის წინ გამოცხადდა, თუმცა ის მასში მონაწილეთა განაცხადების მიღება ამ რამდენიმე დღის წინ მოულოდნელად გადავადდა. "საქაერონავიგაციაში" ამას რამდენიმე მიზეზით, მათ შორის, სადაზღვევო პროდუქტის სირთულით ხსნიან. **"დაზღვევის ეს სახეობა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მთავარი სირთულე მისი სიძვირეა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტენდერის პროცედურის კიდევ უფრო დახვეწა,"** - ამბობს თეა გადაბაძე.

ცნობილი ხდება, რომ საერთაშორისო ტენდერი ორ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპი მონაწილე კომპანიათა საკვალიფიკაციო შერჩევას გულისხმობს. ამ პროცედურის გავლის შემდეგ, ასე ვთქვათ, "გადარჩეული" სადაზღვევო კომპანიები გამარჯვებისთვის ბრძოლას მეორე ეტაპზე განაგრძობენ.

ვინ გახდება გამარჯვებული - ეს მხოლოდ 4 ოქტომბრის შემდეგ გახდება ცნობილი, თუმცა ამ ეტაპზე თამამად შეიძლება იმის, თქმა, რომ საქართველოს საჰაერო სივრცის დაზღვევას ქართული კომპანია მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფს - მისი რისკებიდან და სიძვირიდან გამომდინარე. ამიტომაც, ისინი ამ ტენდერში მონაწილეობას უცხოელ და თანაც მსხვილ პარტნიორთან ერთად მიიღებენ. **"400 მილიონი აშშ არა მარტო ჩვენთვის, არამედ საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის ძალიან დიდი თანხაა, ამიტომაც "ალდაგი" ტენდერში უკვე ყოფილ და ახალ პარტნიორებთან ერთად მიიღებს მონაწილეობას,"** - განუცხადა "24 საათს" "ალდაგის" გაყიდვების დირექტორმა ლევან ჯიშკარიანმა. მისივე თქმით, უცხოელი პარტნიორი ანუ გადამზღვეველი, ერთის ან ორის ნაცვლად, შესაძლოა, 5 ან 6 იყოს.

ამ ეტაპზე ცნობილი ხდება, რომ საქართველოს საჰაერო სივრცის დაზღვევაზე გამოცხადებულ ტენდერში, "ალდაგის" გარდა, BCI, "იმედი L", "GPI ჰოლდინგი" და "AIG საქართველო" მიიღებენ მონაწილეობას.

ცნობისათვის: AIG მსოფლიოს სადაზღვევო ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მსხვილი ამერიკული კომპანიაა, რომელიც, ბოლო მონაცემებით, 500 მილიარდ აშშ დოლარზე მეტის აქტივებს ფლობს. AIG საქართველოში გასული წლის პირველ ნახევარში შემოვიდა.

საქართველოს საჰაერო სივრცის დაზღვევასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო დეტალი გახდა ცნობილი. როგორც "საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა ვიქტორ გოგორიშვილმა განაცხადა, თავდაპირველად მის უწყებას სურდა, მთლიანი სატრანზიტო დერეფანი დაეზღვია, რომელიც უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის ავიატრასებს მოიცავს, თუმცა ეს ხსენებულ სახელმწიფოებში განსხვავებული საკანონმდებლო ნორმების გამო ვერ მოხერხდა.

ცნობისათვის: მეზობელი აზერბაიჯანის, თურქეთისა და რუსეთის ავიასივრცის დაზღვევაზე იქაურმა საქაეროსანაოსნო სამსახურებმა კარგა ხნის წინათ იზრუნეს.

## "საფოსტო ბანკის" აქტივები გაიყიდა

**"20 სექტემბერს აუქციონზე გამოტანილი 6 000 ლარზე მეტი ქონებიდან 1 000 ლარის აქტივი გაიყიდა,"** - განაცხადა "საფოსტო ბანკის" ლიკვიდატორმა ვახტანგ ნათენაძემ. მისი ინფორმაციით, "დასვენება-გაჯანსაღების" 10%-იანი წილის მფლობელი გახდა კომპანიის ერთ-ერთი დირექტორი რომან რეხვიაშვილი. ნათენაძეს ინფორმაციით, 1 000 ლარის გარდა, რეხვიაშვილმა შპს-ს საწესდებო კაპიტალის შესავსებად 50 000 ლარი უნდა გადაიხადოს. დამატებითი თანხის გადახდა კომპანიის საწესდებო კაპიტალის 10 000 ლარიდან 250 000 ლარამდე გაზრდით არის გამოწვეული. აუქციონზე გამოტანილი იყო კომპიუტერული ტექნიკა, ელექტროხელსაწყოები და სამი ავტომობილი. სებ-ის ცნობით, 2006 წლის აგვისტოს მდგომარეობით, სს "საქართველოს საფოსტო ბანკის" აქტივები 6 552 752 ლარს, ნაღდი ფულადი სახსრები - 23 536 ლარს, სააქციო კაპიტალი - 2 756 000 ლარს, ხოლო მთლიანი ვალდებულებები - 9 308 752 ლარს შეადგენს.

## საქართველო 57-ე ადგილზეა

საქართველო ქონებრივი უთანასწორობის ხარისხით 57-ე ადგილზეა. ამის შესახებ გაეროს განვითარების პროგრამის ყოველწლიურ მოხსენებაშია მოცემული, რომელმაც ქონებრივი უთანასწორობის ანალიზი 2005 წელს მსოფლიოს 124 ქვეყანაში განახორციელა. რეიტინგში აღნიშნულ ქვეყნებში ყველაზე ღარიბი და ყველაზე მდიდარი მოსახლეობის შემოსავლებია შედარებული. უთანასწორობის ხარისხი ნაკლებია დანიაში, იაპონიაში, შვედეთში, ბელგიაში, ჩეხეთში, ნორვეგიაში, სლოვაკეთში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, უზბეკეთში. ქონებრივი უთანასწორობის ხარისხით უკრაინა მე-14, ბელორუსი - 23-ე, რუსეთი - 25-ე, ლიტვა - 28-ე, ყაზახეთი - 30-ე, ტაჯიკეთი - 33-ე, ლატვია - 41-ე, აზერბაიჯანი - 55-ე, მოლდოვა - 58-ე, სომხეთი - 62-ე, თურქმენეთი - 74-ე პოზიციებს იკავებენ. შედარებისთვის, საფრანგეთი - 34-ე, პოლონეთი - 42-ე, იტალია - 52-ე, ირანი - 79-ე, ჩინეთი - 88-ე ადგილებზე გადანაწილდნენ. ამერიკის შეერთებული შტატები 92-ე პოზიციაზეა, ბოლო ადგილს კი ნამიბია და ლესოტო იკავებენ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## მთავრობა ბიუჯეტს მომავალ კვირაში განიხილავს

საქართველოს მთავრობა 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს მომავალ კვირაში განიხილავს. ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა გოცირიძემ განაცხადა. გოცირიძემ არ დააკონკრეტა, თუ როგორი პარამეტრები იქნება ჩადებული ბიუჯეტის კანონპროექტში. მისი თქმით, 2006 წელთან შედარებით, სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები უმნიშვნელოდ გაიზრდება. სავარაუდოდ, 28 სექტემბერს კანონპროექტი პარლამენტს წარედგინება. ბიუჯეტის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარდგენა, კანონის შესაბამისად, 1 ოქტომბრამდე უნდა მოხდეს. **"ბიუჯეტის განხილვა საკმაოდ რთული პროცედურაა, რის გამოც მისი მიღება ნოემბრის შუა რიცხვებამდე გამორიცხულია,"** - აღნიშნა გოცირიძემ. 2006 წელს საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები 3 538 807 ათასი ლარით განისაზღვრა, ხარჯები კი - 3 827 942 ათასი ლარით. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ზუგდიდის თხილის ქარხნის მშენებლობა სრულდება

ზუგდიდში თხილის გადამამუშავებელი ერთობლივი ქართულ-ფრანგული ქარხნის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც ევროპის მასშტაბით უმსხვილესი იქნება - ამის შესახებ ჟურნალისტებს პრეზიდენტის რწმუნებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ზაზა გოროზიამ აცნობა. ქართულ-ფრანგული ერთობლივი საწარმოს მშენებლობაში 5 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციაა გათვალისწინებული. საქართველოში წელიწადში 25-30 ტონა თხილის მოსავალი მოდის. მსოფლიო ბაზარზე ქართული თხილის წილი დაახლოებით 5%-ია. ზაზა გოროზიას განცხადებით, რეგიონში ყულევის ნავსადგურის მშენებლობა ხორციელდება. პროექტში დაბანდებული კერძო ინვესტიციების მოცულობა 500 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ახალი ნავსადგური, სუფსის ნავსადგურთან შედარებით, 4-ჯერ მეტი ტვირთის გადაზიდვას შეძლებს. ამჟამად ნავსადგურისკენ სარკინიგზო ხაზის გაყვანა მიმდინარეობს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# "ბიზნესეთიკის ასოციაცია საქართველოში" სტუდენტებს ასაქმებს

სალომე ძაძამია

საქართველოში ახალგაზრდების დასაქმების ბუმია. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროექტები მხოლოდ ახალგაზრდებზე, უმეტესად კი სტუდენტებზეა გათვლილი. "ახალგაზრდების სტაჟირების ეროვნული პროგრამის" ფარგლებში 36 სხვადასხვა პროფილის ქართულმა და უცხოურმა ორგანიზაციამ 161 სტაჟიორის მისაღებად კონკურსი გამოაცხადა.

კომპანიები, რომლებიც მზად არიან, ახალგაზრდები სტაჟირებაზე აიყვანონ, "ბიზნესეთიკის ასოციაციამ საქართველოში" კონკურსის შედეგად, ა.წ. ივლის-აგვისტოში შეარჩია. თავდაპირველი მოლოდინი იყო, რომ პროგრამაში მონაწილეობას 30-მდე ორგანიზაცია მიიღებდა და ამდენივე ახალგაზრდას დაასაქმებდა, თუმცა შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ამ ეტაპზე ქართულ და უცხოურ კომპანიებში მუშაობის შანსი 161 ახალგაზრდას მიეცემა.

პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდები სტაჟირებას, ძირითადად, დედაქალაქში გაივლიან. თუმცა სტაჟიორების მისაღებად მზად არიან მასპინძელი ორგანიზაციები ქვეყნის 4 სხვა ქალაქშიც - გორში, ოზურგეთში, ქუთაისსა და ხაშურში. ერთი ახალგაზრდა კი სტაჟირებას შვეიცარიაში United Nations Environment Programme Regional Office Europe (UNEP- ROE) -ში გაივლის.

"ახალგაზრდების სტაჟირების ეროვნულ პროგრამას" არაფერი აქვს საერთო სტაჟირების საპრეზიდენტო პროგრამასთან. პირველი სრულიად განსხვავებულ მოთხოვნებსა და პირობებს ითვალისწინებს, ასევე, სტაჟირების განსხვავებული ვადებს, სხვადასხვა სფეროში დასაქმების პერსპექტივას გულისხმობს. სტაჟიორები არ მიიღებენ თვეში 150 ლარს, როგორც ეს სამთავრობო პროგრამის ფარგლებშია განსაზღვრული. არამედ კომპანია სტაჟირების პერიოდში ანაზღაურების ოდენობას, ისევე როგორც სხვა სახის წახალისებებს, თავად განსაზღვრავს.

პროექტი ევრაზიის ფონდის დაფინანსებით და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სახსრებით მიმდინარეობს. პროექტის ოფიციალური პარტნიორები არიან: გაზეთები "Financial" და "ეძებეთ სამუშაო"; ენებისა და ტესტების მოსამზადებელი ცენტრი; საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტუდენტთა ევროპული ასოციაცია. სტაჟიორების მიღების სურვილი შემდეგმა ორგანიზაციებმა გამოთქვეს: აგრობიზნესკონსალტინგი, ავიასაწვავსერვისი, აზრი, ალტერნატივა ჯორჯია, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი, ბეტა სტუდიო, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, გამომცემლობა "დიოგენე", თბილისის მენეჯერები და კონსულტანტები, თიბისი ტვ, ინგლისური ენა და ცხოვრება, იტალიურ-ქართული სამრეწველო ჯგუფი, კომპანია "ჰარმონია", მეგატექნიკა, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია, პსპ ჯგუფი, საკონსულტაციო ჯგუფი ჯეპრა, ფონდი ინტერნიუსი, ფარმაცევტული კომპანია ჯიპისი, CHF International, MARNET Associates LLC, United Nations Environment Programme - Regional Office for Europe (UNEP-ROE) და სხვა.

პროექტის კოორდინატორი ნატო წერეთელი აცხადებს, რომ სტაჟირების პროგრამა ერთწლიანია და გამორიცხული არ არის, შემდგომშიც გაგრძელდეს. მისი ხანგრძლივობა კი სტუდენტების მონდომებასა და კომპანიების მოთხოვნებზეა დამოკიდებული.

"სტუდენტებზე აქცენტის გაკეთება იმან განაპირობა, რომ მათი დიდი ნაწილი დაუსაქმებელია. გამოცხადებული კონკურსის შედეგად, სტაჟირების სურვილი იმაზე ბევრმა სტუდენტმა გამოთქვა, ვიდრე ველოდით. მათთვის შედგენილი სპეციალური ტესტის შევსების შემდეგ ხდება ინდივიდუალური გასაუბრება. აუცილებელია, სტუდენტი ფლობდეს უცხო ენას. ამის შემდეგ კი მოლაპარაკება უშუალოდ სტუდენტსა და იმ კომპანიის წარმომადგენელს შორის მოხდება, ვისაც სტაჟიორი სჭირდება. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ კომპანიას, რომლებმაც ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. აღმოჩნდა, რომ ბევრი კომპანია კადრების სიმცირეს უჩივის. ამის დასტური ის გამოხმაურებაა, რაც ჩვენს პროექტს მოჰყვა."

"ჩვენი ორგანიზაცია სპეციფიკურია, ინვალიდებთან გვიწევს ურთიერთობა, იმიტომ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ექნება სტაჟიორის დამოკიდებულებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან. მთავარია, ადამიანი რა მოტივაციით მოვა ჩვენთან. თუ მოსვლისთანავე ფინანსურ დაინტერესებას გამოამჟღავნებს, ალბათ, ასეთ შემთხვევაში თანამშრომლობა არ გამოგვივა. თუმცა დიდი შანსია, სტაჟირებაგავლილი სტუდენტი ჩვენს ორგანიზაციაში სამუშაოდ დარჩეს. პროექტში მონაწილეობა იმიტომ მივიღე, რომ - ძალიან გვჭირდება ფსიქოლოგები, ისეთი ადამიანები რომლებიც ინვალიდებს საზოგადოების სრულფასოვან წევრებად აგრძნობინებს თავს," - განაცხადა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა კობა ნადირაძემ.

ევრაზიის ფონდის წარმომადგენელი ზაურ ანჯაფარიძე: "2004 წელს ჩვენ ჩავატარეთ კვლევა. გაირკვა, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა თვითრეალიზაციაა. ახალგაზრდები ვერ საქმდებიან, მათი დიდი ნაწილი უცხოეთში მიდის, დიდი ნაწილი კი კრიმინალურ საქმიანობაში ერთვება. ევრაზიის ფონდმა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ახალგაზრდების დასაქმება გაიხადა. "ბიზნესეთიკის ასოციაციამ საქართველოში" სტაჟირების ეს პროექტი შემოგვთავაზა, ჩვენც მოგვეწონა და გამოვყავით ფინანსები. ეს პროექტი, ვფიქრობ, ბევრ ახალგაზრდას თვითდამკვიდრებაში შეუწყობს ხელს."

# ფოტოგრაფია

## ახალგაზრდა ფოტოგრაფის მოგზაურობა

ნესტან ნიჟარაძე

მას ძალიან ფრანგული სახელი და გვარი აქვს და ფრანგულადვე გამოთქმული ერთიც და მეორეც ასე ჟღერს: გლეგუალ ელუა. გამარტივებულ ფონეტიკურ და გადმოქრთულებულ ვერსიაში გლეგუალის ნაცვლად, გრეგუარ ელუაც დასაშვებია. შეიძლება უბრალოდ გრეგიც. მაშ ასე, გრეგი ფრანგია და ფოტოგრაფია. თან გრეგი კარგი ფრანგი ფოტოგრაფია. დაიბადა საფრანგეთის სამხრეთში, კანში. გაიზარდა საფრანგეთის ჩრდილოეთში, ლილში. ახლა 34 წლის არის და ცხოვრობს საფრანგეთის დედაქალაქში, პარიზში.

ძალიან დიდი ჩანთაში, რომელიც მას მუდამ თან აქვს, ორი "ლეიკის" მარკის აპარატი და ერთიც ძველი "როლიფლექსი" აქვს. იქვე აქვს ბლოკნოტი და პატარა ფანქარიც. როდესაც არ იღებს, წერს. უფრო სწორად, იწერს ყველაფერს, რასაც ისმენს მათგან, ვისაც მერე იღებს. მაშინ, როდესაც არც იწერს და არც იღებს, გრეგი აკვირდება ყველას და ყველაფერს. მითუმეტეს, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

### ბანკირიდან ფოტოგრაფამდე

ვიდრე გრეგ ელუა კარგი ფრანგი ფოტოგრაფი გახდებოდა და ჯერ ავღანეთის მივიწყებულ სოფლებს, შემდეგ კი აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შემოივლიდა გადასაღებად, რომ ბოლოს, 2006 წლის აგვისტოში საქართველოშიც ჩამოსულიყო, იგი ძალიან კარგი ფრანგი ბანკირი და იმედისმომცემი ფინანსისტიც იყო - ანუ უბრალოდ მომავალი წარმატებული ფინანსური მაგნატი. ბანკისგან თავისუფალ დროს კი ყოველთვის იყო მოყვარული ფოტოგრაფიც. როგორც თავად ამბობს: "ყველაფერი იყო ძალიან კარგად - კარიერა, წარმატებები. მაგრამ ყოველთვის მქონდა სურვილი, რომ ჩემი ცხოვრება ხელოვნებასთან ყოფილიყო დაკავშირებული და არა ფულთან, ფინანსურ სამყაროსთან. ეს სამყარო არ პასუხობდა ჩემს შინაგან მოთხოვნებს და მისწრაფებებს. და მე ეს დიდხანს მაწვალებდა." კიდევ უფრო მეტი რომ არ ეწვალა, სამი წლის წინ გრეგუარ ელუა რადიკალური და მატერიალური კეთილდღეობისთვის მებრძოლი ტიპური ახალგაზრდა ბანკირისთვის ექსტრავაგანტულ გადაწყვეტილებას იღებს - საბანკო კარიერის გაგრძელებაზე უარს ამბობს და მთელ თავის დროს, ენერგიას და სახსრებს ფოტოგრაფიას უძღვნის. სწორედ ასე გადაიქცა იგი ჩვეულებრივი კარგი ფრანგი ბანკირიდან არაჩვეულებრივ ფრანგ ფოტოგრაფად. ნანობს? ამბობს, რომ-არა, "რადგან ფოტოგრაფიამ კარი გამიღო იმისკენ, რასაც არც დასასრული აქვს და არც დასაწყისი. და ეს არის ახლის, უცნობის აღმოჩენის შესაძლებლობა. ეს არის ასევე სურვილი, უკეთ გაიცნო სამყარო, რომელშიც ცხოვრობ და მეტი გაიგო იმ ადამიანებზე, რომლებიც მასში შენთან ერთად ცხოვრებენ; დაინტერესდე მათით, ახლოს მიხვიდე მათთან". და სწორედ ამიტომ, გრეგუარ ელუა ბევრს მოგზაურობს. ზაფხულში მიდის იქ, სადაც ძალიან ცხელა, მაგალითად საქართველოში ან ავღანეთში. ზამთარში კი იქ, სადაც ძალიან ცივა, მაგალითად რუსეთში. განსაკუთრებით უყვარს ზამთარში მოგზაურობა. ამბობს, რომ ზამთარში ცხოვრების კონტურები მძაფრდება. მოგზაურობს მარტო და მეტიც, უყვარს მარტო ყოფნა. კმაყოფილდება მინიმალურით ან კიდევ უფრო ნაკლებით. ამბობს, რომ შეგნებულად აყენებს საკუთარ თავს ერთგვარი იზოლაციის მდგომარეობაში, სადაც შორს არის ჩვეული გარემოსგან, ოჯახისგან და მის მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებისგან. და სადაც ბოლომდე გახსნილია დაინახოს, აღიქვას, იგრძნოს და გაიგოს ყველაფერი ახალი და უცნობი, ანუ ყველაფერი ის, რაც მის ფირზე უნდა აღიბეჭდოს და შემდეგ შავ-თეთრ ფოტოებად დაიბეჭდოს. "ამ დროს, - ამბობს გრეგი, - მგონია, რომ იმ ბერებს ვემსგავსები, გამოქვაბულში რომ იკეტებიან და მედიტაციას იწყებენ, რაღაც უსაზღვრო სიღრმეებზე გასასავლელად. და არიან მარტო."

### ფოტოგრაფიის მარტოობა

გრეგუარ ელუა თავისუფალი ფოტოგრაფია. რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ არის არც ერთი სააგენტოს წევრი და არ თანამშრომლობს პრესასთან. საკუთარი პროექტების ავტორი თავად არის, მათ თავადვე აფინანსებს და შემდეგ უკვე ცდილობს მათ გაყიდვას. ხან ყიდის, ხან ვერ ყიდის. გზა, რომელიც მან აირჩია, რთულია და მან ეს იცის. "წარმოიდგინეთ - ხართ ფოტოგრაფი. დილით იღვიძებთ და იცით, რომ არავინ ელოდება თქვენს ფოტოებს, არავინ გირეკავთ, არავინ გაძლევთ შეკვეთას მასალაზე და თქვენ ხართ მარტო ასობით დაბეჭდილ ფოტოსთან და არც კი იცით, როდის შეძლებთ ამ ყველაფრის ჩვენებას. და არც ის იცით, რა უქნათ მათ. ამ დროს ჩნდება ერთი ლოგიკური შეკითხვა: რისთვის აკეთებ ამ ყველაფერს?" და მართლაც რისთვის შეიძლება ადამიანმა აკეთოს ეს ყველაფერი? ამაზე გრეგი ამბობს, რომ მას არ შეუძლია ამ ყველაფრის გარეშე ცხოვრება. "და თან სურვილი, მეტს მიაღწიო ვიზუალური ძიების პროცესში, ძალიან დიდია. სცადო და იპოვო შენი ხელწერა". ხოლო კითხაზე, იპოვა თუ არა მან ეს თავის ხელწერა, ამბობს, რომ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ამ ხელწერის ძიების პროცესია და არა მისი პოვნა.

### ახალი ევროპიდან ნავთობსადენამდე

